ქართველობის ვადასარწმუნად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№297 (356) 16-23 დეკემბერი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

აგვისტოს ომი იყო თავდაჯერებული და დაუსჯელობით გათავხედებული არამზადების სისხლიანი ავანტიურა!

წარსულის გახსენება
წარსულში ჩარჩენას არ ნიშნავს

გამოქვეყნდა 2013 წ. აპრილში, „კავკაზსკაია პოლიტიკა“-ში

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, დმიტრი მედვედევის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამდე, თქვენ რამდენიმეჯერ პრესის მეშვეობით მიმართეთ მიხეილ სააკაშვილს თხოვნით, რომ იგი შეხვედროდა რუსეთის პრეზიდენტს იმ საშინელების თავიდან ასაცილებლად, რომელიც შემდგომში მოხდა კიდეც. როგორ ფიქრობთ, რატომ არ იღო ყურად სააკაშვილმა თქვენი თხოვნა და როგორ აფასებთ საქართველოს პრეზიდენტის საქციელს?

– 2008 წლის 7 აგვისტოს მე თბილისიდან გავემგზავრე ბათუმში, რათა რამდენიმე დღე ზღვისპირას გამეტარებინა. გზაში შემხვდა ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორების კოლონები, მანქანები ჯარისკაცებით, რომლებიც მიემართებოდნენ ცხინვალისკენ. სურათი თითქოს ნათელი იყო, მაგრამ მაინც არ მჯეროდა, რომ სააკაშვილი ჩაიდენდა ამ სიგიჟეს. ვიმედოვნებდი, რომ ეს იყო რაღაც „დაშინების აქციის“ მაგვარი, **„ნაცმოძრაობის“** მორიგი პიარაქცია.

მეორე დღეს ყველამ გაიგო ომზე. თბილისში დაბრუნების შესაძლებლობა უკვე არ მქონდა, ამიტომ პრესით მივმართე პრეზიდენტს და მოვუწოდე, შეეწყვიტა ეს სამარცხვინო თვითმკვლელური ავანტიურა. მე პირდაპირ განვაცხადე, რომ ამ სამხედრო მოქმედებებს მოჰყვებოდა არამარტო ჩვენი სასტიკი დამარცხება და ასობით ადამიანის სიკვდილი, არამედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მხრიდან.

პარალელურად შევეცადე, დავკავშირებოდი ნაცნობებს სააკაშვილის გარემოცვიდან. პირველი ორი დღე ისინი მპასუხობდნენ, რომ ცხინვალი უკვე აღებულია და სულ მალე ოსები შეწყალებას გვთხოვენო, ხოლო მთელი მსოფლიო მიესალმება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ მიმართულ ჩვენს ოპერაციასო.

შემდგომ, როდესაც ჩვენი ჯარისკაცების გვამები იხრწნებოდა თაკარა მზის ქვეშ, **„ნაციონალები“** ზეიმობდნენ **“ისტორიულ გამარჯვებას”** – მღეროდნენ და ცეკვავდნენ რუსთაველის გამზირზე. მერე თბილისისკენ მომავალი რუსული ტანკების შიშით პარალიზებულებს ხმა ჩაუვარდათ, მაგრამ, როდესაც მიხვდნენ, რომ პირადად მათ არაფერი ემუქრებოდათ, გონს მოეგენ და უწინდელი აპლომბით თავდაჯერებულად აცხადებდნენ, რომ მსოფლიო თანამეგობრობა მათ მხარეზე იყო, ხოლო რუსეთი ვერ გაბედავდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას.

პირადად მე სპეცსამსახურების თანამშრომელთა ალყაში აღმოვჩნდი. ისინი დაუფარავად უთვალთვალებდნენ ყოველ ჩემს ნაბიჯს. ამ დროს ინტერვიუები მივეცი რამდენიმე გამოცემას, რომლებშიც არა მხოლოდ სააკაშვილსა და **«ნაცმოძრაობას»**, არამედ პოლიტიკურ პარტიებს, ინტელიგენციას, საზოგადოებას მოვუწოდებდი გონიერებისკენ, მაგრამ ამაოდ. ბოლო ინტერვიუში ვურჩიე სააკაშვილს, როგორც სამარცხვინოდ დამარცხებულ მთავარსარდალს, თავი მოეკლა; აღსანიშნავია, რომ გაზეთმა ეს მასალა მიაწოდა მკითხველს სათაურით **«ჭაჭია ემუქრება სააკაშვილს მკვლელობით!»**. აგვისტოს ბოლოს ბათუმიდან გადავფრინდი სტამბოლში.

– ბატონო ალექსანდრე, დღევანდელი გადასახედიდან როგორ აფასებთ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს? შესაძლებელი იყო მათი თავიდან აცილება?

– მე მაშინაც და ახლაც ვთვლი, რომ აგვისტოს ომი იყო თავდაჯერებული და დაუსჯელობით გათავხედებული არამზადების სისხლიანი ავანტიურა! ის ფაქტი, რომ ამ მარიონეტებს აქეზებდნენ სისხლიანი სანახაობების ოკეანგაღმელი მოყვარულები იმ მიზნით, რომ მოესინჯათ რუსეთის შესაძლებლობა ადეკვატური ქმედებებისკენ, **„ნაციონალებს“** ვერ ჩამორეცხავს იმ ასეულობით ადამიანის სისხლს, რომლებიც მსხვერპლად შეეწირნენ ამ ვერაგ აქციას!

ამასთან ერთად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ომი იყო კანონზომიერი რგოლი საქართველოს მარიონეტული ხელისფლებისა და მისი პატრონების მიზანმიმართული პოლიტიკისა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ავტონომიებისგან გათავისუფლებას, ვინაიდან ავტონომიების არსებობა ხელს უშლიდა საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ან მისი წევრი ქვეყნების სამხედრო ბაზების განთავსებას.

– ამ მოვლენების შემდეგ თქვენ აგიკრძალეს საქართველოში ჩამოსვლა. დღეს ეს აკრძალვა ძალაშია?

– ოფიციალურად ჩემთვის არავის აუკრძალავს საქართველოში ჩამოსვლა, თუმცა მაგრძნობინებდნენ, რომ ჩემი ჩამოსვლა და საზოგადოებრივი აქტიურობა არასასურველია, მაგრამ მე არც მქონია ამის მცდელობა. საქმე ისაა, რომ მთელი ჩემი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა განპირობებული იყო ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების პოზიტიური გადაწყვეტის იმედით. პოლიტიკისგან მეტი არაფერი მჭირდებოდა. 2008 წლის აგვისტოში ეს იმედი დამემსხვრა და ამიტომ დავტოვე საქართველო.

ამა წლის 14 მარტს მე ჩამოვფრინდი თბილისში და სასიამოვნოდ გამიკვირდა, რომ მესაზღვრისთვის წარდგენილი პასპორტი ერთი წუთის შემდეგ დამიბრუნეს. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ეს პროცედურა, როგორც წესი, გრძელდებოდა 20-30 წუთს, ხანდახან კი ერთი საათითაც ჭიანურდებოდა, თუ ვერ უკავშირდებოდნენ იმ პირს, რომელსაც ჰქონდა უფლება ჩემი შემოშვების ან გასვლის ნებართვა გაეცა. ეს იყო ძალზე დამამცირებელი. მე, საქართველოს მოქალაქეს, მჭირდებოდა ვიღაცის ნებართვა საკუთარ ქვეყანაში შემოსასვლელად! მადლობა ღმერთს, ეს ფაშისტური წესები, რომლებიც მოქმედებდა ჩემთან დაკავშირებით ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან, გაუქმებულია!

– როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია ის პირველი ნაბიჯები, რომლებიც განახორციელა პრემიერმა ივანიშვილმა რუსეთთან დაკავშირებით?

– ამ ნაბიჯების ეფექტურობაზე ლაპარაკი ნაადრევია, ისინი უფრო სიმბოლური ხასიათისაა, მაგრამ უკვე კარგია, რომ ჩვენმა მმართველმა წრეებმა უარი თქვეს ბრიყვულ, აგრესიულ და შეურაცხმყოფელ რიტორიკაზე, მიაღწიეს გარკვეულ ეკონომიკურ შეთანხმებას, ასე თუ ისე გამოცოცხლდა კულტურული ურთიერთობებიც.

რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები აგრძელებენ უაზრო დემაგოგიას **„ნატოში მალე შესვლის“** თაობაზე, **„ევროკავშირში ინტეგრაციაზე“** და სხვა პოლიტიკურ ატრიბუტიკაზე, რომელიც დამახასიათებელია დასავლეთის თანამედროვე კოლონიებისთვის, მაგრამ რუსეთის მხარე ამას სათანადო გაგებით უნდა მიუდგეს. საქართველოში ხომ დამკვიდრდა რაღაც მახინჯი ორხელისუფლებიანობა, რომელსაც ამერიკელები თავგამოდებით იცავენ. ბიძინა ივანიშვილს, ძალიანაც რომ უნდოდეს (მე ამაზე ჯერ ვერ ვიმსჯელებ), არ შეუძლია გააკეთოს მკვეთრი მოძრაობები: პარლამენტშია „ნაცმოძრაობის“ სოლიდური წარმომადგენლობა, არანაკლებ სოლიდურია „ნაციონალებთან“ სულით მონათესავე პარტიების დეპუტაციაც, რომელიც ჯერჯერობით ივანიშვილის კოალიციაში იმყოფება, მაგრამ, „ნაციონალების“ მსგავსად, მთლიანად კონტროლირებადია ამერიკელების მხრიდან.

ივანიშვილის პოლიტიკური ბაზა ძალზე მწირია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უმრავლესობას, სასამართლო სისტემას, რიგ წამყვან მასობრივი ინფორმაციის საშუალებას ძველებურად აკონტროლებს სააკაშვილის ჯგუფი. და ამ ყველაფრის უკან აშშ-ის ელჩის ფხიზელი თვალია. ივანიშვილი კარგად რომც აცნობიერებდეს (და მე მინდა, ამის მჯეროდეს), რომ ჩვენი მთავარი, სასიცოცხლო პრობლემები – კონფლიქტების დარეგულირება და ეროვნული ეკონომიკის შექმნა – პირდაპირაა დამოკიდებული რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობაზე, ის მაინც იძულებულია, გაითვალისწინოს საქართველოში ჩამოყალიბებული ძალთა თანაფარდობა.

– ბატონო ალექსანდრე, თქვენ მშვენივრად იცით, რომ არც ერთი ქართველი არ შეურიგდება ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვას. შეუძლია თუ არა საქართველოს, არც თუ ისე შორეულ მომავალში გადაწყვიტოს ეს საკითხი რუსეთის იგნორირებითა და აშშ-ის, ევროპისა და ნატოს იმედზე ყოფნით?

– ჩვენ შეგვიძლია არ შევურიგდეთ ტერიტორიული მთლიანობის რღვევას, მაგრამ ამით ის ვერ გამთლიანდება. ოც წელზე მეტია, გამოვხატავთ „შეურიგებლობას“ ნატოს, აშშ-ს, ევროკავშირის მითიური დახმარებისა თუ აბსტრაქტული მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერისა და სხვა აბსურდული ილუზიების იმედით. საზოგადოება წამოეგო ხელისუფლების ამ ანკესზე, იმ ხელისუფლების, რომელიც ამგვარი ფრაზეოლოგიით ფარავდა კონფლიქტის დარეგულირების სურვილის უქონლობას და უუნარობას.

ჩვენ ვხედავდით, რომ წლების განმავლობაში ამ კონფლიქტების მოგვარების პრობლემებით დაკავებულნი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არავინ იცნობდა არც მოსკოვში, არც სოხუმში, არც ცხინვალში, თბილისშიც კი მათ მხოლოდ თანაპარტიელთა ვიწრო წრე თუ იცნობდა! რა შედეგი უნდა მოეტანა მათ მოღვაწეობას?! სამწუხაროდ, მდგომარეობა ამ თვალსაზრისით ჯერ არ შეცვლილა.

ახალი ხელისუფლება დეკლარირებს თავის სწრაფვას დიალოგისკენ, მაგრამ ეფექტური დიალოგი, კონკრეტული წინადადებები, მოქმედების რეალური პროგრამები ჯერ არ ჩანს. მიაქციეთ ყურადღება: პოლიტიკის დასავლური ვექტორით დაკავებულნი არიან პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, მთელი რიგი საპარლამენტო კომიტეტები, სპეციალურად შექმნილი მითიური „ჩრდილოატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის“ სამინისტროები, ასობით გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, ხოლო აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობებისთვის არსებობს მხოლოდ რეინტეგრაციის სამინისტრო, რომლის მარტო დასახელებაც კი გამორიცხავს დიალოგს!

არაა გასაკვირი, რომ ამ სტრუქტურის **„დაძაბული მოღვაწეობის“** პროდუქტი გახდა მინისტრის მიერ გამოცხადებული რეცეპტი: ჩვენ ავაშენებთ ისეთ განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომ აფხაზები და ოსები თავად გვთხოვენ შემოსვლას საქართველოს შემადგენლობაშიო. ბუნებრივია, ასეთი მიდგომით პროგრესის მიღწევა შეუძლებელია.

ახლახან ქართულ პრესაში გამოვედი წინადადებით, რომ აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან, რუსეთთან, მათ შორის ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობები რეალურად ავიყვანოთ სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლეს რანგში. მე ვთვლი, რომ ამ უაღრესად საჭირო საქმისთვის აუცილებელია გამოვიყენოთ პრეზიდენტის პოსტი, რომელიც მალე გამოთავისუფლდება. ახალ პრეზიდენტს უნდა დაევალოს პოლიტიკის ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადაწყვეტა.

თავისთავად, ეს უკვე აღარ იქნება ის კომფორტული თანამდებობა, რომელიც ევროპულ დედაქალაქებში უაზრო ხეტიალისა და ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკის საშუალებას იძლეოდა. ახალ პრეზიდენტს მოუწევს ჩასვლა სოხუმში, გუდაუთაში, ცხინვალში; აუცილებლად – ვლადიკავკაზში, მაიკოპში, გროზნოში, ნალჩიკში, მახაჩკალაში და, რა თქმა უნდა, მოსკოვში.

თუ ეს იქნება მისაღები ადამიანი მიმღები მხარისთვის, მაშინ ის, როგორც მაღალი სახელმწიფო სტატუსის მქონე და კვალიფიციური გუნდის მყოლი პირი, პრემიერ-მინისტრთან მჭიდრო თანამშრომლობით შეძლებს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებით გარღვევას. გარღვევად მიმაჩნია საზღვრების გახსნა, საერთო ეკონომიკური და ჰუმანიტარული სივრცის შექმნა მუშახელისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილებით, კერძო საკუთრების უფლების საყოველთაო აღიარებით.

ესაუბრა ფრიდონ დოჩია

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

ქართულ წერილობით წყაროებში მოიხსენიება სოფელი ცაიშის და ჩაისის ფორმით. თ. ბერაძის მსჯელობით, ადგილის თავდაპირველი სახელწოდება **„ცაიში“** მეგრულში უნდა შეცვლილიყო როგორც ჩაისი. ამ უკანასკნელს კი ხალხურ მეტყველებაში გავრცელებულ ფორმად მიიჩნევს (ბერაძე სიგკ, IV, 1971: 59). მაგრამ საქმე ისაა, რომ ხალხურ მეტყველებასა და სიტყვიერებაში სოფლის სახელწოდება „ჩაისის“ ფორმით არ დასტურდება. ოიკონიმის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ცე(ი)ში. კახათის თემში შემავალ სოფელს ცაიშურკახათი//ცეიშურკახათი ერქვა (სოფ. ოქტომბრის უწინდელი სახელწოდება). პ. ცხადაიას ჭითაწყარის თემში, ცაიშის საზღვართან მდებარე ვაკე-მაღლობის სახელწოდებად ჩაწერილი აქვს ტოპონიმი ცაიშე(ნ)წერი//ცეიშ(იშ)ენწერი (ცხადაია II, 2007: 372). სოფელი „ცაიშის“ ფორმით მოიხსენიება შუა საუკუნეების ისტორიულ წყაროებსა და XIX საუკუნის საარქივო დოკუმენტებშიც. 1271-1289 წლებს შორის შედგენილ ე. წ. „საპატიჟოს დაწერილში“ მოიხსენიება ცაიშის ღვთისმშობელი და ცაიშელი ეპისკოპოსი.

ვახუშტის ცნობა ცაიშის ადგილმდებარეობის შესახებ არასწორია. ცაიში, მართალია, „ხოფის“ ჩრდილოეთით მდებარეობს, მაგრამ არა ჭანისწყლის ხეობაში, არამედ ჭანისწყალ-ენგურის შუამდინარეთში, უფრო ზუსტად – ჩხოუშიის მარცხენა შენაკადის – ჯუმის ორივე ნაპირზე (ჩხოუშია თავის მხრივ ენგურის მარცხენა შენაკადია). ზუგდიდს დაშორებულია 10 კმ-ით, მის სამხრეთ-დასავლეთით, და ზ. დ. 50 მ-ზე მდებარეობს. სოფელში მდგარი ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლი – სატაძრო კომპლექსი აერთიანებს სამსართულიან ცოკოლზე მდგარ ღვთისმშობლის გუმბათოვან ტაძარს, ორსართულიან სამრეკლოსა და ეპისკოპოსთათვის განკუთვნილ რეზიდენცია-პალატს. ცაიშის ტაძარი მართლაც „კეთილშენია“ და „შემკული“. მისი აშენების თარიღზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ცაიშის ტაძრის ვრცელი მეცნიერული აღწერილობა მოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომში. მისი აღწერით, საშუალო ზომისა და თლილი ქვით აგებული ტაძრის კედლებსა და გუმბათს ეტყობა მრავალჯერ გადაკეთება, რის გამოც ჩუქურთმიანი ქვები ერთმანეთშია არეული. ეს საკვირველიც არაა, ვინაიდან ცნობილია, რომ მიწისძვრით რამდენჯერმე დანგრეული ეკლესია კვლავ აღუდგენიათ, მაგრამ აღმოსავლეთი მხარის ქვემო ნაწილს, განსაკუთრებით საკურთხეველს, უძველესი დროიდან შეურყევლად მოუღწევია და გადაკეთება არ განუცდია. ეკლესიის კედლების უძველესი ნაშთები, საკურთხეველი, თაღები და ფანჯრების ჩუქურთმები დიდ მეცნიერს აფიქრებინებდა, რომ თავდაპირველი ეკლესია ამ ადგილას არა უგვიანეს XI–XII სს-ში უნდა აშენებულიყო (თაყაიშვილი 1913-1914: 163-164).

პარმენ ზაქარაიას მოსაზრებით, ახლანდელ ტაძარში ჩართული ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკის ნაშთი ადასტურებს, რომ ცაიშის საეპისკოპოსო ითვლებოდა ეგრისლაზეთის პირველ საეპისკოპოსოთა რიგში და, იგი, ცხადია, VII ს-ზე ადრე დაარსებულად უნდა მივიჩნიოთ. მრავალჯერ გადაკეთებულ ტაძარს, აღნიშნავს პ. ზაქარაია, ჩვენამდე მეტად სახეცვლილად მოუღწევია, თავდაპირველი ბაზილიკა კი აღმდგენელ ოსტატს XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის გუმბათოვან ტაძარში ჩაურთავს (ზაქარაია №2, 2003: 7-9). თამარ ხუნდაძემ ცაიშის სამრეკლოს ფილაზე გამოსახული არქიტექტურული დეტალებისა და ეკლესიის გამოსახულების ფორმის გაანალიზებით ძეგლი X ს. II ნახევრითა და XI ს. დასაწყისით დაათარიღა. მკვლევარის შეხედულებით აღნიშნული დეტალი ჩართული უნდა ყოფილიყო შვერილაფსიდიანი ეკლესიის ფასადზე. ეს ეკლესია იდგა ახლანდელი ღვთისმშობლის ტაძრის ადგილას და მისი ნაშთები ამჟამად მთავარი ტაძრის აღმოსავლეთ მხარეშია მოქცეული (ხუნდაძე №4, 1988: 24, 29).

IV. 6. 2. ზუგდიდი. ვახუშტის ცნობა ზუგდიდის დიდ ველზე მდებარეობის შესახებ სინამდვილეს შეეფერება. ზუგდიდი გაშენებულია ჩხოუშიის ორივე მხარეს, ოდიშის დაბლობზე, და ცაიშს 10 კმ-ით არის დაშორებული. დადიანთა „დიდშენი და პალატებიანი, ხღუდე-გოდლიანი“ სასახლის შესახებ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე სახელოვანი მეცნიერის წინამორბედი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი (ლამბერტი 2011: 55). მისიონერ კრისტოფორო კასტელის ჩანახატის მიხედვით, რომელიც 1634 წლიდან მოღვაწეობდა სამეგრელოში, გვეძლევა შესაძლებლობა, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ზუგდიდის დადიანისეული სასახლის გარეგნულ იერსახეზე (კასტელი 1976: 172, სურ. 445). ირკვევა, რომ ზუგდიდი სარეზიდენციო პუნქტად გადაქცეულა XVII საუკუნეში, კერძოდ, ლევან II დადიანის მთავრობის პერიოდში. ამის შესახებ გვაუწყებს ლამბერტის თანამედროვე ჯუდიჩე მილანელი, თავის რელაციაში: „სამეგრელოს ქალაქი არ გააჩნია. აქაა მხოლოდ ერთი სასახლე, რომელიც დღევანდელი მთავრის ლევან დადიანის მიერაა აშენებული“ (მილანელი 1964: 84-85). ჯუდიჩე აქ სწორედ ზუგდიდის სასახლეს გულისხმობს.

დადიანის რეზიდენციაზე ცნობები დაცულია მოგვიანო ხანის (XIX ს.) წყაროებშიც. ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის – ჟაკ ფრანსუა გამბას მოგზაურობის ჩანაწერებში (XIX ს. 20-იანი წლები) ვკითხულობთ: „მთავარი დადიანი ზუგდიდში იმ სასახლეში ცხოვრობს, სადაც შარდენია ნამყოფი“ (გამბა, 1987: 114). ცნობილ გერმანელ მეცნიერ-მოგზაურს მორიც ვაგნერს მოუნახულებია დადიანის რეზიდენცია ზუგდიდში. იგი გვაუწყებს, რომ ზუგდიდი „ესაა ქვეყნის ძველი დედაქალაქი ჩეხნიას (Tschechnia?) ნაპირას მდებარე, რომელიც ჯუნისთან შეერთების შემდეგ ენგურში ჩაედინება. ზუგდიდი ძველთაგანვე იყო სამეგრელოს მფლობელთა მთავარი რეზიდენცია“ (იქვე: 140-141, 142-143). „ჩეხნია“ ჩხოუშიას დამახინჯებული ფორმაა, ხოლო „ჯუნი“ იგივე მდ. ჯუმია.

ზუგდიდის შესახებ ცნობების მართებულობის მიუხედავად ვახუშტი არაფერს ამბობს მაცხოვრის სახელობის გუმბათიან ტაძარზე, რაც დგას მანცხვარკარის უბანში. ექვთიმე თაყაიშვილი ტაძარს თავისი სტილით, ჩუქურთმებითა და მომრგვალებული საკურთხევლით XIII-XIV სს-ით ათარიღებდა (თაყაიშვილი 1913-1914: 193). დ. ბაქრაძე და თ. ბერაძე აღნიშნულ ტაძარს XV ს-ში აგებულად მიიჩნევდნენ (Бакрадзе I, 1875: 73; ბერაძე).

თვით ზუგდიდი გვიანი შუა საუკუნეების არაერთ ისტორიულ წყაროში გვხვდება. პირველი ქართული წერილობითი დოკუმენტი, სადაც ეს პუნქტი მოიხსენიება, არის 1621 წელს შედგენილი „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი“, სადაც ვკითხულობთ: „არის ზუგდიდს ივანაია, მართებს...“ (ქსძ III, 1970: 419). ზუგდიდი აღნიშნულია 1654 წელს შედგენილ ლათინურენოვან რუკაზე, კრისტოფორო კასტელის რუკასა და ჩანახატებზე და ტიმოთე გაბაშვილის მიერ 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე („ზუბდიდი“). სახელწოდება ორჯერ გვხვდება იმერეთის მეფის – სოლომონ I-ის 1778-1779 წლების დოკუმენტებში. ზუბდითის ფორმით მოიხსენიება რუხის ბრძოლაში ნადავლი ხარბაზნის ლულაზე შესრულებულ წარწერაზე (1780 წ.). XVI ს. ოდიშის ამბების აღწერისას ზუგდიდს ახსენებს ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი „მეცნიერ კაცთა“ კომისია, რომელმაც ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით XIV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორია შეადგინა. მემატიანის თქმით, ქართლის მეფე სიმონთან ოფშკვითში გამართული ბრძოლის დროს ოდიშის მთავარ დადიანს დარჩა ზარბაზანი და „არს ზუგდიდს, და უდიდეს ზარბაზანი ერთი არს რუხს დღესაცა“ („ქ. ცხ.“ II, 1959: 361, 503, 533). ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი 1611 და 1636 წლების ამბების დახასიათებისას ორჯერ მოიხსენიებს ზუგდიდს ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში, რაც 1651 წელსაა შესრულებული (ჯავახიშვილი IV, 1967: 376, 380; პაჭკორია 1974: 50).

ტოპონიმ „ზუგდიდის“ პარალელურად, XVIII საუკუნიდან, წერილობით წყაროებში მკვიდრდება „ზუბდიდი“ ფორმა, რაც XIX ს-ის I ნახევრის შემდეგ აღარ იხსენიება (პაჭკორია 1974: 49, 51). გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი, ოდიშის სოფლების ჩამონათვალში ასახელებს ზუბდიდს (გიულდენშტედტი 1962: 324). უფრო ადრე, რუსი ელჩები – თედორე ელჩინი და პავლე ზახარევი ოდიშში მოგზაურობის აღწერილობაში (1639-1640 წწ.) მონასტრის სახელწოდებად მიუთითებენ „ზუბდიდსა“ და „ზუკდიტს“: „Мая въ18 де нас Левонтей Чарь Шуаскова(Хомского-) манастыря взял в зубдиди к себе-334 ст (Посольство 1888: 334).

ტოპონიმის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ზუგიდი, რაც მიღებულია ორი ერთნაირი ბგერიდან (დ-დ) ერთერთის დაკარგვის გზით (ცხადაია II, 2007: 14). აღნიშნული ფორმა დასტურდება მეგრული ხალხური სიტყვიერების მასალებშიც (სამუშია 1971: 18, 74, 83, 100, 120; მისივე 1990: 115; ცანავა 1990: 248).

„ზუგდიდის“ ეტიმოლოგიით სხვადასხვა დროს არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა (დიუბუა დე მონპერე, ნიკო მარი, კარლ ჰანი, მარი ბროსე, პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ლ. ცხაკაია, ც. ქირია, მ. პაჭკორია, შ. მესხია, ა. ტუღუში, პ. ცხადაია, გ. ბედოშვილი, ქ. ლომთათიძე, ზ. ჭუმბურიძე, შ. გოგატიშვილი, რ. ერისთავი...). უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სახელწოდება წარმოქმნილია “ზურგ” სიტყვისაგან, ხოლო დიდი საზღვრული ზედსართავია (შდრ. ზენდიდი, ჭყონდიდი, ღალდიდი, სკურდიდი.) ტოპონიმის წარმოშობის ისტორიას პირველად შეეხო ფრანგი მოგზაური და მეცნიერი დიუბუა დე მონპერე. მან ტოპონიმის ამოსავალ სიტყვად ზუბი მიიჩნია. ამასთანავე, თავისი მოსაზრების გასამყარებლად ძველ დოკუმენტებში სახელწოდების ზუბდიდის სახით მოხსენიება დაასახელა და იქვე დასძინა, რომ ადგილობრივი მოსახლეობაც მას ზუფუს (<–ზუბუს) უწოდებდაო. „...ნამდვილად უცნაურ სახელს ზუფუს (Zouphou).. უეჭველად კავშირი აქვს ზუბდიდთან და ზუგდიდთან (Zoubdidi et Zougdidi), დიდი ზუბუ, ზუბი (begrande zoubou,Zoup), სამეგრელოს დადიანების რეზიდენციასთან“ (Duboiს 1839: 248). ეს მოსაზრება მოგვიანებით გაიზიარა და დამატებითი მასალით განავრცო პროფ. შოთა მესხიამ (მესხია III, 1986: 263-270).

ნიკო მარი ტოპონიმ „ზუგდიდში“ სკუთ//სკვით ეთნონიმისაგან მომდინარე სატომო სახელის – სგუს სახესხვაობას – სუგ-ს ვარაუდობდა, საიდანაც უნდა მიგვეღო სუგ-და, სუგუ-და ფორმები. და- ელემენტს მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელად მიიჩნევდა. ფუძეში ს- თანხმოვნის ზ- თანხმოვნად გამჟღერებისა და მეგრული ენისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი დისიმილაციის (უ-უ-ს გადასვლა უ-ი-ში) შედეგად სუგუდა ფორმიდან საბოლოოდ უნდა მიგვეღო ზუგიდ(ა)ი —> ზუგიდი//ზუგდიდი (Марр V, 1935: 31, შენიშვნა 2).

მკვლევართა შორის პირველმა მარი ბროსემ ქალაქის პირვანდელი მდგომარეობისა და იმის გათვალისწინებით, რომ „მანცხვარკარის“ ტერიტორია მართლაც დიდი ბორცვის შთაბეჭდილებას ტოვებს, ტოპონიმ „ზუგდიდის“ პირველი ნაწილის „ზუგ“-ის ამოსავალ ფორმად „დაზვინული მიწის“, „დიდი ბორცვის“ აღმნიშვნელი „ზურგი“ მიიჩნია (როსსეტ 1849, I: 20; შდრ. მესხია III, 1986: 264). ბროსეს აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა პლატონ იოსელიანმაც. მისი მსჯელობითაც „სახელწოდება ზუგდიდი წმინდა ქართულია. ის შედგება სიტყვებისაგან „ზურგი“ და „დიდი“, რაც ნიშნავს დიდ მაღლობს, ანდა აბსოლუტურად მაღალ ზურგს. ასეთივეა ფაქტიურად ადგილმდებარეობა „ზუგდიდი“. ზუგდიდის ადგილმდებარეობა არის ყველაზე მაღალი და აღმოსავლეთით მისი ერთი უძველესი კვარტალი ეკვრის მაცხოვრის კარს... როგორც კედელს, რომელიც სწრაფად მაღლდება ქალაქის ერთი ნაწილიდან (სსმ ხელნაწერთა ფონდი, №3070, 311; ციტირება ლ. ცხაკაიას ნაშრომიდან: იხ. ცხაკაია „მებრძოლი“, №117, 1958: 4).

„ზუგდიდის“ „ზურგ-დიდისაგან“ წარმომავლობის თვალსაზრისი გაიზიარა დიმიტრი ბაქრაძემაც და აღნიშნა, რომ სიტყვა ზურგდიდის ანუ ზუგდიდის წარმოქმნის მიზეზია ახალი ზუგდიდის მახლობლად, ვაკე ადგილას აღმართული დიდი გორა. ბროსეს აზრით, „ზუგდიდი“ (ზურგ-დიდი) იგივეა, რაც „დიდი ფერდობი, ანუ სხვაგვარად „დიდი გორა“ (Бакрадзе 1875: 56).

კ. ჰანის ვარაუდით ზუგ არაბულად იგივე „ბაზარია“. აქედან გამომდინარე, ზუგდიდი უნდა გავიაზროთ, როგორც „დიდი ბაზარიო“ (СМОМПК 40, 1909: 63). მკვლევარი იძლევა განსხვავებულ ვარაუდსაც. კერძოდ, ზუგდიდი იგივეა, რაც ზურგ-დიდი (большая спина, большой хребет) და მნიშვნელობით მეორე ცნობილ ტოპონიმს – ოზურგეთს უკავშირებს (იქვე: 63).

ქ. ლომთათიძის მოსაზრებით, ზუბდიდ-ზუგდიდის ფორმების ამოსავალი ზუგვ-დიდი ტოპონიმის ტრადიციულ გაგებას – „ბორცვ-დიდს“, „ზუგვ-დიდს“ მიესადაგება (ლომთათიძე 1984: 9, შენიშვნა 12). ეს მოსაზრება მოგვიანებით გაიზიარა გურამ ბედოშვილმაც და აღნიშნა, რომ ტოპონიმის ამოსავალია ქართველური ზუგ-//ზუგვ- სიტყვა, რაც „ბორცვს“, „გორაკს“, „შემაღლებულ ადგილს“ ნიშნავს. „როგორც ვხედავთ, – დაასკვნის მკვლევარი, – საკმაო საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ზუგდიდი გავიაზროთ როგორც „ბორცვდიდი“, „ადგილი, სადაც სხვა ბორცვთაგან განსხვავებული მაღალი ზუგი (ბორცვი იდგა)“ (ან დგას)“ (ბედოშვილი I, 2001: 164).

მ. პაჭკორიამ ანგარიშგასაწევად მიიჩნია ტოპონიმის დაკავშირება სიმაგრის აღმნიშვნელ სიტყვასთან – „ზუგი“, აგრეთვე „ზუგია-დიდის“ ვარიანტი. მისი აზრით, წყაროები არ ადასტურებს ზუგდიდის მიდამოებში დიდი სიმაგრის არსებობას, მაგრამ შესაძლებელია სახელწოდება დაუკავშირდეს აქ მაცხოვრის ეკლესიის დაარსების ისტორიას. სულხან-საბა „ზუგიას“ განმარტავს როგორც „საკმეველს“. საფიქრებელია, დაასკვნის ლ. ცხაკაიას მოსაზრების გათვალისწინებით მკვლევარი, ამ ადგილზე ეკლესიის აგებამდე მოწყობილი ყოფილიყო მახლობელ სამლოცველოებს შორის სიდიდით გამორჩეული სამლოცველო, ე. ი. ზუგია დიდი (პაჭკორია, 1974: 51-52; შდრ. ცხაკაია „მებრძოლი“, №117, 1958: 4).).

ტოპონიმ „ზუგდიდის“ შესახებ გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვას ისახავს მიზნად აბ. ტუღუშის წერილი, სადაც წარმოდგენილია დამატებითი მასალა იმ თვალსაზრისის გასამყარებლად, რომ „ზუგდიდის“ ამოსავალია „ბორცვის“ აღმნიშვნელი ზუგ-//ზურგ- სიტყვა (ტუღუში I, 1987: 158-164).

ზუგა, ზუგუ, ზურგა მეგრულში აღნიშნავს „ბორცვს, გორაკს, ქედს, მიწაზვინულს, შემაღლებულ ადგილს“. ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონის“ მიხედვით ზურგალე, ზურგულე იგივეა, რაც „ბორცვაკი“; ამასთანავე, ზურგას ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ციხე-სიმაგრე შემაღლებაზე“. იმავე ლექსიკონში მოცემულია შემდეგი განმარტებები: „ზუბი ბორცვი, გორაკი; მთის უღრანი ტყე“; „ზუგი საკმეველი“ და „ზუგია სასაკმეველე“ (ქობალია 2010: 311).

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ტოპონიმ „ზუგდიდის“ ამოსავალი უნდა იყოს ბორცვის, შემაღლებული ადგილის, მიწაზვინულის აღმნიშვნელი სიტყვა ზუგა, რაც ხშირად ფიგურირებს სამეგრელოს ტოპონიმიაში. ზუგდიდი „დიდი ბორცვი“ იმ სერის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რაც ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და დღეს „მანცხვარკარად“ იწოდება, მასზე აგებული მაცხოვრის ეკლესიის გამო. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „ძველი ზუგდიდი მომაღლო ადგილზე, გორაკზედ იყო გაშენებული, ახალი კი დაბლობზეა“ (თაყაიშვილი 1913-1914: 193).

მიკროტოპონიმიაში დასტურდება ორივე ფორმა – „ზუგდიდი“, „ზუგიდი“: ზუგდიშარა – გზა ინგირიდან ზუგდიდისაკენ; ზუგიდურკახათი // დიდკახათი – სოფ. კახათის უწინდელი სახელწოდება; ზუგდიდი // ზუგიდი – ბორცვი ინჩხურში (მარტვილის მუნიციპ.).

IV. 7. ჭანისწყლის ხეობა

IV. 7. 1. ჰიდრონიმი „ჭანისწყალი“. ხეთის აღწერის შემდეგ ვახუშტი აღნიშნავს, რომ მის ჩრდილოეთით „დის ჭანის წყალი, წოდებული ჭელენჯიხის გამო. გამოსდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, და მიერთვის ხღუას ხოფს. ამ მდინარის ჩდილოთ კერძოთ, ზღვს კიდეზედ არს ხოფი. აქა არს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული. აქ ეკლესიასა შინა მსუენარებს პერანგი ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, სასწაულთმოქმედი. ამ წყალზედ, ჩდილოს კიდესა ზედა და ხოფს ზეით, არს ეკლესია ჩაისს, დიდი, გუნბათიანი, კეთილშენი, და შემკული. ხის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ წყლის სამხრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონა-ზღუამდე. ამავ მდინარის ჩდილოთ კერძოდ დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი. ამ ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭელენჯიხი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს. ხის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდამ ზღუამდე“ (ვახუშტი IV, 1973: 778).

იგორ კეკელია,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ესე ამბავი ემზარ კვიციანისა და ნაცპროკურატურის ხელისბიჭ ბიჭიასი

როცა ანზორ კვიციანის საქმეს ვეცნობი, ერთი ძველი ანეკდოტი მახსენდება. სამმა მეგობარმა იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრეს – ერთი მათგანი პროკურორი გახდა, მეორე – მოსამართლე, მესამე კი ადვოკატი. მოხდა ისე, რომ სამივემ ერთ პროცესზე მოიყარა თავი, სადაც ოსი ეროვნების მოქალაქეს ასამართლებდნენ. პროკურორმა ბრალდებულისათვის მოითხოვა 15 წელი, ადვოკატმა მისი გამართლების მოთხოვნა დააყენა, მოსამართლემ კი რვა წელი მიუსაჯა. ეკითხება მოსამართლე ოსს: ბოლო სიტყვას ხომ არ იტყვიო.

– როგორ არ ვიტყვი! – აღშფოთდა ოსი, – თქვენ, კაცო, ერთი წიგნით არა სწავლობდით, ასეთი რამე რომ დამმართეთო!

ემზარ კვიციანის საქმის პროკურორს თენგიზ ხარებავას და მოსამართლე შოთა ბიჭიას არა მგონია საერთოდ ჰქონდეთ წიგნი წაკითხული, რაზედაც აშკარად მეტყველებს ემზარ კვიციანისათვის მათ მიერ მოთხოვნილ-მისჯილი განაჩენი – 12 წელი.

მე არა ვარ იურისტი და ამიტომ ვსაუბრობ საქმის მორალურ და ზნეობრივ ასპექტებზე, რომლის თაობაზე, როგორც ჩანს, მოსამართლე ბიჭიას ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნია.

ჯერ კიდევ ნაციონალების დროს ემზარ კვიციანს პროკურატურა სახელმწიფოს წინააღმდეგ ამბოხებასა და შეიარაღებული დაჯგუფების შექმნაში ადანაშაულებდა.

წაეთრენ ნაციონალები და გაგვიხარდა, რომ მათი მძიმე მემკვიდრეობა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ, თურმე ზუგდიდში სულ სხვაგვარად ყოფილა საქმე და პროკურატურა და სასამართლო, რომელიც როლანდ ახალაიას ხელსახოცს წარმოადგენდნენ, დღესაც განაბულები არიან ნაცების დაბრუნების მოლოდინში და ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ საზოგადოება დააბნიონ და დააშინონ – აქაოდა, მალე დაგვიბრუნდებიან სააკაშვილ-ახალაიები და რამე არ შეგეშალოთო!

დიახ, სწორედ ასე ფიქრობს ზუგდიდის რაიონის მოსამართლე შოთა ბიჭია, რომელმაც აშკარად **სადისტური** პრინციპულობა გამოავლინა და კვიციანს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა. (დიახ, **სადისტური**, ამხანაგო ბიჭია და მე ხშირად ვიხმარ თქვენი მისამართით იმგვარ ეპითეტებს, რომ გაიძულოთ სასამართლოში ჩივილი, სადაც იოლად დავამტკიცებ, რომ ქართულ სასამართლო სისტემაში თქვენი ადგილი არ არის!)

დიახ, როგორც ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორმა გულბათ ჭავჭავაძემ აღნიშნა, თქვენს მიერ გამოტანილი **სადისტური** სასჯელი გაოცებას არ უნდა იწვევდეს, მერაბიშვილი-ახალაიასადმი გამოტანილი სასაცილო ვადების ფონზე და მით უმეტეს მაშინ, როცა ისეთი ზოგადსაკაცობრიო დანაშაულისათვის, როგორიცაა ადამიანების წამება, სადისტ და სულიან-ხორციანად გადაგვარებულ მეგის ქარდავას სამწელიწადნახევარს უსჯიან თქვენი კოლეგები.

თქვენ ლატენტური ნაციონალიც არა ხართ – თქვენ ხართ ადამიანის სახედაკარგული ნაციონალი, ასევე ადამიანის სახედაკარგული როლანდ ახალაიასა და კლინიკური გიჟის მიხეილ სააკიანცის ყურმოჭრილი მონა, უპრინციპო გოშია, რომელიც კუდის ქიცინით ცდილობს თავისი ბატონების კეთილგანწყობის მოპოვებას! თქვენ ახლაც თავის ნებაზე გატარებთ მკვლელთა ოჯახის მამა – როლანდ ახალაია, მაგრამ მალე დადგება 2013 წლის თებერვალი და ჩვენი თვალსაწიერიდან გადაითესლება საქართველოს ისტორიაში პოლიტიკურად ყველაზე ანგაჟირებული და ყველაზე მახინჯი მოსამართლე კოტე კუბლაშვილი და, ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენნაირი უნებისყოფო და მონური სულისკვეთების მქონე მოსამართლეებიც მას გაჰყვებიან თან, როგორც სიმყრალის გამონაბოლქვი შავი შლეიფი.

კიდევ ერთხელ გიმეორებთ – სასამართლო სისტემაში თქვენი ადგილი არ არის!

მე უკვე აღარაფერი მიკვირს, მით უმეტეს იმ ქვეყანაში, სადაც ერთსულოვნად არჩეული პრეზიდენტის ნაცვლად ლატენტური ნაციონალი შეგრჩება ხელში. აბა, ასეთ საზოგადოებაში არაადექვატური და ანგაჟირებული მოსამართლით ვინ გაოცდება?

არავინ!

არ ვიცი ქართულად როგორ ვთქვა, მაგრამ რუსებს აქვთ სიტყვა **“предвзятость”**, რაც ნიშნავს იმ მოსამართლის პოზიციას, რომელსაც განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს და ყასიდად ატარებს სასამართლო სხდომას.

სწორედ ამას მაგონებს თქვენი საქციელი, ამხანაგო ბიჭია!

ამხანაგო ბიჭია, შენ სააკაშვილ-ადეიშვილის მიერ შექმნილი მახინჯ სასამართლო სისტემის თვალსაჩინო წარმომადგენელი ხარ, რომელიც მონურ მორჩილებაში იმყოფებოდა პროკურატურის წინაშე და, მართალია, ახალმა ხელისუფლებამ მოგანიჭა თავისუფლება, მაგრამ იმდენად დამახინჯებული გაქვს მენტალიტეტი, რომ ამ თავისუფლებას ბოროტი საქმეებისათვის იყენებ და და სრულიად უსამართლო გადაწყვეტილებებით ცდილობ საზოგადოების ნიჰილიზმი გააღრმავო არსებული ხელისუფლების მიმართ!

მაგრამ, გარწმუნებ, არაფერი გამოგივათ, რადგან თქვენს მახინჯ სისტემას ქართველმა ხალხმა საბოლოო განაჩენი გამოუტანა და თქვენნაირების საქართველოს ხელისუფლებაში მეორედ მოსვლა ისეთივე უტოპიურია, როგორც ორი წლის მიცვალებულის გაცოცხლება!

რაც შეეხება ემზარ კვიციანთან დაკავშირებულ საქმეს, იგი მორალურად აშკარად ამაზრზენია – ასამართლებ და თან 12 წელიწადს უსჯი სააკაშვილის რეჟიმთან მებრძოლ ქართველ კაცს, ადამიანს, რომელიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად თორმეტი წელი ინახავდა დალის ულამაზეს ხეობას. თქვენს მიერ გამოტანილი სასჯელიც უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს. გასაგებია, რომ დასავლეთის ზეწოლის ქვეშ ბიძინა ივანიშვილმა ხელშეუხებლად დატოვა მიშისტური სასამართლო, თავის კუბლაშვილიანად. ასევე არაფერი უღონია ღარიბაშვილს, ამ მიმართულებით. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან ემზარ კვიციანისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და სადისტური სასჯელი გაოცებას არ უნდა იწვევდეს, მერაბიშვილი-ახალაიასადმი გამოტანილი სასაცილო საპატიმრო ვადების ფონზე.

მაგრამ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული პროკურატურა რატომ არ იშურებს ძალას იმისათვის, რომ კვიციანი გამტყუნდეს და ყველაზე მძიმე ბრალდებები დაუდასტურდეს? სასამართლოსგან განსხვავებით, პროკურატურაში ხომ გატარდა მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები? განა ნებისმიერი პროკურორისთვის კვიციანის უდანაშაულობა ცხადი არ არის? ამიტომ, პროკურატურა (კერძოს, საქმის პროკურორი, აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორი თენგიზ ხარებავა) არღვევს როგორც იურიდიულ ნორმებს, ისე პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ინტერესების წინააღმდეგ მიდის. ხომ ცხადია, რომ კვიციანის დასჯა, მით უმეტეს, ასეთი მკაცრი დასჯა, ღარიბაშვილის რეიტინგს გაანადგურებს. ეს კი ხდება იმ ფონზე, როდესაც ღარიბაშვილის მთავრობას ღიად დაუპირისპირდა ირაკლი ალასანიას კლანი, ნაცურ **„შანტრაპასთან“** ერთად, რომელთაც, როგორც ცნობილია, ზურგს დასავლეთის გავლენიანი პოლიტიკოსები და სპეცსამსახურები უმაგრებენ. ჩვენ ცალკე წერილს მივუძღვნით კვიციანის საქმეზე პროკურატურის და კონკრეტულად თენგიზ ხარებავას უარყოფით როლს და მზის შუქზე გამოვიტანთ ყველა იმ სიბინძურეს, რაც ემზარ კვიციანის საქმეს უკავშირდება.

შესაბამისად, კვიციანის საქმე არ არის მხოლოდ მისი და მისი ოჯახის პრობლემა, ეს არის დიდი პოლიტიკური პრობლემა, რომელიც თავად ღარიბაშვილმა უნდა გადაწყვიტოს, რადგან პროკურატურისა და სასამართლოს წარსულის გადმონაშთებმა ფაქტობრივად, ღარიბაშვილს უთხრეს: **„შენ ვერ მართავ საქართველოს!“**

ბატონ გულბაათ რცხილაძისა არ იყოს, ჩვენი ღრმა რწმენით, პრემიერ-მინისტრმა მძლავრად უნდა დაჰკრას ხელი ნაცურ ქვეწარმავალს და ხერხემალში გადატეხოს იგი. თქვენ გაასამართლეთ ის ემზარ კვიციანი, რომელსაც წლების განმავლობაში წესიერად არ უძინია ლოგინში და ტყეებში ათენ-აღამებდა, რათა საქართველოსათვის დაენარჩუნებინა მისი ულამაზესი ისტორიული დალის ხეობა და ამას აკეთებ იმ ნაციონალთა საამებლად, რომელთაც ყველაფერი გააკეთს საიმისოდ, რომ ქვეყნისათვის სამუდამოდ ჩამოეშორებინათ ეს ისტორიულად ქართული მხარე!

ამხანაგო ბიჭია, ვიდრე შენ შენნაირი ავისმქმნელთაგან მადლობებს იღებ კვიციანის ესოდენ დაწიხვლისათვის, ილია მეორემ ემზარ კვიციანს საკანში ჯვარი, ლოცვები და წერილი შეუგზავნა. ამავე დროს, უწმინდესმა სთხოვა ბატონ ემზარს, შეწყვიტოს შიმშილობა, რადგან ფიქრობს, რომ ბრძოლა სამართლებრივი გზებით უნდა გააგრძელოს. თავად ემზარი თავს სუსტად გრძნობს, თუმცა კონტაქტურია.

აბა, როგორ არ მიმართავს ეროვნულ გმირად აღიარებული კაცი (არა თქვენნაირებისათვის, ამხანაგო ბიჭია) უკიდურეს ზომას, როცა მის მიმართ არ არსებობს მტკიცებულებები, რომელიც წაყენებულ ბრალდებას დაადასტურებს და ციხეში გამოკეტილია მხოლოდ შენი ბოროტი ნებით.

ჯერჯერობით კი ემზარ კვიციანს პროკურატურა სახელმწიფოს წინააღმდეგ ამბოხებასა და შეიარაღებული დაჯგუფების შექმნაში ადანაშაულებს, რაც სრული აბსურდი გახლავთ, რადგან სწორედ ემზარ კვიციანის რაზმის განიარაღების შემდეგ შესძლო ავადსახსენებელმა მიხეილ სააკაშვილმა, რომ კოდორის ხეობა **“ლანგრით”** მიერთმია მოწინააღმდეგისათვის. ასე რომ, ე.წ. **“კოდორის საქმეზე”** გასასამართლებელია პირწავარდნილი დაშნაკი მიხეილ სააკაშვილი (სააკიანცი) და მისი ნაციონალური ბანდა და არა ემზარ კვიციანი! ახლა მაინც თუ ხვდები, ვის მხარეზე დგახარ, შე საწყალო ბიჭია? ცხოვრება არც დღეს დაწყებულა და არც დღეს მთავრდება და ამიტომ, ეჭვი არავის ეპარება, რომ შენი საქციელი საქართველოს დამაქცევართა შორის მიგიჩენს **“ღირსეულ”** ადგილს, ემზარ კვიციანისგან განსხვავებით, რომელსაც ქართველი ერი უკვე აღიარებს ეროვნულ გმირად.

შენ, ბიჭია, ბრალდების მხარის არცერთი შუამდგომლობა არ დაგიკმაყოფილებია. თავდაპირველად ემზარ კვიციანის ადვოკატმა კობა კობახიძემ შუამდგომლობით მოგმართა საქმის მასალებში შესულიყო ვინმე პეტრე დევიშაძის გამოკითხვის ოქმი, სადაც ის აცხადებს, რომ ემზარ კვიციანის ლიკვიდაცია ყოფილი ხელისუფლების პერიოდში აჭარის კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელის თეიმურაზ პატარიძის ბრძანებით უნდა მოეხდინა. დევიშაძის მიერ დაწერილ ჩვენებაში ნათქვამია, რომ ბრძანების გაცემის შემდეგ აჭარის კუდის უფროსმა განუმარტა რომ **„დავალება ზემოდან, ვანო მერაბიშვილისგან მოდიოდა“.** ლიკვიდაციის სანაცვლოდ კი დევიშაძე დამკვეთებისგან 100 ათას დოლარს მიიღებდა. დევისაძეს კვიციანი მოსკოვში უნდა მოეკლა. როგორც ბრალდებულის ადვოკატები ყვებიან დევიშაძე მათ თავად დაუკავშირდა და მზადა იყო სასამართლოს გამოკითხვის ოქმში დაწერილი პირადად მოეხსენებინა.

ამ მასალის საქმეში შეტანის უფლება ადვოკატებს არ მიეცი და განაცხადე, რომ შუამდგომლობის წარდგენა პროცედურების დარღვევით მოხდა. ამის შემდეგ ადვოკატებმა და ბრალდებულმა შენი აცილების შუამდგომლობა დააყენეს და განაცხადეს, რომ პროკურატურის ზემოქმედების ქვეშა იმყოფებით და ობიექტურ ჭეშმარიტებას ვერ დაადგენთ. შენ კი, ბიჭია, საკუთარი თავის აცილების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილე.

შენ სარწმუნოდ მიიღე ვიღაც მოწმე ორენჩი მირზოევის ჩვენება, რომელმაც განაცხადა, რომ 2006 წლის კოდორის სპეცოპერაციის დროს ხეობაში განვითარებული მოვლენების გამო ნერვიულობის ფონზე ორსულ მეუღლეს მუცელი მოეშალა და ჩვილი დაეღუპა (თუ მუცელი მოეშალა, ორსულობა შეუწყდებოდა და არა ჩვილი დაეღუპებოდა. ნუთუ ამგვარ შეთხზულ ბრალდებას არ მიეცი სათანადო შეფასება?). კვიციანმა ამ ბრალდებას აბსურდული უწოდა და მირზოევს ურჩია არა მისთვის არამედ ამ სპეცოპერაციის დამგეგმავებისთვის ეჩივლა. მოწმე მარზოევის დაკითხვის დროს დარბაზში მყოფმა ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა რომ **„მირზოევი კრიმინალურ ბანდას ემსახურებოდა, სააკაშვილს, ოქრუაშვილს და მერაბიშვილს.“** ამ წამოძახილის შემდეგ ბათიაშვილმა თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით თევზაძესთან და რამდენიმე დამსწრესთან ერთად დარბაზი დატოვა. მოგვიანებით კი, შენ მათ სასამართლო პროცესიდან გაძევება გაუფორმე.

აი, როგორია შენი ჭეშმარიტება, ამხანაგო ბიჭია!

უფრო მეტიც, მოწმის სახით დაკითხული შინაგან საქმეთა სამინისტროს აშკარად მიკერძოებული თანამშრომლები ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აცხადებენ, რომ კვიციანის შეიარაღებული დაჯგუფებისგან მორალური ზიანი მიადგათ. მოწმე გიორგი გაფრინდაშვილმა სასამართლოს განუცხადა, რომ მისთვის ყველაზე დიდი ზიანი ის იყო, რომ კოდორში ქართველი ქართველს ესროდა. კვიციანის ინტერესების დამცველის კითხვაზე რა კავშირი ჰქონდა ემზარ კვიციანს ამ ყველაფერთან და რა ზიანი მიიღო პირადად კვიციანისგან გაფრინდაშვილმა ვერ უპასუხა. მოწმემ ვერ გაიხსენა რამდენი სამართალდამცავი, რამდენი ავტომანქანით ავიდა კოდორის სპეცოპერაციის ჩასატარებლად, კითხვების უმეტესობაზე მოწმე პასუხობდა რომ ფაქტებს ვერ იხსენებდა, რაზედაც ემზარ კვიციანმა სასამართლოს განუცხადა, **„ეს ადამიანი ვერაფერს იხსენებს, არაფერი არ ახსოვს გარდა იმისა, რომ თურმე მე მივაყენე მორალური ზიანი, მე ვფიქრობ, რომ ეს პიროვნება საერთოდ არ იმყოფებოდა კოდორში“.** ამის შემდეგ მოწმემ კოდორის გეოგრაფიის მტკიცება დაიწყო და კვიციანს აუხსნა, თუ საიდან ჩამოედინება მდინარე კოდორი.

ვერ ყოფილხარ მთლად გამჭრიახი ადამიანი, ბიჭია (კარგი იურისტიც რომ ვერა ხარ, ამაზე, ყველაზე თვალნათლივ, შენივე საქმეები მეტყველებენ), რადგან რამდენიმე არამზადა ნაციონალისათვის კმაყოფილების მოსაგვრელად მთელი საქართველოს ქილიკი და აპათია დაიმსახურე.

მე პირადად არც თქვენ გიცნობთ, ამხანაგო ბიჭია და არც ემზარ კვიციანს, მაგრამ კარგად ვიცნობ ცხოვრების მორალურ და ზნეობრივ ასპექტებს, ვიცი, როდის შეიძლება და როდის არა საკუთარი სინდისის წინააღმდეგ კომპრომისზე წასვლა და სწორედ ამიტომ გეუბნებით ყველას გასაგონად, რომ შენი საქციელი ამოვარდნილია ყოველგვარი იურიდიული, მორალური და ზნეობრივი ნორმებიდან და სატანის მსახურებას უფრო მაგონებს, ვიდრე კანონისადმი თუნდაც ბრმა მორჩილებას!

ამიტომ, ძმებო და დებო ზუგდიდელებო, უბრად აუარეთ გვერდი უსამართლო მოსამართლე ბიჭიას და პროკურორ თენგიზ ხარბედიას, არ მიესალმოთ მათ, არ ჩამოართვათ ხელი, არ დაჯდეთ მათთან ერთად სუფრასთან, წყევლა-კრულვა მიაყოლეთ მათ ნაკვალევს, რადგან ამგვარი სულისკვეთების მქონე ადამიანები ნამდვილად არ იმსახურებენ თქვენს კეთილგანწყობას!

რაც შეგეხება შენ, ამხანაგი ბიჭია ჩემი ასაკის ადამიანს შვილისშვილად თუ არა, ალბათ შვილად მაინც შეეფერები. მაგრამ ნუ გაგიკვირდება ჩემი განსაკუთრებული სიმკაცრე, რადგან იმგვარ სიბოროტეს, რაც თქვენ ჩაიდინეთ, საკუთარ შვილსაც კი არ აპატიებს ნორმალური ადამიანი.

როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ “ილორის” მთავარი რედაქტორი, “ფაზისი”-ს და “აია”-ს აკადემიების წევრი

წერილი მინდა გავასრულო ცნობილი ქართველი ჟურნალისტისა და პოეტის, ღვაწლმოსილი მეცნიერის ბატონ ალექსანდრე შენგელიას გამოხმაურებით:

ფიცის ერთგულება

მას, ვინც იჭერდა ნორა კვიციანს,
ვინც ციხეს უსჯის ემზარ კვიციანს,
მსჯავრს ხალხი დასდებს,
ალბათ, იციან,
რამეთუ ხალხის ფიცი მტკიცეა.
ვინც გაგვიყიდა დალის ხეობა,
მტერს რომ მსახურებს,
ეს რაკი ვიცით,
ერთგული არის მოსახლეობა
ხატის წინაშე ნათქვამი ფიცის!
და გაერკვევა, შოთა ბიჭიას
რა პრინციპი და რისი ნიჭი აქვს,
მოსამართლე თუ „ნაცთა“ ბიჭია?

როგორც გაზეთი “ილორი” ჯერ კიდევ შარშან იტყობინებოდა, – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაზა მეიშვილი, რომელიც იუსტიციის საბჭოშიც თანამდებობით მეორე იყო, საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა ევროპის სახალხო პარტიის უმაღლეს ფორუმში. სამწუხაროდ მისი თანამდებრობრივი სტატუსისათვის ამ შეუფერებელ საქციელს იუსტიციის საბჭოსა და უზენაეს სასამართლოში სათანადო შეფასება არ მოჰყოლია. სულმნათი ვაჟა-ფშაველას თქმისა არ იყოს, „ვაი, ეგეთას სამართალს!“

ისეთ პირობებში, როდესაც უშუალოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარიდან, ბატონ კოტე კუბლაშვილიდან დაწყებული, დამთავრებული მოსამართლე შოთა ბიჭიათი, თითქმის უკლებლივ ყველა ერთიანი ნაციონალური პარტიის წევრი ან ამ პარტიის ერთგულებაზე ფიცდადებული კადრია, შეიძლება იმის თუნდაც ერთი ფიორის ტოლი იმედი გვქონდეს, რომ დაცული იქნება წმიდა მეფის – დავით აღმაშენებლის ანდერძი, რომ „მსაჯული მართლადა სჯიდეს?“

ეს შეუძლებელია და უკვე დადასტურდა იმ ფარსით, რომელიც ნაციონალ სამართალდამცველთა „დუეტმა“ – პროკურორმა და მოსამართლემ გრაალის თასის ერთგული მცველის – ემზარ კვიციანის პროცესზე “სამართალი” ცინიკურად გაითამაშეს და 12 წელიწადი მიუსაჯეს ჭეშმარიტად ეროვნულ გმირს, რადგან საქართველოს 12 წელიწადს შეუნარჩუნა დალის ხეობა!

ალექსანდრე შენგელია

მისტიური ნოსირი

„გეორგიკის" მეორე ტომის შტუდირებისას უნებურად წიგნის ბოლოში საკუთარ სახელთა საძიებელში წავაწყდი ტოპონიმებს: ლისირი (ნოსირი) და ლოსორიონი (ნოსირი) (იხ.გეორგიკა, 1965, 314).

გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტომი მეორე, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, მეორე შევსებული გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი 1965.

ძალიან გამიხარდა ჩემი მშობლიური სოფლის სახელის ხსენება ამ დიდად მნიშვნელოვან გამოცემაში. შემდგომ, როდესაც შესაბამისი გვერდები წავიკითხე, აღმოჩნდა, რომ ბატონ სიმ. ყაუხჩიშვილს სტატიაც კი მიუძღვნია ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმისათვის სათაურით „ნოსირის ბერძნული წარწერა" (იხ. თსუ შრომები, ტ. XVIII, 1941, 141-147).

ჩვენ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მივაკვლიეთ ამ შრომების XVIII ტომს საიდანაც მოვიყვანთ ამონარიდებს:

„პროკოპი კესარიელი თავის ნარკვევში DE aedificiis იხსენებს „ლოსორიონის" ციხეს, რომელიც იუსტინიანე მეფეს (527-565) აუგია ლაზეთში" – შემდეგ მოყვანილია ბერძნული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი: „ლაზიკის მიწა-წყალზეც ააგო [იუსტინიანემ] ერთი ციხე, სახელად ლოსორიონი, და ამ ქვეყანაში ვიწრობებიც გაამაგრა, რომელთაც ჩვეულებრივ, კლისურებს ეძახიან...", ამის შემდეგ ყაუხჩიშვილი წერს: „იგივე პუნქტი უნდა იგულისხმებოდეს იუსტინიანეს XXXI ნოველაში, სადაც სხვა ციხე-სიმაგრეებს შორის, რომლებიც 532 წელს ზავით ბიზანტიამ უკან დაიბრუნა ირანელებისგან, დასახელებულია აგრეთვე, Λυσίρίs. ლაზეთში მდებარეობსო – ნათქვამია ნოველაში. შემდგომ მოდის ბერძნული ტექსტი და მისი ყაუხჩიშვილისეული თარგმანი: „არქეოპოლისი და როდოპოლისი, უდიდესი და ძველი სიმაგრეები, აქვე შედის აგრეთვე ჩვენ მიერ სპარსელებისაგან უკან ჩამორთმეული სიმაგრეები სკანდისი, სარაპანისი, მუ[ხი]რისი და ლჳსირი და სხვა რამეც რაც კი ლაზეთში შევიძინეთ". ავტორი (ს.ყაუხჩიშვილი-ნ.კ) სათანადაო მსჯელობის შემდეგ აღადგენს ციხე-სიმაგრის ფორმას Λ ο υ σ ί ρ ί s (ლ უ ს ი რ ი || ლ ო ს ი რ ი ; შდრ.მუხირისი‖მოხირისი).

შემდეგ ს.ყაუხჩიშვილი განაგრძობს: „... იუსტინიანე თავის ნოველაში იმ მნიშვნელოვან პუნქტებს, რომლებიც ირანელებს სჭერიათ 532 წლის ზავამდე, ჩამოთვლის რიგრიგად მოყოლებული იბერიის საზღვრებიდან შიდა ლაზეთისკენ: სკანდე-შორაპანი-მუხირისი. მეოთხე პუნქტად ამავე ხაზზე დასახელებულია „ლოსირი", რომელიც რიონის გაყოლებით მდებარე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს, მუხირისის დასავლეთით, როგორც ეს სჩანს იუსტინიანეს მსჯელობის მიმდინარეობიდან. ამ პუნქტის შესახებ 1934 წელს ჩვენ გაკვრით ვწერდით: „ასეთი პუქნტი საგულისხმებელია ან სკანდე-სარაპანისის სასაზღვრო ხაზზე ან შიგნით ლაზიკაში, იქ, სადაც სპარსელ-ბიზანტიელთა საომარი ოპერაციები ხდებოდა; ამ რაიონში არის, მაგალითად, ნოსირი, აბაშასა და ტეხურს შუა, რომლის მახლობლად მდებარეობენ საომარი ოპერაციებით საკმაოდ ცნობილი პუნქტები: სამხრეთით Νησοs – ისულეთი, ხოლო ჩრდილოეთით Αρχαιόπολίs- ნოქალაქევი". 1936 წლის ივლისში ჩვენ მიერ ადგილობრივ, სოფელ ნოსირში ჩატარებულმა მუშაობამ შეგვძინა ახალი მასალები."

შემდგომ ამისა ს.ყაუხჩიშვილი განაგრძობს: „პროფ. გ.ნიორაძის მიერ ჩვენთვის გადმოცემული ცნობით, სოფ. ნოსირში ერთს ადგილობრივ მცხოვრებს უპოვია ბერძნული წარწერით აგური. ადგილობრივ მცხოვრებ ყარამან ოდიშარიასთან ჩვენ მართლაც, ვნახეთ აგური, რომელშიაც ამოჭრილია ქვემოთ მოყვანილი წარწერა. ამ წარწერის პოვნის ისტორია შემდეგია: ნოსირის იმ ნაწილში, რომელსაც საოდიშარიო ჰქვია, ოდესღაც ძველი ეკლესია ყოფილა. არავის ახსოვს ის ეკლესია, არც ის, თუ ვის სახელზე იყო ის აგებული, ახსოვთ მხოლოდ მისი დანგრეული კედლები. ოთხმოციოდე წლის წინათ აუგიათ ხის ეკლესია, რომლის შენობა დღესაც დაცულია. 1902 წელს ადგილობრივ მცხოვრებლებს გადაუწყვეტიათ ძველი დანგრეული ეკლესიის ადგილას აეგოთ ახალი ქვითკირის ეკლესია. ამ მიზნით მათ მოუსუფთავებიათ საჭირო მოედანი, გაუსწორებიათ ნიადაგი, ძველი მთლიანი ქვები გამოუყენებიათ, ხოლო ნატეხები ქვისა და აგურისა სოფლის გზაზე დაუყრიათ (50 ურემი ნატეხი აგური გადაუყრიათ). ამ მუშაობის დროს ერთ აგურზე რადაც წარწერა შეუნიშნავს ყარამან ოდიშარიას და შეუნახავს ეს აგური, ფრაგმენტულად დაცული. მოსუფთავებულ მოედანზე მცხოვრებლებს დაუწყიათ ახალი შენობის აგება და კიდევაც ამოუყვანიათ კედლები ერთი მეტრის სიმაღლეზე, ხოლო ამასობაში მოუსწრია 1905 წლის რევოლუციის ამბებს და შენობის აგებისათვის თავი გაუნებებიათ (დღესაც იქ დგას ერთი მეტრის სიმაღლის ქვის კედლები).

წარწერა ამოჭრილია კვადრატულ აგურში (30 cm სიგრძე-სიგანე, 4 cm სისქე), რომელიც დღეს ოთხ ნატეხად არის შენახული (აკლია მეხუთე ნატეხი ქვედა მარცხენა კუთხისა), 12 სტრიქონად...

...ქართულად: „ოდეს დაჯდები ტახტზე, მაცხოვარო, და გამოიკვლევ ჩემს ფარულ საქმეებს, დამიცავი მე შენი მარჯვენით, უკვდაო და სამების წმიდაო, ... გმადლობ შენ, ღმერთო, წმიდისა მიერ ძისა შენისა, იესუ ქრისტესი, უფლისა ჩვენისა, რომლის შემწეობით გაგვინათლე ჩვენ, შეგვიწყალე ჩვენ და გამოგვიცხადე ..."

და ბოლოს ს.ყაუხჩიშვილი ასე ასრულებს ამ შრომას: „ერთგვარ დასაყრდენს „ნოსირის" ლოკალიზაციისათვის იძლევა შემდეგი გარემოებაც. წარწერა ნაპოვნია ძველი ეკლესიის ნანგრევებში, როგორც ვთქვით, დღეს არავის არ ახსოვს ის ეკლესია, არც ის, თუ ვის სახელობაზე იყო ის აგებული, მაგრამ ის ხის ეკლესია, რომელიც ამ ოთხმოციოდე წლის წინათ აუგიათ დროებით, დღესაც ატარებს წმ.სტეფანეს სახელს. წმ. სტეფანეს სახელობის ტაძრები ჩვენში იშვიათია... და აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ცნობები, რომლებიც მოცემულია აგათიას ისტორიაში. 554 წელს ონოგურისთან მომხდარი ბრძოლის აღწერის დროს აგათია "ონოგურისის" სახელის განმარტებას ცდილობს და ამბობს: „ეს სახელი (ე.ი. ონოგურისი) ძველადვე შეერქვა ამ ადგილს შესაძლებელია იმის გამო, რომ ჰუნნები, რომელთაც ონოგურები ეწოდებოდათ, ამ ადგილას შეჰბმიან კოლხებს წარსულ წლებში და დამარცხებულან და ამ გამარჯვების ნიშნად და ძეგლად ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს სახელი შეურქმევიათ ამ ადგილისათვის. ამჟამად ბევრი ასე კი აღარ უწოდებს, არამედ, რადგან აქ დაფუძნებულია იმ წმინდა სტეფანეს ტაძარი, რომელიც, როგორც ამბობენ, საკუთარი ნებით შეება მტერს საუკეთესო ქრისტიანთა გულისათვის და ჩაქოლილ იქნა მოწინააღმდეგეთა მიერ, მისი სახელი ეწოდა ამ ადგილს".

აგათიას ამ ცნობიდან ირკვევა, რომ იმ საბრძოლო ხაზზე, სადაც ონოგურისი მდებარეობდა, ყოფილა წმ. სტეფანეს სახელობის ტაძარი, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მისი სახელი მთელი იმ ადგილისათვის შეურქმევიათ. რომ ახლანდელი სოფელი ნოსირი სწორედ ამ ხაზზე მდებარეობდა ეს დასტურდება ორი გარემოებით: 1) ონოგურისი წარმოადგენს არქეოპოლისის მიდამოებში საჭირო სასიმაგრო საფარს (გეორგიკა III, 40,148), ხოლო არქეოპოლისიდან ჯარის ერთ-ერთი მარშუტია, ჩვეულებრივ, არქეოპოლისი-ნოსირი-ნესოსი; 2) სოფელ ნოსირში დღესაც არის შენახული კვალი სასიმაგრო კედლებისა სწორედ ეკლესიის (იგულისხმეთ წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესია) მიდამოებში. მომავალი არქეოლოგიური გათხრები, უნდა ვიფიქროთ, ამ, VI საუკუნეში მნიშვნელოვან, სტრატეგიულ პუნქტს საბოლოოდ გამოავლენს" – იმედოვნებს ს. ყაუხჩიშვილი.

ამით სრულდება პასაჟების მოხმობა ს. ყაუხჩშვილის სტატიიდან. პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ ზემოთმოყვანილი წარწერის შესახებ. რაღაც საოცარი სითბო და მოწიწება გამოსჭვივის ტექსტის ავტორის მიერ მაცხოვრისადმი მიძღვნილ სიტყვებში; იგრძნობა თითქოს, არ შემეშინდება ამ სიტყვების, ის (მაცხოვარი) მისი სისხლი და ხორცია, მისი თანამემამულეა, მისი წინაპარი და მისი თუ გნებავთ სიამაყეა. იფიქრებთ უფლის მიკერძოება მკრეხელობაა, მაგრამ მე უფლისადმი მიძღვნილ არცერთ სხვა წარწერებში არ მიგვრძნია ასეთი უსაზღვრო სიყვარული, იმედი ცოდვების მიტევებისა და როგორც შემდგომ დავინახეთ, ამას გააჩნდა თავისი ობიექტური მიზეზები.

რაც შეეხება ტოპონიმ "ონოგურისს", ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში განმარტებულია, როგორც ტოპონიმი ონოგურისი, ისე ონოგურისის ბრძოლა 554, რომელთაც აქვე მოვიყვანთ:

"ონოგურისი-ისტორიული ციხე-სიმაგრე დას. საქართველოში ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვან სტრატეგიული პუნქტი არქეოპოლისის (ახლანდელი ცხაკაიას (სენაკის-ნ.კ.) რ-ნის ტერიტორია) მახლობლად. ზუსტი ადგილმდებარეობა დაუდგენელია..."

როგორც ქართული ენციკლოპედიიდან სჩანს ონოგურისი არქეოპოლისის მახლობლადაა, ხოლო ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ ის ნოსირში უნდა იყოს. ჩვენც იგივე აზრის ვართ თვით ტოპონიმ "ნოსირის" ეტიმოლოგიიდან გამომდინარე. საქმე იმაშია, რომ "სირუა" მეგრულად ნიშნავს "სრვას", "წყვეტას", ხოლო "ნოსირი" – ალაგს, სადაც ადგილი ჰქონდა წყვეტას და სრვას. ეს ტოპონიმ ნოსირის მხოლოდ ერთ-ერთი ეტიმოლოგიაა (როგორც შემდგომში გამოჩნდება ამ ტოპონიმს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ეტიმოლოგიებიც გააჩნია). ასე, რომ ონოგურისის ბრძოლა სწორედ ნოსირის მიდამოებში მოხდა. რასაც ადასტურებს მისი სიახლოვე არქეოპოლისთან და მისი სახელის ეტიმოლოგია, ასევე აღსანიშნავია ნოსირის მდებარეობა, ის გაშლილ ადგილს წარმოადგენს, რაც ძალიან ხელსაყრელია ბრძოლების ჩასატარებლად.

ახლა ცოტათი ძირითად თემას გადავუხვიოთ და შევეცადოთ წარმოვაჩინოთ იბერიული ტომების ღვაწლი ბიბლიური ტექსტების შექმნის საკითხში.

მოვიყვანოთ ვრცელი ამონარიდი ცნობილი ავსტრიელი პოეტისა და მოაზროვნის რაინერ მარია რილკეს წიგნიდან "წერილები" (რაინერ მარია რილკე, წერილები, გერმანულიდან თარგმნეს: ნანა გოგილაშვილმა და დალი ფანჯიკიძემ, გამომცემლობა მერანი, თბილისი, 2002, გვ.39-41). წერილში თავადის ქალი ჰოენლოესადმი ვკითხულობთ შემდეგს: "... ყველაზე მეტად მიტაცებს ფაბრ დ'ოლივეს (ფაბრ დ'ოლივე (1768-1825) – ფრანგი პოეტი და ფილოსოფოსი) კითხვა. ის ორი წიგნი ... ერთ-ერთი ნაცნობისათვის გამოვიწერე, მაგრამ წიგნები რატომღაც ჩემთან მოხვდა; ჰოდა, მეც ვეღარ გავუძელი ცდუნებას, არ გადამეთვალიერებინა ისინი; ეს გადათვალიერება კი ნელ-ნელა მთელი გვერდების კითხვაში გადაიზარდა. საქმე ეხება სრულიად უჩვეულო პიროვნებას; საკუთარი თავის წინაშე დასმულ ამოცანას ეს კაცი, ასე ვთქვათ, ახლოსაც კი ვერ მიუდგა, მისი ნაშრომები (რამდენადაც ამის ერთი თვალის გადავლებით ვხვდები), მხოლოდ და მხოლოდ, მოსამზადებელი სამუშაოა, მაგრამ ამ სამუშაოსადმი დაწერილ შესავალში გამოთქმულია აზრი, რომლის განხორციელებაც ალბათ მაშინ თუ მოხერხდებოდა, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვეულებრივზე ხუთჯერ ან ათჯერ მეტი რომ ყოფილიყო. ეს შესავალი ბევრი რამითაა განსაცვიფრებელი და თუ არ ვცდები, იმდენად ბევრს გვპირდება, რომმის მიერ დასახული ზოგიერთი ამოცანა შეიძლება მომავალში განხორცილდეს კიდეც. თავდაპირველად ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეიქმნა, თითქოს აქ ვიღაც ისეთის ხელი ერია, ვისაც ანტიკური მისტერიების, მათი საზრისისა და იდუმალი არსის წვდომის უნარი გააჩნდა; მე მგონია, ეს ცალწილ მისი გუმანის წყალობა უნდა იყოს, ცალწილ კი იმისა, რომ გათავისების საოცარი ნიჭი მას თანდათანობით აზიარებდა ყველა ენას, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ საიდუმლოთა გაცხადების ძველთაძველი უნარი; ეს არაბულით დაიწყო და შემდგომ ამისა ამ საიდუმლოს ნელ-ნელა, ერთმანეთზე მიყოლებით ეხდება ფარდა, ისე რომ ადამიანი მშობლიურ გარემოშია მოხვედრილი და იმ ადამიანთა თანამედროვედ გრძნობს თავს, ცნობილ გოდოლამდე რომ არსებობდნენ, რომლის მნიშვნელობაც დიდის არეულ-დარეულობით დამთავრდა. ამრიგად, რაკიღა ფაბრს ამ წყაროებზე ხელი მიუწვდებოდა, უკვე შეეძლო დედამიწის ისტორიის შექმნაზეფიქრა, კვლავაც უნდა მიბრუნებოდა მოსამზადებელ სამუშაოებს, რადგან მანამდე ამ სფეროში თითქმის არაფერი გაკეთებულა და ამიერიდან მისი ცხოვრება მართლაც ამ შრომაში მიედინებოდა, რომელიც არა ერთგზის შეფერხდა და შეწყდა, და უკუგდებულიც კი იქნა; ამ ცხოვრების ნაპრალებში მრავალ ჭორსა და მითქმა-მოთქმას დაებუდებინა; ამბობენ, იგი გულგანგმირული იპოვნესო იმ რელიგიის საკურთხევლის წინ, რომლის მხურვალე მესვეურადაც ნელ-ნელა ქცეულიყო. ასეა თუ ისე, ყველა მისი ბიოგრაფი ერთხმად აღიარებს, ამ ადამიანის პიროვნება სასწაულმოქმედ ძალებს ასხივებდაო; თურმე მარტოოდენ მისი მაგნიტური ძალის წყალობით წიგნები თაროებიდან საწერ მაგიდაზე გადაადგილდებოდნენ, ხოლო თუ ამ წიგნების ავტორები ცოცხლები აღარ იყვნენ, გამოუხმობდა მათ, აიძულებდა პასუხი გაეცა ყველა საკითხზე და ხანგრძლივ საუბრებს მართავდა მათთან.

საინტერესოა ადამიანის, როგორც ისტორიული არსების, შესწავლის მისეული გზა; იგი ამბობს, რომ ყველაზე შორეულ საგანთა შესახებ არ შეიძლება არსებობდეს უფრო მნიშვნელოვანი წყარო, ვიდრე სხვადასხვა ხალხში შემორჩენილი წმინდა წერილებია, და ცდილობს გაარკვიოს, რატომ მოხდა, რომ ერთი ჭეშმარიტების მაუწყებელი ეს ფუძემდებლური წიგნები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ფაბრ დ'ოლივეს საჭიროდ მიაჩნია შეეისწავლოთ და ერთმანეთს შეეუჯეროთ ინდუსების, ჩინელებისა და ეგვიპტელების უძველესი კოსმოგონიები; იგი ნელ-ნელა მიუყვებოდა ამ გზას, ვიდრე ბოლოს ებრაულ ენას (მან საფუძვლიანად აღადგინა ეს ენა და გამოსცა ებრაული ენის ისტორია და გრამატიკა) თითქმის არაფერი აქვს საერთო შესაქმეს ცნობილ ტექსტებთან, და მოსეს ძველებრაულად არ წარმოუთქვამს თითქმის არცერთი იმ სიტყვათაგანი, რომლებსაც მას მიაწერენ ბერძნულსა და ლათინურში."

ჩვენში ფაბრ დ'ოლივეს სახელი ნაკლებად ცნობილია. ვერც ენციკლოპედიებში მივაკვლიეთ მის სახელს, მაგრამ თუ ზემოთ მოყვანილი ციტატით ვიმსჯელებთ რილკეს წიგნიდან, სადაც დ'ოლივე მსჯელობს ებრაული ენის შესახებ (რომელი ენაც მას ღრმად შეუსწავლია) და აცხადებს, რომ ამ ენას არაფერი აქვს საერთო შესაქმის ცნობილ ტექსტებთან; გამოდის, რომ ბიბლია ებრაელთა შემოქმედების ნაყოფი არ ყოფილა. მაშ რომელი ერის შემოქმედების ნაყოფია ის? სანამ ამ კითხვაზე ჩვენ მოსაზრებას გამოვთქვავდეთ, მოვიყვანოთ ციტატა ზვიად გამსახურდიას წიგნიდან "საქართველოს სულიერი მისსია" გვ. 8-9: "ვილჰელმ ჰუმბოლდტი მისმა გამოკვლევებმა ბასკური ენის სფეროში და პირინეის ნახევრაკუნძულის უძველესი მოსახლეობის ვინაობის კვლევის სფეროში მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი-ხმელთაშუა ზღვის რასსა, მედიტერანული რასსა, ანუ მედიტერანული მოდგმა. იმ-მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასსა, უძველესი მედიტერანული რასსა, რაც ურთიერთის იდენტურია. საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუაზღვის აუზში, ეგეოსის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე, მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გავრცელების არეალი იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევების მიხედვით ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდგმისა, ამ რასსისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება და თუ ეს ენაკავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები."

როგორც ცნობილია იბერებში პირველ რიგში მოიაზრებიან მეგრელები. ამის შესახებ საუბრობენ როგორც უცხოელი, ასევე ცნობილი ქართველი მეცნიერები. მეორეს მხრივ ამ ბოლო ხანებში დადგინდა ისიც, რომ კაცობრიობის ისტორია იწყება შავსა და კასპიის ზღვებს შორის არსებული ტერიტორიიდან, ანუ იგივე იბერიიდან. იგივე კოლხეთიდან. (ამ საკითხს რამოდენიმე წიგნი მიუძღვნა ცნობილმა ისტორიკოსმა, პროფესორმა კლიმენტი შელიამ). შემდგომ პერიოდში მოხდა ამ ტერიტორიიდან ხალხთა გადინება მსოფლიოს ყველა მიმართულებით და მათ შორის იმ ტერიტორიებზე, რომელიც ჩამოთვლილია ციტატაში ზვიად გამსახურდიას წიგნიდან.

ნუგზარ კვაშილავა
"ფაზისი"-ს აკადემიის ნამდვილი წევრი

მოყვარეს პირში უძრახე...

„მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო!..“

– გულისტკივილით წერდა მეცხრამეტე საუკუნეში დიდი ილია ჭავჭავაძე.

ილია ამ სიტყვებს წერდა იმ დროს, როცა მას მხარში ედგნენ იაკობი, აკაკი, ვაჟა... თერგდალეულთა მთელი პლეადა, მწერლები, პოეტები, სამღვდელოება...

ილია ამას წერდა იმ დროს, როდესაც საქართველოს, ქართველ ერს გადაგვარების, გადაჯიშების, გაქრობის საფრთხე არ ემუქრებოდა; პირიქით – ერი მრავლდებოდა, განათლებას იღებდა, ქართული მწერლობა და თეატრი ძველ დიდებას იბრუნებდა. ქართველი კაცი უზარმაზარ იმპერიაში სამეცნიერო, სამხედრო თუ ხელოვნების ასპარეზზე ტოლს არავის უდებდა და თავისი ნიჭით მშობლიურ ერს სახელს ჰმატებდა.

გამოჩნდნენ ქართველი მეწარმენი, ეროვნული ბურჟუაზიის პირველი მერცხლები, რომლებიც კონკურენციას უწევდნენ უცხოელ (ძირითადად, სომეხ) ვაჭრებს, მეწარმეებს და მოგების უდიდეს ნაწილს სამშობლოს კეთილდღეობას ახმარდნენ.

ენა, მამული, სარწმუნოება ყოველი ქართველისთვის ღვთიური, წმიდათაწმიდა, საფიცარი ხატი იყო...

ქართველი ერი სულიერად ემზადებოდა ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის!

ასეთ ვითარებაში ილიას თითქოს სასაყვედურო არავისთან უნდა ჰქონოდა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ არსებობდნენ მტრების მიერ მოსყიდული, მარიონეტი, ანტიეროვნული, გადაგვარების მოსურნე ქართველებიც, რომლებიც უცხოთა წაქეზებითა და ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს გადამწყვეტ მომენტში ლახვარს ჩასცემდნენ!

ეს გრძელდება დღესაც, ოღონდ ჯერჯერობით უსისხლოდ!

მადლობა ღმერთს, არიან ადამიანები, რომლებიც ობიექტურად, რეალურად აღიქვამენ საქართველოს და ქართველი ხალხის სავალალო ყოფას, ყოფილ ხელისუფალთა მოღალატურ, ანტიეროვნულ პოლიტიკას, არსებული ხელისუფლების სრულ უსუსურობასა და არაკომპეტენტურობას.

ამ ანალიტიკოსთა შორის გამოირჩევა პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე ჭაჭია.**

მისი საუბარი „საქართველო და მსოფლიოსთან“ (№36 (271) მიმაჩნია პოლიტიკური ანალიზის ქრესტომათიურ ნიმუშად.

ბატონი ალექსანდრე სვამს კითხვას – **„ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი?“**

პროგრესი და წინსვლა არ არის. არც იქნება, ვიდრე **„ოცნება“** კვლავ ნირვანაშია, სხვათა (ევრო-ამერიკელთა) ხელისშემყურე იქნება და მათ დაკრულზე შალახოს იცეკვებს.

დღეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენები წვეთი წყალივით ჰგავს 1990-იან წლებში საქართველოში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებას. კანონიერი ხელისუფლების დამხობა, მსხვერპლი, ეკონომიკის გაპარტახება, უმუშევრობა, უცხოეთში მოსახლეობის გადახვეწა ლუკმაპურის საშოვნელად, ეროვნული ფასეულობების გაბიაბრუება, გარყვნილების აგიტაცია-პროპაგანდა-წახალისება, მართლმადიდებლობის დისკრედიტაცია, რელიგიური სექტების მფარველობა, ტერიტორიების დაკარგვა – აი, არასრული ჩამონათვალი იმისა, რაც „დიქტატორ“ ზვიად გამსახურდიასა და უკრაინის კანონიერი ხელისუფლების დამხობამ მოუტანა ერთ დროს მდიდარ, ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებულ რესპუბლიკებს.

ვინ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება უკრაინაში?

თავი დავანებოთ იმას, რომ პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრემიერი, რეგიონის გუბერნატორები ეთნიკური ებრაელები არიან, რომლებიც ნაციონალური რიტორიკით ყელყელაობენ, ყველა მათგანი კოსმოპოლიტი, გლობალისტი და მართლმადიდებლობის მოძულეა. ამასთანავე, ფსიქიკური და ფიზიკური გადახრებიც აქვთ. მათ შორის პედარასტები და პედოფილებიც გვხვდებიან.

ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ თავის შესანიშნავ ნაშრომში **„ავაჰმე, ჩემო მამულო!..“** (თბ., 2007 წ. გვ. 42) მთელი თავი მიუძღვნა კადრების შერჩევის პრინციპს.

ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რომელთა ძალისხმევითაც ამხობენ ხალხის მიერ არჩეულ ეროვნულ ხელისუფლებას, კადრების შერჩევისას, ძირითადად, ხელმძღვანელობენ დეგენერაციის ხარისხის პრინციპით. მათ მიერ დანიშნული პრეზიდენტები, პრემიერები, მინისტრები, პოლიტიკური ლიდერები უნდა იყვნენ: **1. გარყვნილები; 2. ფსიქიკურად ავადმყოფები; 3. თანდაყოლილი დეფექტებით. მგლისპირა, კურდღლისტუჩა, ელამი, თვალების უაზროდ მოტრიალე, ყბაჩუა, ენაბლუ... ასეთი პოლიტიკოსები ქართველებისთვის არახალია. არც სექსუალური მანია, განდიდებისა და დევნის მანია, სადიზმი, აკვიატებული წარმოსახვები არის უცხო ნაცების ლიდერებისთვის.**

ბატონი ელიზბარი ამ მოვლენებს შემდეგნაირად ხსნის: მსგავსი პიროვნებები ადვილი სამართავები არიან და მამა-მარჩენალთა ნებისმიერ ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებენ.

კარგად იცის ფსიქოლოგია მამაძაღლმა სოროსმა და მისმა კანტორამ!

ბატონი ალექსანდრე ჭაჭია ცდილობს, ახალ ხელისუფლებას დაანახვოს დაშვებული შეცდომები არა ნიშნის მოგებით, ბოროტი სიხარულით, არამედ **„მოყვარეს პირში უძრახეს“** მორალით: *„ხალხი ეძებდა მხსნელს და იპოვა იგი ივანიშვილის სახით, ხმაც, შესაბამისად, მხოლოდ მას მისცა. ივანიშვილმა კი თან მოიყვანა ადამიანები ნულოვანი რეიტინგით, შემდეგ კი ხელისუფლებიდან წავიდა და მოსახლეობას ბუტაფორული პრეზიდენტი და „ნაციონალრესპუბლიკელების“ პარტია შეატოვა“.*

ბატონი ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებიდან წავიდა, მაგრამ ამბობენ, რომ, ფაქტობრივად, იგი მართავს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ღმერთმა კარგად გვიმყოფოს ბატონი ბიძინა, რომელმაც **„ნაცმოძრაობა“** – ეს **„ვარდისფერი ჭირი“**, მოგვაშორა, მაგრამ დავუშვათ, რაღაც დაემართა – სახელმწიფოს მართვა ვეღარ შეძლო, ამის გამო ქვეყანა ხომ არ უნდა დაიქცეს? ხომ უნდა იყვნენ ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები, რომლებიც თავს დატეხილ უბედურებას ვაჟკაცურად გადაიტანენ, ლიდერის გარეშე დარჩენილები თავს გაართმევენ პრობლემებს და როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკას ქვეყნის ინტერესების შესაბამისად წარმართავენ?!

ამგვარი ხალხი არც პარლამენტში და არც მთავრობაში არ მეგულება. ოცი წელიწადია, ნატოსა და ევროკავშირს გავიძახით, მაგრამ ახლოს არ გვიკარებენ, ჩვენ კი გახელებული მიჯნურივით სასიკვდილო საფრთხეს ვერ ვხედავთ.

სასიკვდილო საფრთხე კი ნამდვილად არსებობს.

უკვე ალაპარაკდნენ მესამე ომის გარდაუვალობაზე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, ომის შემთხვევაში, მერწმუნეთ, ერთ ატომურ ბომბს ჩვენთვის არავინ დაინანებს. ეს საკმარისი იქნება საქართველოს მოსახლეობის ამოსაწყვეტად.

მეტყვიან, მესამე მსოფლიო ომი არ იქნება, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრება კი გაგვამდიდრებს, სიკეთეს მოგვიტანსო.

ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოჰყავს იმ ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც, დიდი ხანია, ნატოსა და ევროკავშირის წევრები არიან. მაგალითად, რუმინეთში უმუშევრობა 40%-ს აჭარბებს, ამ ქვეყნის საგარეო ვალი 50 მილიარდი დოლარია; სავალალო მდგომარეობაა ბულგარეთშიც, სადაც დუხჭირი ცხოვრების გამო მთავრობა წელიწადში ორჯერ მაინც იცვლება.

იმ ქვეყნებმა, რომლებმაც ევროპისკენ მიმავალი გზა აირჩიეს, ნატოში გაწევრიანება სურთ, საქართველოს მსგავსად, დაკარგეს ტერიტორიები, ახრჩობთ მილიარდობით ვალი, გაჩანაგდა მათი ეკონომიკა, უმუშევრობის მიზეზით მოსახლეობის მიგრაცია კატასტროფულ ზღვარს უახლოვდება. **„ერთ დროს აყვავებული მოლდოვა მილიონზე მეტმა მოქალაქემ დატოვა, მათგან 700 ათასი რუსეთში მუშაობს; ისინი სამშობლოში ყოველწლიურად 2 მილიარდამდე დოლარს გზავნიან,“** – აღნიშნავს ბატონი ალექსანდრე.

ჩვენს პოლიტიკოსებს უკვირთ, – რატომ არის რუსეთი ასეთი აგრესიული საქართველოს მიმართო.

თქვე კაი დედმამიშვილებო, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის ნატოს გაფართოება და კავკასიაში გაბატონება?! ეს პუტინის ახირება კი არ არის, არამედ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკაა!

მეტყვიან, რა მნიშვნელობა აქვს ნატოს მოკავშირე იქნები თუ რუსეთის, დიდი ომის შემთხვევაში მაინც დაგვარტყამენო.

ზოგიერთ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკას, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ნაკლები საფრთხე ემუქრება იმიტომ, რომ არც ნატოს ჯარები უნდათ თავიანთ ტერიტორიაზე და არც რუსეთის. ამ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს არც ტერიტორიები დაუკარგავთ, არც გაუსაძლისი უმუშევრობა და სიდუხჭირე აწუხებთ და არც ზნეობრივი გადაგვარება და ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვა ემუქრებათ.

ამგვარ ქვეყნებს გადარჩენის მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მათ, ნატოს წაქეზებითა და იმედით რუსეთს მუშტებს რომ უღერებენ!

ბევრი პოლიტიკოსი და მათ ფეხის ხმას აყოლილი ამომრჩეველი ახლო მომავალში რუსეთის დაშლას ელის. ოცნებობენ, როგორც კი რუსეთი დაიშლება, დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთო!

ჯერ ერთი, ახლო მომავალში რუსეთი არ დაიშლება და მეორეც, ღმერთმა ნუ ქნას მართლმადიდებელი რუსეთის დაშლა!

მუსლიმანი ჩრდილოკავკასიელები დაგვიბრუნებენ აფხაზეთსა და შიდა ქართლს? იქნებ, არაბული სამყარო, ვაჰაბისტები თუ ათასი ჯურის ტერორისტები იზრუნებენ საქართველოზე? ან იქნებ თურქეთმა, ჩვენმა ისტორიულმა „მეგობარმა“, გამოგვიწოდოს დახმარების ხელი?

რუსეთის დაშლა-დასუსტების შემთხვევაში საქართველო მუსლიმანთა სათარეშო არენად იქცევა; ვინც არ გამაჰმადიანდება და ეროვნებას არ დაკარგავს მოკლავენ, უკეთეს შემთხვევაში – გაყიდიან (ახალგაზრდა გოგონებსა და ლამაზ ქალებს გადარჩენის მეტი შანსი აქვთ, შეიძლება ხალიფატის რომელიმე გავლენიანი ტერორისტის პირველ ცოლობასაც კი გამოჰკრან ხელი)!

ქართველებს ერთი კარგი ანდაზა გვაქვს: **„ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა!“**

ნუ დაგვავიწყდება ის, რომ მუსლიმანური აგრესიული სახელმწიფოების მიერ ალყაში მოქცეული საქართველო მართლმადიდებელმა რუსეთმა გადაარჩინა ფიზიკურ და სულიერ განადგურებას!

არიან ადამიანები, რომლებიც ეროვნულგამათავისუფლებელ მოძრაობას, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას დიდ შეცდომად მიიჩნევენ, უმადურობად რუსი ხალხის მიმართ.

ეროვნული ხელისუფლება, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია რუს ხალხს, რუსულ კულტურას პატივს სცემდა, რუსეთი მტრად არ მიაჩნდა და მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა სურდა.

პუტჩისტები ზვიად გამსახურდიას იზოლაციონიზმში სდებდნენ ბრალს, მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ გამსახურდიას არ სურდა ნატოში გაწევრება.

დიახ, ზვიად გამსახურდიას არა სურდა საქართველოს ტერიტორიაზე არათუ ნატოს, არამედ რუსეთის ჯარების დისლოკაცია.

კანონიერი ხელისუფლების დამხობისთანავე პუტჩისტებმა მორთეს ყვირილი: **„ნატო გვიშველის!“**, ეს დღემდე გრძელდება.

2012 წელს ხელისუფლების შეცვლა დიპლომატებისთვის კარგი საბაბი იყო რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისა და ნატო-ევროკავშირთან მგზნებარე ლტოლვის დაცხრომისთვის...

უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობებისგან ქართველი ერი სიკეთეს არ უნდა ელოდოს.

არც სოროსის ძუძუნაწოვი **„ნახლებნიკებისგან“**, რომლებიც ხელისუფლებაში ბევრი არიან და ზოგიერთი მათგანი **„ოცნებაშიც“** თავისებურად ოცნებობს.

საჭიროა ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას შეეცდება, არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას და გაიმარჯვებს. ამ წინაპირობების გარეშე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება განუხორციელებელი ოცნებაა.

ვფიქრობ, ასეთია ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას საუბრის მორალი. საღი აზრი ამას გვკარნახობს.

კარგია, როცა მოყვარეს მწარე სათქმელს პირში ეუბნები, მაგრამ... ვაი, თუ კედელს ცერცვს ვაყრით.

თენგიზ კუბლაშვილი,
უზენაესი საბჭოს დეპუტატი

პოეზიის კუთხე

რცამი რექ დო სქან ორანი
იშენ გურცგ მიარე,
სქან ანაგი ვათირელე,
წანეფ ქორე მიარე.
ნოტე, მიში შური რჯოხო,
სქან გურ მიში თია რე,
თაშ ხვალახე, ზოხო-ზოხო,
რინა გეგნიდიარე.

* * *

მუ შეულებ თე ჯარბის დო
თე ჩხურუს დო ცინუას,
იფიონაშ კუჭუხაშე
ბუაში გგთორწკინუას.

ჩხორიაში ლაცაფის დო
თოლიშ ჭვემათ წყორუას,
ცურუმია სერიშ მანგო
აგოთანაშ გორუას.

* * *

ჰეი, სი ჭარა, აკა მუნერი რინა მოჭარე,
გეკომთხოზინე უზა ბორჯი – ცალა დო შერი,
სქან შქასერს მუჭო გათანუანს ჩქიმი ოჭმარე,
ორდო იფაჩ დო ორდო ხომუ ჩქიმი ფეშერი.

ხოლო ბრელიშა მოკათაფა გილამ ხანგური,
ბრელი მაბოშია დონთხაფე დო ეკორჩინელე,
მი რდგ ქიანას ცათე ჩქიმი გურიშ მანგური,
სო მითაქვირსი, მუ ხანი რე ვემკორჩქინელე.

ოშშა ნაჭკირა, უცვაიჭარექ ართშა გობზიმი
დო ჯვეშ ორჩხეშე ეშაღალირი ბგუდი ყამასგ,
ჩქიმ ჩხანაიას მუნაფათგ ეკათხოზინი,
თიშ უკული ვორექ გორწაფილი ეკონთხაფასგ.

ხვალახე მუშენი მიკომიტე, მუშენი მეგური,
ლერსიშ ლაწკარეფი სქან ოცქვაფურს ალმორკიანა,
სი ჩქიმ ჭყელი რინაშ უჩურცხალი ორექ ებგური
დო სქან უმუშო დურა ხოლო ვამჭარ ქიანას.

* * *

მურმან ლებანიძის ცნობილმა ციკლისმწამებლურმა ლექსმა, რომელიც გასული საუკუნის მიწურულს დაიწერა მეგრული ენის წინააღმდეგ, საზოგადოების დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ლებანიძეს ბევრმა უპასუხა, ლექსითაც და სტატიითაც, მათ შორის აპოლონ ადონიამ, შესანიშნავი პუბლიცისტური წერილით. ახლა კი გთავაზობთ დიდი პოეტის, სულკურთხეულ ლაშა გახარიას საპასუხო ლექსს.

ოდას, შვიდი ძმის ფიქრით მოყავრულს
გამოაცალო ჭყონდიდი – სვეტი,
მერმედ... ძმათაგან უფრო მოყვარულს,
ვის სისხლში სხვისი არ მისხლობს ჭვეთი,
მოღორებულს და ბეჭებისრიანს, –
აფსუათათვის მირთმეულ ბჭეთი,
პირველ მწიგნობარს, პირველქრისტიანს,
პირველჩაგრულსაც – უახლეს სვეთი,
მაფშალიაზე ტკბილად მომღერალს,
გულის ძმარვას რომ შეატკბობს ნეთი,
ფლიდ ევრიპიდეს კალმით უძაგო
ენა, მედეა და აიეტი...
პრიმიტიული გლეხი უძრახო,
ამოუხაპო ჭრაქიდან ზეთი,
მარჩენალ ჩელას ჩალა უყარო,
კუდა ხარები ახარო ბზეთი,
უძუძურები ასხლიტო დედას,
რძეშიც ურიო ურიის კვეთი,
„ვეფხისტყაოსნის“ მოფერებისთვის
აუყაყანო მთელი ქაჯეთი,
ბოლოს ესეც კი აღარ აკმარო, –
კომბალზე მწარედ რო დრუზო კეტი!..
დედამდინარედ... მტკვარი ურჩიო, –
თან რომ მოჰყმუის მოლა-მეჩეთი,
ჭოროხს და ტეხურს წყალი უძრახო,
რიონს ტალღები უმღვრიო... ლეთით!
რასა ჩმახავო! რას იძრახავო!
დედოზარები არისხო მცხეთით,
აღარც გრანელი, არც დიდოსტატი
აღარ ირწმუნო თავკერძამ ზნეთი,
დასაღვრელ სისხლის მაცნედ იმისნო
უფლისციხესთან ყაყაჩოს წვეთი.

გიორგი ხულორდა

მტკვარი გაქრება?!

ესეც შენი "მეგობარი" თურქეთი

ადრეულ ეპოქაში, როცა სპარსელები ან ოსმალები ქართულ ციხე-სიმაგრეს ალყას შემოარტყამდნენ, ცდილობდნენ ალყაშემორტყმულთათვის წყალი დაეწრიტათ, რათა ისინი წყურვილს შეეწუხებინა და მოალყეებს დანებებულიყვნენ. როგორც ჩანს, ჩვენს **"მეგობარ"** თურქებს წარსულის ეს გამოცდილება მკვიდრად აქვთ ჩამჯდარი ძვალ-რბილში, რადგან დღესაც სწორედ ამ მეთოდით ცდილობენ საქართველოს დაპყრობას!

სოცქსელებში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ასპინძაში საქართველოს დედამდინარის – მტკვრის – კალაპოტში გუბეებიდაააა დარჩენილი, რის გამოც საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრმა თურქეთში სასწრაფო წერილი გაგზავნა

"აზერბაიჯანელები იმაზე წუხდნენ, მტკვარი კასპიის ზღვაში ჩაედინება და ეს ჩვენს ეკოლოგიაზე კატასტროფულად იმოქმედებსო! თუ ეს ამბავი აზერბაიჯანის ეკოლოგიაზე კატასტროფულად იმოქმედებს, მაშინ ჩვენ რაღა მოგვივა?! – მთელი თბილისის კანალიზაციური ქსელი მტკვრით იწმინდება. იქამდე კი ნახევარი საქართველო სარწყავად იყენებს."

"მსგავსი ჯოჯოხეთის შეგრძნება სიცოცხლეში არ მქონია, დამშრალი მტკვარი რომ დავინახე".

ათასწლეულების განმავლობაში, საუკუნიდან საუკუნემდე და ალბათ დასაბამიდანაც, მტკვარი საქართველოს დედა-მდინარედ მიიჩნეოდა, შესაბამისად, საუკუნიდან საუკუნამდე ქართველი ერი ფიქრადაც ვერ გაივლებდა, რომ დადგებოდა დრო და მტკვარს დაკარგავდა. ჩვენს დროშიც კი, როცა ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ამაზე ფიქრი ბოროტი ფანტაზიის ნაყოფს უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალობას, არადა, როგორც ჩანს, ეს შეიძლება მართლაც მოხდეს, თუ უკვე არ მოხდა... თვეზე მეტია, ასპინძაში, თურქეთის საზღვართან მტკვარი გაქრა! მტკვრის დაშრობაზე ასპინძის სასოფლო საკონსულტაციო ცენტრის აგრონომმა ნუგზარ კაველიძემ განგაში მაშინ ატეხა, როცა თურქეთი საზღვარზე, ნასოფლარ ოლოდაში, – სადაც ქართველი მესაზღვრეების დისლოკაციის ადგილია, თვალი ჯერ კიდევ 2 კვირის წინანდელ ულამაზეს ხეობას შეავლო და იქ ჯოჯოხეთი დახვდა.

– მსგავსი ჯოჯოხეთის შეგრძნება სიცოცხლეში არ მქონია, დამშრალი მტკვარი რომ დავინახე, ისეთი საშინელება იყო, ჯერ დაჯერებაც არ მინდოდა, "თავის დასაცავად" ისიც კი გავიფიქრე, იქნებ ეს სიზმარია-მეთქი? თუმცა სიზმარი რომ ყოფილიყო, ბედნიერი ვიქნებოდი, – თურქეთის საზღვრიდან, ვიდრე ჩვენი მდინარეები შეურთდებოდნენ, მტკვარი აღარ მოდის, აღარ არსებობს! მის ადგილზე მხოლოდ გუბეებია დარჩენილი. იმ ტერიტორიიდან კი. სადაც მტკვარს მარცხნიდან პატარა მდინარეები: დუმელია და ბუზმარეთი უერთდებიან. ხოლო მარჯვნიდან – ხავეთი და ოკამი მტკვრის კალაპოტში უკვე წყალი მიდის, მაგრამ ეს მტკვარი აღარ არის, – მარჯვნიდან და მარცხნიდან 2-2 მეტრით დავიწროებული და დათხელებულია. თანაც, ეს ახლა, როცა წვიმს, თორემ, გვალვებისას როცა ჩვენი პატარა მდინარეები დაშრება, გამოდის, მტკვრის კალაპოტში წყალი საერთოდ აღარ იქნება! ამას ისიც ემატება, რომ დამშრალ კლაპოტში უწყლობისაგან დახოცილი თევზიც ყრია...

– როცა ეს ინფორმაცია შევიტყვეთ, ჩვენ ასპინძის გამგეობასაც დავუკავშირდით, სადაც გვითხრეს, რომ თევზი რომ არ დახოცილიყო, დამშრალი კალაპოტიდან, სასწრაფოდ, მტკვრის მცირე კატასტროფულად იმოქმედებს, მაშინ ჩვენ რაღა მოგვივა?! – მთელი თბილისის კანალიზაციური ქსელი მტკვრით იწმინდება. იქამდე კი ნახევარი საქართველო სარწყავად იყენებს. გარდა ამისა, მესხეთში მტკვრის ულამაზეს ხეობას ვკარგავთ. ეს ის მდგომარეობაა, რისი შედეგების აღწერა ადამიანურ ფანტაზიას აღემატება.

– გარემოს დცვის სამინისტრო იმ ვერსიასაც განიხილავს, რომ მეზობელი სახელმწიფო მტკვრის წყლით ახალ ჰესს ავსებს. რის შემდეგაც მტკვარი უკანვე დაგვიბრუნდება. ამავე დროს განიხილავენ იმ ვერსიას, რომ მეწყერი ჩამოწვა და მტკვარი დააგუბა...

– მეწყერის ჩამოწოლის ვერსია სრული სისულელეა, – 2 კვირა დაგუბებული მტკვარი თურქეთსაც დატბორავდა და ჩვენც. ჩემი აზრით, არც ჰესის ავსებას უნდა სჭირდებოდეს 2 კვირა!

ამ საგანგაშო შემთხვევის თაობაზე გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს დავუკავშირდით, საიდანაც მოგვწერეს:

"თურქულ მხარესთან კომუნიკაციის საფუძველზე დადგინდა, რომ თურქული მხარის მიერ ხდება არსებული წყალსაცავების შევსება ზამთრისთვის. შესაბამისად, მდინარე მტკვარში წყლის დონის კლება განპირობებულია ამ ფაქტით და არანაირად არ არის კავშირში ჰესის პროექტთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთთან თანამშრომლობის შედეგად მზადდება მემორანდუმი, რომელიც გამორიცხავს ამ საკითხზე ცალმხრივი გადაწყვეტილებების მიღებას. იმისთვის, რომ დადასტურდეს არაფორმალური არხებით მიღებული ინფორმაცია, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით სასწრაფო წერილი გაუგზავნა თურქეთის სატყეო და წყლის რესურსების მინისტრს, ბატონ ეროღლუს. წერილზე პასუხს მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში ველოდებით. მდინარე მტკვარი საქართველოში იმატებს იმაზე მეტ წყლის რესურს ვიდრე თურქეთიდან შემოდის, შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით დროებითი შემცირება არ წარმოშობს მნიშვნელოვან რისკებს."

ფაქტი კი სახეზეა და ასპინძაში დღეს სისხლსავსე მდინარე მტკვრის ნაცვლად მხოლოდ წვრილი ნაკადული მოწანწკარებს!

ე. ერაძე



რაა მიზეზი ქართველი ერის გონების მასობრივი დაბინდვის, ღირსების გაქრობისა და რაიმე ძალისადმი ბრმა მორჩილებისა?

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ უმიზეზოდ არაფერი ხდება. ყოველ შედეგს, პოზიტიურს თუ ნეგატიურს, უეჭველად, გარკვეული მიზეზი უდევს საფუძვლად. მაგრამ, ამ მიზეზის გარკვევაა ძნელი და, ხშირად, შეუძლებელიც. ამასთან, ძალზე ძნელია მისი აღიარება, რადგან, ძალზე ხშირად, ყოველი ნეგატიური შედეგის უშუალო მიზეზი ჩვენი უმეცრებაა.

როცა ადამიანი პირადად არაა უშუალო მონაწილე ნეგატიური შედეგის გამომწვევი მიზეზისა, მისთვის, ბრძენიც რომ იყოს, ეს მიზეზი გამოცანაა.

ქართველი ერის დღევანდელი სავალალო მდგომარეობა ნაწილობრივ ჩვენს თაობასაც გვაწევს კისერზე, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან შედეგმა ჩვენს დაბადებამდე კარგა ხნით ადრე იჩინა თავი, ხოლო მიზეზი კი საუკუნეების წინ გაჩნდა. კერძოდ, ჩვენი დანაშაული სწორედ ისაა, რომ მძიმე წარსულის გამოცდილებით ვერ ვიგაკვეთილეთ, ვერ მოვიძიეთ მიზეზი და, ისევ ტრადიციულად, მხოლოდ შედეგს ვებრძვით. ამიტომაა გამოცანა საყოველთაოდ ცნობილი პოლიტოლოგისათვის – **ბ-ნ ალექსანდრე ჭაჭიასთვისაც** რაა მიზეზი ქართველი ერის გონების მასობრივი დაბინდვისა, ღირსების გაქრობისა და რაიმე ძალისადმი ბრმა მორჩილებისა.

ადამიანი ეგოიზმით სავსე არსებაა, მაგრამ მაინც ადამიანია და, შეიძლება, თავისი, თუ წინაპართა მიერ დაშვებული შეცდომა სირცხვილის გამო დამალოს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, შეცდომა თავს ვერ მალავს და სჯობია ვაღიაროთ შეცდომა ჩვენი, თუ წინაპართა, რამეთუ შეცდომის გამოსწორების ერთადერთი გზა მისი აღიარება და გულწრფელი მონანიებაა.

ბევრ ქართველ მამულიშვილს აწუხებდა ერთ დროს დედამიწის, თითქმის, მთელ ნახევარ სფეროზე გაბატონებული ერის – **იბერების** ასე დამცრობისა და დაკნინების მიზეზი. მაგრამ, ნაწილობრივ მაინც, ჩვენი აზრით, გერონტი ქიქოძემდე ვერავინ მიაგნო ქართველი ერის გონების მასობრივი დაბინდვის, ღირსების გაქრობისა და რაიმე ძალისადმი ბრმა მორჩილების მიზეზს (იხ. გერონტი ქიქოძე, **ენა და ეროვნული ენერგია, ჟ-ლი ისტორიული მემკვიდრეობა,** 2014, №8).

რამდენადაც შეხება მაქვს ენათმეცნიერებასთან ამ პრობლემას მივუძღვენი გამოკვლევები და წერილები „ქართული ასომთავრული ანბანის ძველკოლხური ფესვები", „კაცობრიობის პირველი ანბანი, ასომთავრული თუ მხედრული?" (ეს ორი ნაშრომი 2004 წელს გამოქვეყნდა წიგნად), „რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?", „რა ენაზე დაიწერა დედანში ბიბლიური დაბადება?", „ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა – ქართული ენის დიალექტი, თუ გლოტოგონიური ფენომენი?", „იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა", „ენა და მეტყველება", „მეგრული (იბერიული) ენა (მონაცემები და მნიშვნელობა)", „ბგერების წარმოშობა და მათგან მნიშვნელობების მიღების შესახებ", „ყოფნა-არყოფნის ზღვარზე", „მეგრული (იბერიული) ენა – ახალწარმოშობილი ენა, თუ გლოტოგონიური ფენომენი?", „რამ მიგვიყვანა ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე?", „რომელი სჯობია?" და მრავალი სხვა, რომელიც, თუმცა, ხშირად, ბეჭდვითი ხარვეზებით, მაგრამ პერიოდულად იბეჭდებოდა და იბეჭდება გ-თში **"ლელო"** და ჟ-ლებში **"აია"** და **"ცოტნეიდელი"**.

ღმერთმა (ბუნებამ) მზამზარეულად გვიბოძა სამეტყველო ბგერები და მათი ჰარმონიული კომპლექსები, ხოლო ორფეხა ველურ ცხოველს მოჰმადლა მათი სმენით აღქმისა და ენით ხმაბაძვის უნარი. ასე დაიწყო მეტყველება მთელს დედამიწაზე (ამიტომაა ბგერები ყველა ენისათვის და ერისათვის საერთო) და ეს იყო ერთ ენაზე მეტყველება. ამ ფაქტის უტყუარი მატიანეა, ერთადერთი დედამიწაზე, ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა. ამ ენაზე, განსხვავებით ყველა სხვა ენისაგან, თანხმოვანი სამეტყველო ბგერები სრული სიტყვის მნიშვნელობის მატარებელნი არიან და ამ მნიშვნელობებში ასახულია ყველა დადებითი და უარყოფითი თვისება, რომლებმაც ველური ცხოველი ადამიანად აქცია. ამ თვისებებში დევს ადამიანის განღმრთობის პოტენცია, ხოლო ამ თვისებათა უშეცდომო, რაციონალური მართვა-გამოყენება აღასრულებს ღვთის ჩანაფიქრს: **„ღმერთმა შექმნა კაცი ხატად თვისად".**

ამდენად, **შრომამ კი არა** (ეს უფრო გვიანდელი პროცესია), **მეტყველებამ, ენამ, იგივე ღმერთმა შექმნა ადამიანი** (იხ. სახ. იოანესი 1:1-5) და მისი უარყოფა, ანუ ღმერთის (ბუნების) წინააღმდეგ ბრძოლა გარდაუვალი, საბედისწერო შედეგით დამთავრდება!

ყველა ქართველი მამულიშვილი ქვეყნის სავალალო მდგომარეობას, ანუ არსებულ შედეგს ებრძოდა მუდამ და არა სავალალო მდგომარეობის გამომწვევ მიზეზს. ამიტომ მთავრდებოდა ყველა მათი ბრძოლა უშედეგოდ. ამიტომ დაკნინდა და დაეცა ერთ დროს მთელს მსოფლიოში გაბატონებული იბერიული ცივილიზაცია. ერის ცხოვრებაში იყო გამობრწყინებებიც, მაგრამ ის დროებითი იყო, რადგან ნეგატიური შედეგის გამომწვევი, მყარად ფესვგადგმული მიზეზი ახალ პრობლემებს წარმოშობდა მუდამ. ხოლო ყველა ამ პრობლემათა წარმოშობის მიზეზი და საფუძველი ღვთიური საჩუქარის დავიწყება და უარყოფა იყო და იქნება მუდამ.

ძვ.წ.აღ. მე-6 საუკუნიდან იბერიაში მცხოვრებმა ებრაელმა ბრძენებმა შეიცნეს იბერიულ ენაზე სამეტყველო ბგერების მნიშვნელობებში ასახული ადამიანური თვისებები და მის საფუძველზე შექმნილი პირობითი ნიშნებით შექმნეს თავიანთი ასონიშნები. ამის საფუძველზე მათ თავიანთი დამწერლობა და ასონიშნები უშუალოდ ღვთის შექმნილად წარმოუდგინეს მსოფლიო საზოგადოებას და „წმინდა" უწოდეს, თავიანთ სამეტყველო ენას კი „წმინდა ენა". მაგრამ ეს თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი, რადგან დამწერლობები და ბგერათა აღმნიშვნელი ასონიშნები, მართალია, ღვთის ნებით, მაგრამ ყველა ადამიანთა შექმნილია და 250-ზე მეტია, ხოლო სამეტყველო ბგერები, უშუალოდ ღვთით, ბუნებითაა ნაკარნახევი, ერთია და საერთოა ყველა ენისა და ერისათვის. ე.ი. ერთ დროს ყველასათვის საერთო სამეტყველო ბგერებს და მათ მნიშვნელობებს, დღეისათვის უკვე დავიწყებულს, მაგრამ გენეტიკურ მეხსიერებაში ჩაკირულს გაიხსენებენ და აღიდგენენ ერები თავიანთ ენაში, შეიძლება, მიაღწიონ კიდეც მიზანს.

დაფიქრდი კაცობრიობავ, რამდენადაც ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა წარმოადგენს ღვთისა და ღვთიური (იგივე ბუნებისა და ბუნებრივი) ძალების შეცნობის უნიკალურ საშუალებას, ხომ არ არის ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა ღვთიური ენერგიისა და ცნობიერების მომცემი, ანუ საზოგადოების სრულყოფის საწინდარი?

კარგია უცხო ენათა ცოდნა. ბევრი სხვადასხვა ენის შესწავლა, ცხადია, ბევრ სიბრძნეს შესძენს ადამიანს, მაგრამ ეროვნულ ენერგიას ვერა. ეროვნულ ენერგიას აძლიერებს მშობლიური ეროვნული ენის სიღრმისეული ცოდნა. ეროვნული ენის სიღრმისეული ცოდნა შობს ეროვნულ იდეოლოგსაც, რომელიც ერის ცხოვრებას სწორი მიმართულებით წარმართავს. სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა არ იცის მშობლიური ეროვნული ენა სიღრმისეულად. მეგრული (იბერიული) ენის საფუძვლიანად არცმოდნე ქართველ კაცს, ამის გაგონება შოკის მომგვრელია, მაგრამ, საერთოდ, არა აქვს მშობლიური ენა. რაც მშობლიური ჰგონია, ის ენა წარმოადგენს სპარსულის, ელინურის, არმენულის, ლათინურის, არაბულის, თურქულის და, გენეტიკურად მშობლიური, მაგრამ დღეისათვის, უკვე მისთვის, უცხო მეგრული ენის კონგლომერატს და უძველესობაზე გაფიქრებაც კი ზედმეტია.

ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა შედარებით სიღრმისეულად შეიძლება იცოდეს რამდენიმე პიროვნებამ. ყველა დანარჩენმა წევრმა, ე.წ. ქართველი საზოგადოებისა, დაივიწყა და უარყო ქართული ენისა და ქართველი ერის ეროვნულობის განმსაზღვრელი, ეროვნული ენერგიის მომცემი იბერიული ენა.

თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ უმიზეზოდ არაფერი ხდება. ყველაფერი ღვთიური (ბუნებრივი) კანონზომიერებების ფარგლებში სწარმოებს. **გონების მასობრივი დაბინდვა, ღირსების გაქრობა და რაიმე ძალისადმი ბრმა მორჩილება ეროვნული ენერგიის გამოცლის, კერძოდ, საკუთარ მონაპოვართა უპატივცემლობა-დავიწყებისა და უცხოურის განდიდების შედეგია.**

გასაკვირი და სამწუხარო, სწორედ ისაა, რომ პროფესორებმა, აკადემიკოსებმა (ტ. ფუტკარაძემ, თ. გვანცელაძემ, მ. ლორთქიფანიძემ და რ. მეტრეველმა) არ იციან, რომ ღვთიურის წინააღმდეგ ბრძოლა სიკეთის მომტანი ვერ იქნება და თავგანწირული ებრძვიან ადამქამინდელ (ადამიანის შემქმნელ) იბერიულ ენას. თუმცა, ესეც ე.წ. ქართველი ერის ჭკუის სასწავლებლად არის ღვთისგან (ბუნებისგან) დაშვებული. და თუ ვერ შეიგნო და ვერ შეიგრძნო მხართეძოზე წამოწოლილმა და საღათის ძილს მიცემულმა ე.წ. ქართველმა ერმა დასასრულის მოახლოება, შეიძლება, რაღაც ნაწილი ფიზიკურად გადარჩეს, მაგრამ მონობას ვერასოდეს დააღწევს თავს, რამეთუ „გონების მასობრივი დაბინდვა, ღირსების გაქრობა და რაიმე ძალისადმი ბრმა მორჩილება" წმინდა წყლის მონათა თვისებაა. მონა კი ენით აუწერელი საზიზღრობაა, სამყაროში არსებულ ყველა საზიზღრობებს შორის.

მაშ, დაფიქრდით ქართველნო, ჭეშმარიტებისათვის ბრძოლის გზას დავადგეთ, თუ მონობას შევურიგდეთ!

კუკური ფიფია,
„ფაზისისა" და „აიას" საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲐᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲣᲥᲔᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ

მართალია, ბაკურისადმი გაგზავნილ ლიბანიოსის წერილში «ღმერთებზეც» არის საუბარი, მაგრამ ეს ხომ წარმართი სოფისტის სიტყვებია და არა თვით ბაკურისა?!

გასაოცარი ის იქნებოდა, რომ პოლითეისტ ლიბანიოსს აღნიშნული სიტყვა მხოლოობით რიცხვში მოეცა. ლიბანიოსის აზრებს კი, სანამ ბაკურის წერილი ხელთ არ გვექნება, ამ უკანასკნელს ვერასგზით ვერ მივაწერთ. ცნობილია, რომ ადრებიზანტიური საზოგადოების არისტოკრატიული ფენებისათვის საკმაოდ დამახასიათებელი იყო ანტიკური ფილოსოფიითა და კლასიკური რიტორიკით გატაცება. მაგალითად, ა.ბოგვერაძე კიდევაც გულისხმობდა ანალოგიური ვითარების არსებობას ბაკურის შემთხვევაში (13:67-69). უადგილო არ უნდა იყოს იმის გახსენებაც, რომ ანტიკური სოფისტიკით დაინტერესებას ავლენდნენ წმ. ბასილი დიდი, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. გრიგოლ ნაზიანზელი და სხვა ცნობილი საეკლესიო მოღვაწეებიც. დასახელებული პირები თავის დროზე ხსენებული ლიბანიოსის მოწაფეებიც იყვნენ (88:92). IV საუკუნისათვის ქრისტიანობის ელინიზაცია ფაქტიურად დასრულდა; საქმე იქამდე მივიდა, რომ ქრისტიანობა თვით ქრისტიანებმა გამოაცხადეს «სიბრძნის მოყვარეობად», «ფილოსოფიად»; დაიწყო ძველბერძენ ფილოსოფოსთა და პოეტთა თხზულებების შესწავლა. ბასილ დიდმა სპეციალური ტრაქტატიც კი მიუძღვნა იმას, თუ როგორ უნდა ეკითხათ და რა უნდა ეკითხათ ქრისტიან ახალგაზრდებს ანტიკური ხანის პოეზიიდან და ფილოსოფიიდან. ბერძნულ ფილოსოფიას ქრისტიანები დაეწაფნენ არა თავისთავად, არამედ საეკლესიო-თეოლოგიური აზროვნებისათვის გამოყენების მიზნით, რათა ეკამათათ «გარეშე» ფილოსოფოსებთან მათთვის გასაგებ ენაზე (51:157-158).

აღნიშნულთან დაკავშირებით ნიშანდობლივად გვეჩვენება რუფინუსის ის ცნობაც, რომ იერუსალიმში ბინად მყოფი ბაკური არამხოლოდ მორწმუნეობაზე ზრუნავდა, არამედ «ჭეშმარიტებაზეც». საგულისხმოა, რომ ამ ცნობას სასულიერო პირი და საეკლესიო მწერალი გვაწვდის. შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ ბაკურმა რუფინუსის ყურადღება მიიქცია მისი არაორდინალური აზროვნებითა და მეცნიერული ძიებებით, თანაც ქრისტიანულ მორწმუნეობასთან კავშირში და არა მისგან განყენებულად.

ნიშანდობლივად გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ გელასი კესარიელი 390 წლისათვის ბაკურს «იბერთა შორის სახელოვან» პიროვნებად მოიხსენიებს; იგრძნობა, რომ ამ სათარიღო ნიშნულამდე ბაკურს რაღაც ისეთი მნიშვნელოვანი ქმედება ჰქონდა «ჩადენილი», რომელსაც ეროვნული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და რომლის გამოც ბაკურს ბერძენ-რომაელ საეკლესიო მწერალთა თვალში იბერიელთა (ქართველთა) შორის გამორჩეული, სახელგანთქმული ადამიანის იმიჯი შეჰქმნია.

დიდი ბაკურის ქრისტიანულ მრწამსზე ირიბად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მან მხარი დაუჭირა იმპერატორ თეოდოსი დიდს ევგენიოს ტირანთან ომში. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელმა, რომელიც ქრისტიანობის მოამაგე თეოდოსი დიდისაგან განსხვავებით წარმართობის მფარველად გამოდიოდა, 392 წელს, მას შემდეგ რაც სარდალ არბოგასტის მხარდაჭერით თავი იმპერიის დასავლეთი ნაწილის იმპერატორად გამოაცხადა, ბრძანა რომის სენატში წარმართული ღვთაების – ვიქტორიის სამსხვერპლოს ბომონის ხელახლა აღდგენა, რომელიც მანამდე თეოდოსი I-ის ბრძანებით გამოტანილი იქნა სენატიდან.

ზოსიმეს სიტყვით, 394 წელს, როდესაც თეოდოსი ევგენიოსთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა, «ამ სამზადისის უმთავრესი ნაწილი ის იყო, რომ მოეხდინა კარგი არჩევანი სარდლებისა» (31:269); შერჩეულ სარდლებს (ტიმასიოსი, ვანდალი სტელიხონი, გოთი გაინა, ალანი საული და სხვ.) შორის ირიცხებოდა ბაკურიც. ცხადია, ეს უკანასკნელი რომ წარმართობის მოტრფიალე ყოფილიყო, იმპერატორი თავის არჩევანს მასზე არ შეაჩერებდა. თეოდოსი დიდისა და ევგენიოს ტირანის დაპირისპირებას ძალაუფლებისათვის ბრძოლის გარდა რელიგიური სარჩულიც გააჩნდა და ქრისტიანული ეკლესიის თავგამოდებული ქომაგი იმპერატორი უთუოდ ითვალისწინებდა აღნიშნულ ფაქტორს.

წერილობით წყაროებში ჯერჯერობით ვერ ვიდასტურებთ იმას გელასი კესარიელისა და რუფინუს აკვილელის გარდა ჰქონდა თუ არა დიდ ბაკურს პირადი ნაცნობობა კიდევ რომელიმე სხვა გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწესთან. მაგრამ ზოგიერთი ობიექტური მონაცემის გათვალისწინებით სრულიად დასაშვებად გვესახება ის შესაძლებლობა, რომ ბაკურს პირადად სცნობოდა წმ. იოანე ოქროპირი (347-407 წწ.), რომელიც 392 წელს იბერიელი მეფისწულის ლიბანიოსთან სტუმრობისას იქვე, ანტიოქიაში იმყოფებოდა და თავისი შესანიშნავი ქადაგებებით თანამოქალაქეთა შორის უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა.

დიდ ბაკურს, როგორც მაქსიმე და ევგენიოს ტირანთა წინააღმდეგ თეოდოსი I დიდის მიერ წარმოებული ომების მონაწილეს, ჩვენი აზრით, ასევე პირადად უნდა სცნობოდა წმ. ამბროსი მედიოლანის ეპისკოპოსიც (374-397 წწ.). ცნობილია, რომ 394 წლის შემოდგომაზე ამ უკანასკნელმა საზეიმო შეხვედრა მოუწყო ევგენიოს ტირანზე გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვების შემდეგ ქალაქ მედიოლანში (ახლ. მილანში) მისულ კეთილმსახურ იმპერატორსა და მის ლაშქარს, რომლის რიგებში, როგორც ითქვა, ირიცხებოდა სარდალი ბაკურ იბერიელიც. წმ. ამბროსის სახელი იმ დროისათვის შორს იყო გავარდნილი, მასთან შესახვედრად იტალიაში სპეციალურად ჩადიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის შვილები (მაგ. მას მედიოლანში ერთხელ სპარსეთიდანაც კი ეწვია თურმე ორი ბრძენკაცი). ძნელად წარმოსადგენია, რომ ჭეშმარიტებასა და მორწმუნეობაზე ზრუნვით შეპყრობილ იბერიელ მეფისწულს საქვეყნოდ ცნობილი ღმრთისმეტყველის ახლოს გაცნობის სურვილი არ გასჩენოდა მისი იტალიაში ყოფნის ჟამს.

პალესტინის საზღვრების სარდლად მყოფ და ქალაქ იერუსალიმში ბინადადებულ ქართველ მეფისწულს, რომელიც ქართლის მოქცევის ისტორიას მოუთხრობდა «წმინდა მიწაზე» მოღვაწე უცხოელ საეკლესიო მწერლებს – გელასი კესარიელსა და ტურანიუს რუფინუსს, უთუოდ პირადად უნდა სცნობოდა იმ პერიოდში იერუსალიმის ეკლესიის მღვდელთმოძღვარი, მთავარეპისკოპოსი წმ. კირილე (350-387 წწ.), ვისი შთაგონებითაც შეუდგა, სხვათა შორის, «საეკლესიო ისტორიის» წერას მისი დისწული გელასი.

დიდ ბაკურს უნდა სცნობოდა, აგრეთვე, აკვილელი ტურანიუს რუფინუსის სიყრმის მეგობარი და 385 წლიდან წმინდა მიწაზე, ბეთლემში დამკვიდრებული ლათინური «ვულგატას» (ე.ი. საღმრთო წერილის კანონიკური ლათინური რედაქციის) შემოქმედი ნეტარი იერონიმე (340/42-419/20 წწ.) და ალბათ, იმ დროის კიდევ ბევრი სხვა გამოჩენილი თუ მეტნაკლებად ცნობილი საეკლესიო მოღვაწეც. დასახელებულ პირებთან ბაკურის ურთიერთობების ამსახველი კონკრეტული მასალის დღემდე აღმოუჩენლობის ფაქტი ზემოაღნიშნული ვარაუდის რეზონულობის ხელშემშლელ პირობად მაინც არ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ ხომ ჯერჯერობით ძლიერ მწირ ინფორმაციას ვფლობთ დიდი ბაკურის ცხოვრება-მოღვაწეობის სრულ სურათზე?!

ზემოთ აღნიშნულის ფონზე, თავისთავად ცხადია, დიდი ბაკურის მხრივ ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრობის ფაქტი არავითარ ეჭვსა და კამათს არ შეიძლება რომ იწვევდეს.

ᲗᲐᲕᲘ III

ქართლის სამეფოს პოლიტიკური ვითარება 378-394 წლების პერიოდში დიდი ბაკურის სამშობლოში დაბრუნება რომ 395 წელს იგულება, ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. რა ვითარებაში მოხდა მისი სამეფო ტახტზე აღზევება, ძნელი სათქმელია. ლეონტი მროველის თხზულებაში დიდი ბაკურის შესახებ პრაქტიკულად არაფერი წერია იმ უბრალო მიზეზით, რომ მემატიანეს ის, ერთადერთი ქრისტიანობის ეპოქის ქართლის მეფეებიდან, გამოტოვებული ჰყავს. არადა, საეჭვო არ არის ის, რომ ლეონტი იცნობდა და სარგებლობდა «მოქცევაი ქართლისაის» ქრონიკით, სადაც ჩვენთვის საინტერესო პირი მოხსენიებულია, ბაკურ თრდატის ძის სახელით: «და მეფობდა ბაკურ ძე თრდატისი და მთავარეპისკოპოსი იყო ელია. და ამან აღაშენა ეკლესიაი ბოლნისს და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიისათვის» (65:92). ლეონტი მროველთან აღნიშნული მეფის სახელი კი არის გამოტოვებული, მაგრამ «მოქცევაიში» მასთან დაკავშირებით მოყვანილი ცნობები იქ გამოყენებული ჩანს, მიწერილია წინამორბედ და მომდევნო მეფეებისადმი. ეს უცნაური ფაქტი, ერთის მხრივ, ინტერესსაც ჰბადებს და მეორეს მხრივ, სათანადო ახსნასაც მოითხოვს. წყაროთმცოდნე გ. არახამია აღნიშნულ ფაქტს იმით ხსნის, რომ «მეფეთა ცხოვრებაში» «მოქცევაისთან» შედარებით ერთი ზედმეტი მეფე (მირდატი) აღმოაჩნდათ და ამ შემთხვევაში მემატიანემ თითქოსდა «მოქცევაის» მატიანეში წარმოდგენილი ქრისტიანი მეფეების და ერისმთავრების რაოდენობის თავის თხზულებაში შენარჩუნების სურვილით იხელმძღვანელა (8:64-65). ეს აზრი რომც დაგვეშვა, მაინც მოგვიწევდა პასუხის გაცემა შეკითხვაზე: რა მიზეზით მიაწერა ბაკურთან დაკავშირებული ამბები მემატიანემ, ვთქვათ, ფარსმან მეფეს, რომლის შესახებაც «მოქცევაი ქართლისაი» პრაქტიკულად არაფერს საგულისხმოს არ იუწყება? გარდა ამისა, მემატიანის მხრივ «მოქცევაი ქართლისაის» ქრონიკაში დასახელებული მეფეებისა და ერისმთავრების რიცხობრივი რაოდენობის შენარჩუნების სურვილს რატომ მაინცდამაინც ბაკურ თრდატის ძის გამოტოვება მოჰყვა წყაროში და არა, თუნდაც «მცირედ-ჟამ» მეფედ მყოფი ფარსმანისა ან სხვა რომელიმე ხელისუფლისა, ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვპოულობთ ზემოხსენებული მკვლევრის წერილში. პირადად ჩვენში ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ დიდი ბაკურის სახელი ლეონტი მროველის თხზულებაში გამოტოვებულია შეგნებულად.

377 წელს, როგორც უკვე აღინიშნა, ქართლის სამეფოს ორ ნაწილად გაყოფა სპარსელებმა მოშალეს (13:59,73). ასფაგური (ვარაზ-ბაკური) ქვეყნის ერთპიროვნული ხელმწიფე შეიქნა, ხოლო განდევნილმა საურმაგმა (თრდატ რევის ძემ), უნდა ვიფიქროთ, რომ ბიზანტიაში ან მის საზღვრებთან ახლოს, კლარჯეთში დაიდო ბინა. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მიღწეული შეთანხმებით სომხეთის დიდ ნაწილზე დამყარდა სპარსელთა ხელისუფლება, ხოლო 387 წელს დადებული ზავით მოხდა სომხეთის გაყოფა ამ ორ იმპერიას შორის. ქართლის სამეფო კვლავინდებურად მთლიანად სპარსელთა გავლენის სფეროში რჩებოდა. სომეხთა მეფე ხოსროვ IV (383-388 და 390/91 წწ.) შეეცადა 387 წლის ზავის სომხეთისათვის მძიმე პირობების გადასინჯვას, რაც ქვეყნის მთლიანობის აღდგენის სურვილით იყო ნაკარნახები, და ამ მიზნით კეისარს მიმართა თხოვნით – «მიენდო მისთვის ბერძენთა წილი სომხეთი, რომელსაც ძველებურ ბარაქას შეუნარჩუნებდა და უკლებლივ გადაიხდიდა ყოველივეს, რასაც კეისარი თავისი მოხელეების მეშვეობით იღებდა», რაზედაც კეისარი დათანხმებულა (67:218).

აღნიშნულის გამო ხოსროვ IV-სა და სპარსეთის შაჰს შორის ურთიერთობა ძლიერ დაიძაბა. მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად სომეხთა მეფემ ბიზანტიელებს პირდაპირ მოსთხოვა სპარსელებთან დადებული ზავის დარღვევა და ჯარის მისთვის მიშველება, რის სანაცვლოდ იგი მთელი თავისი ქვეყნის კეისრისათვის გადაცემის პირობას იძლეოდა (64:219). განრისხებულმა შაბურ III-მ (383-388 წწ.) სომხეთში დიდი დამსჯელი ჯარი მიავლინა. ლეონტი მროველის ცნობით, «გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად», რის საპასუხოდ «სომეხთა მოგზავნის ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან და განახუნენ კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნეთ ოვსნი და ლეკნი და წინააღუდგნენ სპარსთა, და წარჩინებულნიცა თვისნიცა ეტყოდეს წინაადგომასა სპარსთასა», მაგრამ ქართლის მეფემ «არა ისმინა არცა სომეხთა, არცა წარჩინებულთა თვისთა, ...უკუჯდა იგი ხევსა კახეთისასა, და აღაშენა ციხე ხიდარს და განამაგრა ციხე-ქალაქნი, და უბრძანა ყოველთა დამალენ ჯუარნი. და მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს, და მოაოხრეს სომხითი» (57:135). «მოქცევაი ქართლისაის» მატიანეც გვიდასტურებს აღნიშნულს: ვარაზ-ბაკურის ზეობისას «სპარსთა მეფისა მარზაპანნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი ხიდარდ უკუჯდა... და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზად სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად, კალად ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი» (68:91-92). მოვსეს ხორენაცის ცნობითაც, კეისარმა «მხარი არ დაუჭირა ხოსროვს და არც სხვა რომელიმე უცხო ნათესავი დაეხმარა მას», ამიტომ სომეხთა მეფე თავისი ფეხით ეახლა სპარსელთა ჯარის წინამძღოლს და მისგან დატყვევებული სპარსეთში იქნა წაყვანილი (67:219).

ლეონტი მროველის ცნობით უკეთეს მდგომარეობაში არც ქართლის მეფე ასფაგური აღმოჩენილა; ის თურმე «ეზრახა შევრდომით და ითხოვა მშვიდობა» სპარსელთა ერისთავისგან, «ხოლო ერისთავმან სპარსთამან რქუა მას: ...გაქუნდეს უკუე ქართლი და ხარკსა მისცემდეთ მეფეთა ხუასროვანთა» და ასფაგურმა «ვერღარა პასუხი მიუგო შიშისაგან დიდისა, მისცა რანი და მოვაკანი, და განუკუეთა ხარკი» (57:136). ჩვენს წყაროებში არ ჩანს ის, თუ რა მიზეზით დაიტეხა თავს ასფაგურმა მისი ძველი მფარველის – სპარსეთის ხელისუფლების რისხვა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მფარველობა მისთვის საკმაოდ მძიმე პირობებს მოიცავდა. ჩანს, რომ ქართლის მეფე ხოსროვ IV-ს თანაუგრძნობდა და ეტყობა, მათ შორის რაღაც მოლაპარაკებასაც ჰქონდა ადგილი სომეხთა მეფის სპარსელთაგან განდგომამდე. შესაძლოა, სპარსეთის ხელისუფლებამ 387 წლის ზავის პირობებით რაღაცნაირად კიდევ უფრო შეუზღუდა ძალაუფლება ასფაგურს და ამით გაღიზიანებულმა ქართლის მეფემ სპარსეთისგან განდგომა განიზრახა. თუმცა, როგორც უკვე ვიხილეთ, პრაქტიკულად სომხეთ-ქართლის პოლიტიკური ალიანსი არ შედგა.

საინტერესოა, რომ ქართულ წყაროებსა და მოვსეს ხორენაცის თხზულებაში აღწერილი ზემოხსენებული მოვლენები ზუსტ დათარიღებას ექვემდებარება. სომეხი ავტორის ცნობით, სპარსელთა სომხეთში გამოლაშქრების შემდგომ მალევე გარდაცვლილა შაჰი შაბურ III (383-388 წწ.). ამდენად სპარსელთა ჯარის სომხეთში მოსვლა 388 წლის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. ქართლის დალაშქვრაზე იქ არაფერია ნათქვამი, მაგრამ აღნიშნულია ის, რომ სპარსელთა ჯარის წინამძღოლმა «დატოვა სომხეთში დიდი რაზმი» (67:219). აქედან ჩანს, რომ სპარსელთა სამხედრო აქცია იმ დროს მხოლოდ დროებით იქნა შეწყვეტილი; საფიქრებელია, რომ შაბურ III-ის სიკვდილის მიზეზით. რომ ჩვენ არ ვცდებით, ამაში გვარწმუნებს «მოქცევაი ქართლისაის» ცნობა «ქრამ ხუარ ბორზად (სინურ ხელნაწერშია: «ქარზამ ხუარ ბარზ ადურ» – იხ. 5) სპარსთა მეფისა პიტიახშის» მიერ ქართლის დახარკვის შესახებ. აღნიშნული პირი, როგორც ეს ჩვენს მიერ იქნა გამორკვეული (იხ. 102:87-88), რეალურად სპარსელ პიტიახშს (ერისთავს) კი არ შეესატყვისება, არამედ სპარსეთის მეფე ბაჰრამ IV-ს (388-399 წწ, რომელსაც მოვსეს ხორენაცის სიტყვით, თურმე «კრმანიც» (შდრ. «ქრამ»-ს) ჰრქმევია სახელად (67:221). მაშასადამე, ქართლი სპარსელთა მოხარკე გამხდარა 388 წელს, ბაჰრამ IV-ის ზეობის დასაწყისში. ამის შემდეგ, როგორც ლეონტი მროველის ცნობებით ირკვევა, ასფაგურს (ვარაზ-ბაკურს) დიდხანს აღარ უცოცხლია. ზოგიერთი მასალების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის საერთოდაც აღარ (ან ვეღარ) დაბრუნებულა სატახტო ქალაქ მცხეთაში. სინას მთის მონასტრის ერთ ქართულ ხელნაწერში (შინ-50) მოცემულია საყურადღებო ცნობა ვარაზ-ბაკურისა და მისი ოჯახის წევრების (ცოლის, ორი ძისა და სამი ასულის) ნეშტების, როგორც ზ.ალექსიძე მიიჩნევს, ხიდარიდან (ჟინვალთან, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე) ზედაზნის ეკლესიაში გადასვენების შესახებ. უცნობი ავტორის ცნობით, ზედაზნის ეკლესიაში არსებული «ერთი იგი ლუსკუმაი ვარაზ-ბაკურ მეფისა ხიდარელისაი არს. და ორნი ძენი მისნი – ვარაზ, ვარაზ-ჰარან და სამნი ასულნი და დედაი მათი სიმენავრი გუ(ა)სპურაგნელი მთავართა შვილი» (იხ. 5). საინტერესოა, რომ აღნიშნულ ცნობაში არ იხსენიებიან ფარსმანი, მირდატი და თრდატი, რომელთაც ვარაზ-ბაქარის ძეებად ასახელებს ლეონტი მროველი, აგრეთვე, სპარსელებთან 369 წელს მძევლად მყოფი ულტრა ასფაგურის ძე, რომლის შესახებაც ამიანე მარცელინე გვამცნობს.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აუცილებლობით განპირობებული კომენტარები კუკური ფიფიას და სხვათა საბაზეთო პუბლიკაციებზე

ამას განაპირობებს) ბგერის განსაკუთრებული უნარი – სწრაფვა ხმოვანი ბგერებისაკენ, რის საფუძველზეც ხდება მისი განვითარება (გასრულხმოვნება) ამა თუ იმ ხმოვან ბგერად. ამ საფუძველზე მიიღება ა, ე, ი, ო, უ ხმოვანი ბგერები, როგორც) ბგერის ფონეტიკური ვარიანტები. ამის დასტურია პარალელური, ფორმობრივად განსხვავებული მაგრამ მნიშვნელობაგაუდიფერენციებელი ფორმები, როგორიცაა, მაგალითად: ჩქ)‖ჩქი „ჩვენ“, გ)‖გუ(‖გუნ) „გავს“, ჩქ)ჩქ)‖ჩქიჩქი‖ჩქიჩქუ „ბავშვი, ჩვილი“, ლ)გ)‖ლ)გე‖ლიგე‖ლუგე „უგემური“, ლ)ყ)‖ლ)ყე‖ლაყე‖ლიყე‖ლუყე „მყაყე“, კ)ღ)‖კოღო(‖კოღონა) „კოღო“ და სხვა. ამათთან წარმოდგენილი ხმოვნები შინაარსობრივად გაუდიფერენცირებელია ერთმანეთისაგან და) ბგერისაგან, ვინაიდან წარმოადგენენ) ბგერის სემანტიკურად გაუდიფერენცირებელ ფონეტიკურ ვარიანტებს.

მაგრამ, ეს ყოველთვის ასე როდია. თანხმოვნურ ფორმებთან წარმოდგენილი)-ბგერისეული წარმომავლობის ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები, ჩვეულებრივ, მორფოლოგიზირდებიან (იქცევიან მორფოლოგიურ ოდენობად), მასთანავე, სემანტიზირდებიან და გვევლინებიან ცალ-ცალკე ფონემების სახით, სათანადო მნიშვნელობაგანმასხვავებელი (დისტინქციური) უნარით. ასე, მაგალითად, ძირისეული თანხმოვნური ჩხ)რჩხ) ფორმისაგან (რომელიც წარმომავლობს წყლის ჩუხჩუხის გამომხატველი ხმაბაძვითი ჩხრრრჩრრრ ბგერათკომპლექსისგან), მიღებულია სხვადასხვა მნიშვნელობის ფორმები, როგორიცაა, მაგალითად: ჩხარჩხ-ალი, ჩხარჩხ-აფა, ჩხერჩხ-ელი, ჩხირჩხ-ინი, ჩხორჩხ-ოლია, ჩხურჩხ-ული, მო-ჩხარჩხ-ალანაც), გინმო-ჩხარჩხ-ალანც), ო-ჩხირჩხ-ინანც), გო-ჩხირჩხ-ინ-აფილი, დო-ჩხორჩხ-ილი და სხვა (სულ სიტყვა პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ).

ამრიგად, ჩხ)რჩხ) ძირისეული თანხმოვნური ფორმისაგან მიღებულია ჩხარჩხ, ჩხერჩხ, ჩხირჩხ, ჩხორჩხ, ჩხურჩხ ხმოვნური ძირები, სადაც)-ბგერისეული წარმომავლობის ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები ერთმანეთისაგან შინაარსობრივადაც გადიფერენცირებულია და გვევლინებიან შიგა ფლექსიის (ტიპური აბლაუტის) სახით. ამ საფუძველზე ისინი ცვლიან ფუძის მნიშვნელობას.

მსგავსადვე ვითარდება სხვადასხვა ხმოვან ბგერად ჩხ)რჩხ) ძირის ბოლოკიდურა) ბგერაც და მიიღება ჩხარჩხ-ა... ჩხარჩხ-ე... ჩხარჩხ-ი... ჩხორჩხ-ო... ჩხურჩხ-უ... ფორმები, მაგრამ პროცესი აქ არ ჩერდება. საქმე ის არის, რომ) ბგერას, როგორც ნახევრადხმოვან ბგერას, ახასიათებს სწრაფვა არა მხოლოდ ხმოვანი ბგერებისკენ, არამედ თანხმოვნებისკენაც, განსაკუთრებით სონორებისკენ. მისი ეს თვისება თან გასდევს)-ბგერისეული წარმომავლობის ა, ე, ი, ო, უ ხმოვან ბგერებსაც, რაც, პრაქტიკულად, მარცვლის დახურვის მოთხოვნასა და რეალიზაციაში ვლინდება. საამისოდ, მოცემული ხმოვანი ბგერა ვიწროვდება და ივითარებს ამა თუ იმ სონორ ბგერას (რასაც განსაზღვრავს ძირისეული ფორმა). ამ საფუძველზე მიიღება ხმოვან-თანხმოვანი სეგმენტები (ალ, აფ, ელ, ინ, ოლ, ულ და სხვა), სუფიქსების სახით. ესენი, თავის მხრივ, მორფოლოგიზირდებიან, სემანტიზირდებიან და გვევლინებიან გარკვეული მნიშვნელობის (ფუნქციის) მქონე საგრამატიკო საშუალებებად. ამასთან, ზმნურ ფორმებში სუფიქსაციის პროცესი შეიძლება გაგრძელდეს მოქმედებაში მონაწილე სუბიექტურ და ობიექტურ პირთა (იგივე, აქტანტათა) რიცხვის მიხედვით. ამგვარ საფუძველზე, ფორმათა მიღება, სქემატურად ასე გამოისახება: ჩხ)რჩხ)®ჩხერჩხ-ე®ჩხერჩხ-ელ)®ჩხერჩხ-ელ-ა®ჩხერჩხ-ელ-აფ)®ჩხერჩხელ-აფ-ა®ჩხერჩხ-ელ-აფ-აფ)®ჩხერჩხ-ელ-აფ-აფ-ა და სხვა.

ემფატიკური) ბგერა შეიძლება წარმოჩნდეს ფორმის დასაწყისშიც. (ამგვარი ფორმები დღემდე გვაქვს, მაგალითად, სვანურში:)რმი (ირმი) „იკავებს, იჭერს“,)რხი (არხი) „ამოქნის, ამოლესავს“, ადიღეურში:)-§ეაღ‖)-§ეა-ღ „მან თქვა ის“ და სხვა ენებში). წინაკიდურა)-სგანაა განვითარებული ხმოვანი პრეფიქსები, მაგალითად, ქართულის ფორმებში: ა-§უნ) (წაჰყვა), ე-§უნ) (ა-ი-ყვანა), ი-§უნ) (წა-ი-ყვანა), ო-§უნუუ (გა-ა-ყოლა), უ-§უნ) (წა-უ-ყვანა) და სხვა.

) ბგერისგან შეიძლება განვითარდეს ცალკეული თანხმოვანი ბგერებიც, როგორც პირდაპირი გზით (ე. ი. უშუალოდ. მაგ.,)®მ,)®ვ...), ასევე არაპირდაპირი გზით (ე. ი. რისიმე მეშვეობით. მაგ.,)®უ®მ,)®უ®ვ...). ამ საფუძველზე, მაგალითად, ქართველური ენების ვ სუბიექტური პირველი პირის და მ ობიექტური პირველი პირის ნიშნები, ერთი და იმავე ოდენობის () ბგერის) ორი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტია, და ა. შ.

)-ბგერისეული წარმომავლობის თანხმოვანი ბგერები ბოლოში კვლავ იახლებენ რა) ბგერას, მისგან შიძლება განვითარდეს ესა თუ ის ხმოვანი ბგერა და მიღებულიქნას თანხმოვან-ხმოვანი სეგმენტი, პრეფიქსის ან ზმნისწინის სახით. ამავე გზით შეიძლება მათი რთული ფორმების მიღებაც.

ამრიგად, ფონეტიკური ტრანსკრიფცია ენაში დიდად განვითარებული მოვლენაა. მის საფუძველზეა მიღებული, პრაქტიკულად, აფიქსები (სუფიქსები, ინფიქსები, პრეფიქსები), აგრეთვე ზმნისწინები, საერთოდ, საგრამატიკო საშუალებები და მეტყველების ისეთი ნაწილებიც (ყოველ შემთხვევაში, მათი უდიდესი ნაწილი), როგორიცაა: ნაცვალსახელები, ზმნიზედები, თანდებულები, ნაწილაკები, კავშირები, შორისდებულები (იგი დეტალურად ნაჩვენებია ნაშრომში. იხ. შვიდტომეული, ტ. I., გვ. 101–148).

ზემოაღნიშნულის მიხედვით, სხვადასხვა წარმომავლობისაა, მაგალითად, „სის-ინ-ებს“ ფორმის ძირისეული ს ს ბგერები (მიღებული, – ხმაბაძვითი სსს შორისდებულისგან) და წერ-ს სიტყვის ს ბგერა, და ა. შ. ცხადია: ი, ინ, ებ, ს და სხვა საგრამატიკო საშუალებები, პრაქტიკულად, ფონეტიკური ტრანსკრიფციის გზითაა მიღებული, და გენეზისურად, წარმოადგენენ) ბგერის ფონეტიკურ ვარიანტებს, უფრო ზუსტად, სემანტიზირებულ და სათანადო კონკრეტული ფუნქციებით აღჭურვილ ფონეტიკურ ვარიანტებს.

ამრიგად, თანამედროვე ენა, პრაქტიკულად, წარმოადგენს პირველყოფილი ხმაბაძვითი თანხმოვნური ფორმებისა და) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან (ისტორიული, გენეტიკური თვალსაზრისით) შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას.

ზემოაღნიშნულთა საფუძველზე გამომდინარეობს შემდეგი ძირითადი დასკვნებიც: პირველყოფილი მეტყველება იყო ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური მეტყველება ერთ ენაზე – ბუნების ენაზე, რომლისთვისაც იმთავითვე იყო დამახასიათებელი დიალექტური მეტყველებანი, თვით ერთი და იმავე საგნის მიერ გაღებული ბგერების სხვადასხვა ადამიანის მხრივ (სასმენი ორგანოების აღქმადობის განსხვავებულობის შედეგად) სხვადასხვაგვარად აღქმა-გამოხატვის გამო. ასე, მაგალითად, ის ბგერა, რომელიც ჩვენ, ქართულ-ქართველური მოდგმის ადამიანებს დასაბამიდან დღემდე გვესმოდა და გვესმის ჭ-თი, ეროვნებით რუსებს, სლავებს ესმოდათ და ესმით როგორც ჩ. ამიტომაც, ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი მრავალ ათასწლოვანი ხმაბაძვითობის შედეგად განგვივითარდა შესაბამისი საწარმოთქმო ჩვევა ანუ საარტიკულაციო ბაზისი. ამიტომაც გვაქვს განსხვავებული ფორმები: ჭურხული (მეგრ.), ჭიკჭიკი (ქართ.), და ჩირიკანიე (რუს.). ამიტომაც ვერ წარმოთქვამს, დღესაც, რუსულენოვანი ადამიანი სახელს ჭიჭიკო და მის ნაცვლად ამბობს ჩიჩიკო.

ცხადია, აღნიშნული ფაქტი გახდა ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი, შემდგომში, სხვადასხვა ენების წარმოშობისა (შდრ.: მეგრულ-ქართულ-ინგლისურ-გერმანული შესატყვისობანი, როგორიცაა, მაგალითად: გუგული – გუგული – კუკუშკა – ქუქუ – კუკუკ; ყაყალი – ყიყინი – კვაკვანიე – ქროუქინგ – ქვაქენ; ზ)რზინი – ზუზუნი – ჟუჟუანიე – ბუზ – ზაუზენ; ხ)რხინი – ხიხინი – ხრეპეტ – ქრევეთეიშნ – შრაუხენ; ჭურხული – ჭიკჭიკი – ჩირიკანიე – ჩიფინგ – ცვიშჩენ და სხვა.). მისი მეორე ძირითადი საფუძველი გახდა საგანთა ერთი ნაწილის სახელდება არახმაბაძვით საფუძველზე, ანუ „წმინდა წყლის“ პირობითი ნიშნებით, რისთვისაც ადამიანმა, უთუოდ, გამოიყენა უკვე მის განკარგულებაში არსებული ბგერები, მათგან შედგენილი ფორმები, რაც მეორეული (გვიანდელი) მოვლენაა ენაში.

მაშასადამე, ენობრივი ერთეული,– სიტყვა, და ამ საფუძველზე,– ენა, მთლიანობაში, შედგება რაციონალური და ირაციონალური, ბუნებითი და არაბუნებითი (პირობითი) საწყისებისაგან.

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დამნაშავე სააკაშვილის დაჯილდოება

საქართველოს ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა და ამჟამინდელმა – მარგველაშვილმა უკვე მეორედ გამონახეს კონფიდენციალური შეხვედრის საშუალება. ორჯერვე ეს მოხდა ქვეყნებში, სადაც რუსეთისადმი „განსაკუთრებულ სიმპათიებს არ განიცდიან“: თავდაპირველად – უკრაინაში, სადაც ორივე პოროშენკოს ინაუგურაციაზე მიიწვიეს, გასულ კვირას კი – პოლონეთში, სადაც მარგველაშვილი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, ხოლო ვარშავაში „კაზიმირ პულასკის ფონდმა“ მიხეილ სააკაშვილს „თავისუფლების რაინდის“ ჯილდო მიანიჭა. „გენერალ პულასკის ფონდი „თავისუფლების რაინდის“ ამ ჯილდოს ყოველწლიურად გადასცემს: თავისუფლების, სამართლიანობისა და დემოკრატიისთვის ბრძოლაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის ცნობილ პოლიტიკოსებს. „თავისუფლების რაინდის“ წოდებასა და ჯილდოსთან ერთად, ლაურეატს გადასცემენ გენერალ პულასკის საზეიმო ხმლის ასლს – სწორედ ისეთს, როგორსაც ატარებდა პოლონელებისა და ამერიკელების თავისუფლებისთვის მებრძოლი, აშშ-ის დამოუკიდებლობისთვის ომში კონტინენტური არმიის გენერალი კაზიმირ პულასკი, რომელსაც **„ამერიკის კავალერიის მამას“** უწოდებენ.

რაინდის წოდების მინიჭებამდე

სხვადასხვა დროს გენერალ პულასკის სახელობის „თავისუფლების რაინდის“ ჯილდო გადაეცათ: პოლონეთის პრეზიდენტ ლეჰ ვალენსას, პოლონეთის პრეზიდენტ ალექსანდრ კვასნევსკის, ლიტვის პრეზიდენტ ვალდას ადამკუსს, ლატვიის პრეზიდენტ ვაირა ვიკე-ფრეიბერგას, აგრეთვე: ჰავიერ სოლანას, ბერნარ კუშნერს, აშშ-ის სენატორ რიჩარდ ლუგარს“,– წერს ნახევრად უმეცარი სააკაშვილი Facebook-ის საკუთარ გვერდზე.

და აი, 2014 წლის 6 დეკემბრიდან „ამ თბილ კომპანიას“ კიდევ ერთი საპატიო წევრი – სამშობლოში მრავალრიცხოვანი სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ძებნილი, სამხედრო დამნაშავე, რომელმაც 2008 წლის 8 აგვისტოს კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინა და თავისი ქვეყნის მოქალაქეების გენოციდი მოაწყო, ჯალათი, რომლის ბრძანებითაც ცხინვალში დახვეწილად აწამებდნენ ათობით ათას უდანაშაულო საქართველოს მოქალაქეს, პრემიერ-მინისტრ ჟვანიას მკვლელი, ბიზნესმენების რეკეტიორი, ნარკომანი და სექსუალური მანიაკი საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაემატა!

საქინფორმი

P.S. ქართველებზე კარგად ვინ იცის, თუ როგორი **“გულადია”** პირველ

რაინდის წოდების მინიჭების შემდეგ

წავარდნილი მანიაკი და დაშნაკი მიხეილ სააკიანცი. მისი საომარი შემართება გორში გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოში, როცა მან თვითმფრინავის ხმის გაგონებისას, შიშისაგან თავზარდაცემულმა დაცვას შეატოვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ასევე პოლონური ჯილდოს მფლობელი ბერნარ კუშნერი და მდუღარეგადასხმულ ვირთხასავით ახნა ცხვირით მიწა.

მოკლედ, დმერთმა ნუ გამოულიოს ამგვარი ქვეშაფსია გმირები იმ პოლონეთსა და პოლონელებს, რომლებიცზე წამოგებულ “მამალო კამფეტივით” აღმა-დაღმა დაატარებენ ქართველების მიერ ისტორიის სანაგვეზე მოსროლილ სააკიანცს! უფალმა გაგვიმართლა, ეთნიკურად ქართველი რომ არ არის ეს არაკაცი, თორემ ქართველებს ნამდვილად არ გვექნებოდა ხალხში თავი გამოსაყოფი!

ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოაქვეყნა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელმა ზურაბ კვარაცხელიამ: “გიჟი თავისუფალიაო კი გამიგია, მაგრამ... მას „თავისუფლების რაინდის" წოდება მიანიჭო – ეს უკვე ნამეტანია!!! მსოფლიოში, როგორც ჩანს ჭეშმარიტი ფასეულობების დევალვირება მოხდა!.. სამწუხაროა!!!!

სააკაშვილს „თავისუფლების რაინდის“ წოდება და ჯილდო მიანიჭეს.

გენერალ პულასკის ფონდი „თავისუფლების რაინდის“ ჯილდოს გადასცემს: თავისუფლების, სამართლიანობისა და დემოკრატიისთვის ბრძოლაში გამორჩეულს...”

ეკონომიკური საბჭოს მდივნის პოსტზე რომან ჩხენკელს ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია შეცვლის

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ნათქვამია:

“საქართველოს მთავრობაში საკადრო ცვლილებები გრძელდება. რამდენიმე თვის წინ სამთავრობო გუნდში რამდენიმე მინისტრი შეიცვალა. დასახული მიზნების შესასრულებლად და სახელმწიფო სტრუქტურების უფრო ეფექტურად მუშაობისთვის ცვლილებები ქვედა რგოლებსაც შეეხო.

ცვლილებები განხორციელდა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის და ეკონომიკურ საბჭოებში.

ეკონომიკური საბჭოს მდივნის პოსტს ჩაიბარებს ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია. ის ასევე შეინარჩუნებს ბიზნესომბუდსმენის თანამდებობას.

იგი 2 წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა ბიზნეს სექტორთან, ერკვევა მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში და კარგად იცის ხელშემწყობი ფაქტორები, რომელიც დღეს ბიზნესს სახელმწიფოსგან სჭირდება”, – აცხადებენ პრემიერის პრესსამსახურში.

საქინფორმი

რამდენად მართებულია მიწის ყიდვა, გაყიდვა და გასხვისება კერძო საკუთრებაში

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საკვირაო ქადაგებასა და გაცხადებაზე მიწის ყიდვა-გაყიდვისა და გასხვისების შესახებ ხელისუფლების მიმართვაზე გამოხმაურება

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და მაღალფარდოვანი სიტყვაკაზმული გამოთქმების გარეშე, აღშფოთებას (გაოცებას, გაკვირვებას) ვერ ვფარავ მაშინ, როცა საქმე ეხება მიწის (დედამიწის და მისი ბუნებრივი რესურსების) ყიდვა-გაყიდვას და გადაცემას (გასხვისებას) კერძო საკუთრებაში და მითუმეტეს როცა ეს ხდება უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე.

ვიდრე მთავარ სათქმელს ვიტყოდეთ, მანამდე მოკლედ შევეხოთ ტერმინების საკუთრების და მიწის არსის გაგებას (შემეცნებას).

ზოგადი განმარტებით საკუთრება ეს არის საგნების (ობიექტების), მატერიალური და სულიერი ფასეულობების გარკვეული პირების კუთვნილება, ასეთი კუთვნილების იურიდიული უფლება და ეკონომიკური ურთიერთობები ადამიანებს შორის საკუთრების ობიექტების კუთვნილების, გაყოფის და გადანაწილების საბაბით.

საკუთრების ობიექტებს მიეკუთვნება მატერიალური, ფინანსური, ინტელექტუალური პროდუქტი, ეკონომიკური რესურსები, რომლებიც ეკუთვნის გარკვეულ პიროვნებებს, ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს.

საკუთრება ეს არის ადამიანთა შორის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის გამომხატველი კატეგორია და ისევე ცვალებადია, როგორც საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა. საკუთრება არის წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესში ჩამოყალიბებული ობიექტური კავშირების სისტემა, მატერიალური დოვლათის მითვისების განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური ფორმა.

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ საკუთრების სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის არსის განმარტებაში არსად არ ფიგურირებს მიწა, როგორც კერძო საკუთრების ობიექტი.

მიწა არის ერთადერთი და საყოველთაო საფუძველი სიცოცხლის არსებობის. მის (მიწის) გარეშე არ არსებობს სიცოცხლე. მიწა (დედამიწა) არის საყოველთაო წარმოების საშუალება.

ტერმინი მიწა (დედამიწა) ეკონომიკაში გამოიყენება როგორც ბუნებრივი რესურსები, რომლის სარგებლობა შესაძლებელია წარმოებაში, ამიტომ აღიარებულია წარმოების ფაქტორად. მიწა არის რესურსი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის და ქვეყნის მშენებლობისთვის გამოიყენება. იგი არის წარმოების საშუალება.

როგორც ამ პატარა მიმოხილვიდან ვხედავთ მიწას უზარმაზარი (განუზომელი) შეუფასებელი როლი აკისრია დედამიწაზე სიცოცხლის არსებობაში და არ შეიძლება შემოიფარგლოს ვიწრო კერძო საკუთრების უფლებით.

საერთოდ, კერძო საკუთრების აღორძინება კაცობრიობის ისტორიაში დაკავშირებულია საწარმოო ძალთა განვითარების იმ საფეხურთან, როცა ადამიანს, ინდივიდს, საშუალება მიეცა ეწარმოებინა ზედმეტი პროდუქტი – ეს არის ეტაპი, როცა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში მოხდა ნახტომი, საწარმოო ძალები შევიდა ახალ თვისებრივ ფაზაში და განსაზღვრა უფრო მაღალი საფეხური (ეტაპი) ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში.

კერძო საკუთრების აღმოცენებამ ხელი შეუწყო საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებას და დასაბამი მისცა ახალი ეკონომიკური სისტემის წარმოშობას. კერძო საკუთრების წარმოქმნა იმთავითვე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საკუთრებაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი (ფასეულობა), რომელსაც აქვს ღირებულება და შესაბამისად ფასიც. მაშინ ის შეიძლება ყიდვა-გაყიდვის ობიექტიც გახდეს. არ ვიზიარებთ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ მცდარ (ცრუ) შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოს მიწის (დედამიწის ბუნებრივი რესურსებით) – იყო, არის და შემდგომშიც მისი ყიდვა-გაყიდვა, გასხვისება დასაშვებია. ისტორიულად ბუნების პროდუქტებით სარგებლობამ და მითვისებამ თანდათანობით საკუთრების სახე მიიღო და დამოუკიდებელ ფორმად ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიწა კერძო საკუთრების ობიექტი არის.

ადამიანი ბუნებას იყენებს არა როგორც ცხოველი, არამედ მასთან ურთიერთობაში ექცევა გარკვეული საზოგადოებრივი ფორმით, რომელიც განპირობებულია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მოცემული სისტემით.

დედამიწა (სამყარო) არის ღმერთის მიერ შექმნილი და წარმოადგენს სიცოცხლის არსებობის საყოველთაო საშუალებას. ის არ არის ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური (ეკონომიკური) რესურსები, ამიტომ მიწას არ აქვს ღირებულება და შესაბამისად ფასიც. მისი შეფასება შეუძლებელია და არც ყიდვა-გაყიდვა არის შესაძლებელი.

ადამიანთა საზოგადოებას, თუ სწამთ ღმერთი და აღიარებენ უფლის არსებობას, მაშინ მის მიერ შექმნილი სამყაროც (დედამიწაც) უნდა ირწმუნონ და მიიღონ საჩუქრად ისევ ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანების არსებობისათვის (სიცოცხლისათვის).

დედამიწა (მიწა) არის სიცოცხლის არსებობის საყოველთაო საფუძველი, დედამიწის გარეშე სიცოცხლე არ არსებობს. ამიტომ არ შეიძლება მიწა (დედამიწა) კერძო საკუთრება იყოს.

კერძო საკუთრებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი, რომელსაც აქვს ღირებულება, (ღირებულება არის საქონელში განივთებული საზოგადოებრივი შრომა) სახმარი ღირებულება და ფასი. ასეთი ობიექტები (ნივთები) მიეკუთვნება კერძო საკუთრებასაც და მისი ყიდვა-გაყიდვაც შეიძლება. ხოლო რაც შეეხება მიწას (დედამიწას) ის არც კერძო საკუთრებაა და არც ყიდვა-გაყიდვის ობიექტია.

მიწა სოფლის მეურნეობაში საყოველთაო (მთავარი, ძირითადი) წარმოების ფაქტორია და საერთოდ ყოველგვარი წარმოების საფუძველთა საფუძველია, რადგან რაოდენობრივად იგი შეზღუდულია. მიწა წარმოების ბუნებრივი ფაქტორია.

მიწაზე (დედამიწაზე) ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი (ფასეულობა, რესურსი თუ სხვ.) არის კერძო საკუთრებაც და ყიდვა-გაყიდვის ობიექტიც.

ამჟამად ფართოდ აღიარებულია (გავრცელებულია) შეხედულება, რომ კერძო საკუთრების საგანს (ნივთი, ობიექტი) წარმოადგენს მიწა, რაც მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე. ამის დამადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: როგორც ცნობილია მონათმფლობელური წყობილების პერიოდში მონის სახით ადამიანი კერძო საკუთრების ობიექტს წარმოადგენდა, მაგრამ განა ეს მართებულია? ასეთი ქმედება ყოვლად გაუმართლებელია.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ მიწა და ადამიანი ღმერთის შექმნილია და მათი კერძო საკუთრებაში არსებობა ყოვლად შეუძლებელია.

მიწა (იგულისხმება დედამიწა მთელი მისი ბუნებრივი რესურსებითურთ) არის სახელმწიფოს სარგებლობაში მთელი მისი კუთვნილი არეალით, რომელიც ერის საკუთრებაა. მიწა სახელმწიფოს შეუძლია გადასცეს თავის მოსახლეობას (მოქალაქეებს) მხოლოდ უვადო სარგებლობაში იმ ოდენობით (ნორმით) რაც მათი საჭიროებისათვის არის საკმარისი და სათანადო მოვლა-პატრონობას გაუწევს (შეძლებს) მას. თუ მიწათმფლობელი ეფექტიანად ვერ გამოიყენებს მიწას, მაშინ მას უნდა ჩამოერთვას ის და გადაეცეს იმ პირს ვინც შეძლებს მის ეფექტიან გამოყენებას.

ამრიგად, რაც შეეხება მიწის გაყიდვა-გასხვისების პრობლემას, ის შეეხება მხოლოდ მიწაზე ადამიანის შრომით შექმნილ მატერიალურ რესურსებს.

ქართველ ერს ღმერთმა უბოძა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მიწა-წყალი და მისი გაყიდვის უფლება არავის არა აქვს, მით უმეტეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. ღმერთი გწამთ?

მიწა არის ერის ხელშეუხებელი სასიცოცხლო საკუთრება და ულევი სიმდიდრე. მიწის გაყიდვა და გასხვისება უცხოეთის ქვეყნის მოქალაქეებზე და მიღებული ფულით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება და „შეჭმა“ ყოვლად გაუმართლებელია და უსასტიკესი დანაშაულია ერისა და ღმერთის წინაშე. ბიბლიაში აღნიშნულია: „მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა და თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან“ (ბიბლია, ძველი აღქმა, ლევიანნი. თავი25, მუხლი 23. თბ. 1989)

ამიერიდან მაინც უნდა მოეღოს ბოლო სამშობლოს მოღალატეობის საქმიანობას, მანამ სანამ ჯერ კიდევ მცირე დოზით შეგვრჩენია სინდის-ნამუსის გრძნობა (თანაგრძნობა), ერისადმი (სამშობლოსადმი) პატივისცემა (სიყვარული) და უფლისადმი რწმენა.

საქართველოში სახელმწიფოს მართვის მაღალხარისხიანი საკანონმდებლო დოკუმენტების მომზადების (მიღების) წესების თანმიმდევრობის გაუმჯობესების საკითხები

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პარლამენტი კანონმანიითაა შეპყრობილი. გაუმართლებელია ყველაფერზე კანონების მიღება დაჩქარებული წესით, რაც ძალიან ხშირად იწვევს გაუაზრებელი შინაარსის და უხეში შეცდომებით სავსე უხარისხო იურიდიული დოკუმენტების მიღებას, რომლებიც წამდაუწუმ იწვევენ დაშვებული შეცდომების შესწორებებს ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მოქმედებაში შევიდოდეს (ამოქმედდებოდეს). ხშირად კანონის სახეს (ფორმას) აძლევენ ისეთ ნორმატიულ აქტს (დოკუმენტს), რომელიც სულ სხვა შინაარსის (დებულების, ინსტრუქციის და სხვა) მატარებელია.

ამჟამად საქართველოში კანონების და სახელმწიფოს მარეგულირებელი დოკუმენტების პროექტები თითქმის ხელმიუწვდომელია ფართო მასებისათვის გასაცნობად საქმიანი შენიშვნების და წინადადებების გამოსათქმელად, რაც მათ ხარისხს გაუმჯობესებს.

ახლა საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, რომელშიც ქვეყნდება კანონები, კოდექსები და სხვა ნორმატიული აქტები (დოკუმენტები) არის შემდეგი გამოცემები: “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, საქართველოს პარლამენტის უწყებანი“ და არსებობს ინტერნეტში საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდი. მაგრამ ესენი არ გამოდის ფართო ფენებისათვის და ამ დოკუმენტების პროექტების სახალხო განხილვა არ წარმოებს, რაც იწვევს ბევრი რამის გაუთვალისწინებლობასდა უხეში შეცდომების დაშვებას დოკუმენტების შინაარსში.

ვფიქრობთ, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა იურიდიულმა დოკუმენტებმა სრულყოფილი ფორმა (სახე), რომ მიიღოს, ამისათვის საჭიროა მათი პროექტები წინასწარ რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდეს მასობრივი ტირაჟით პრესაში საჯაროდ განსახილველად, ამისათვის კი საკმარისი არ არის დღეისათვის (ამჟამად) არსებული საინფორმაციო საშუალებები. ამიტომ საჭიროა შეიქმნას საქართველოს სამთავრობო ან საპარლამენტო სპეციალური გაზეთი მასობრივი ტირაჟით, უფასო ან ძალიან იაფად, რომ ხელმისაწვდომი იყოს ფართო მასებისათვის, რომელიც გამოიცემა პერიოდულობით საჭიროებისამებრ, რომელშიც დაიბეჭდება სამთავრობო და საპარლამენტო ყველა იურიდიული დოკუმენტის პროექტიც და დამტკიცებულიც. თუ ეს წინადადება მიუღებელი იქნება, მაშინ შეიძლება სხვა ბეჭდვითი აკადემიური გამოცემა (მაგ. გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა) გამოვიყენოთ, რომელშიც შემოვიღოთ რუბრიკა “საკანონმდებლო აქტები“ და მასში დაიბეჭდოს საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულიმმართველობითი ყველა მარეგულირებელი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტების (ნორმატიული აქტების) პროექტებიც და სამოქმედოდ მიღებულიც (დამტკიცებულიც)კერძოდ: კონსტიტუცია (ძირითადი, მთავარი კანონი), კანონები, კოდექსები, დადგენილებები, განკარგულებები, დებულებები, ინსტრუქციები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები, რომლების ცოდნაც საჭიროა საწარმო-ორგანიზაციების ადმინისტრაციისათვის (იურიდიული პირებისათვის) და სხვა ფართოდ დაინტერესებული ფიზიკური პირებისათვის. ამისათვის საჭირო იქნება გაზეთის ტირაჟის გაზრდა და ბიუჯეტის ხარჯზე გაიაფება, რომ შეძლოს ფართო საზოგადოებამ მისი ყიდვა (შეძენა). ამავე გაზეთში უნდა დაიბეჭდოს დოკუმენტების პროექტების საყოველთაო (საჯარო) განხილვის პერიოდში (პროცესში) ფართო მკითხველის მიერ წერილობით მოწოდებულ გამოხმაურებაში გამოთქმული კრიტიკული წინადადებებიც (დადებითიც და უარყოფითიც). ამისათვის პრესასთან უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია (მუშა ჯგუფი), რომელიც ჟურნალ-გაზეთებში (პრესაში) გამოქვეყნებულ საქმიან წინადადებებს, გონივრულ მოსაზრებებს დაალაგებს, შეისწავლის გაანალიზებს, დაჯგუფებს მათ საგნობრივად და გადასცემს ნაერთს საპარლამენტო კომისიას გასაცნობად და შემდგომი მსვლელობის მისაცემად (დასამუშავებლად). საპარლამენტო კომისია თავის მხრივ შეისწავლის წარმოდგენილ წინადადებებს, მოსაზრებებს, რჩევებს და აქედან საუკეთესო მოსაზრებას, რეკომენდაციას მისცემს პარლამენტს გაითვალისწინონ კანონპროექტის დამტკიცების დროსსესიაზე. ასეთი თანმიმდევრობით შემუშავებული კანონპროექტი და პარლამენტის სესიაზე დამტკიცებული კანონი იქნება ხარისხიანი და სრულყოფილი, სტაბილური. მისი ფორმა და შინაარსი შესაბამისობაში იქნება მოყვანილი და წამდაუწუმ არ დასჭირდება ცვლილებების შეტანა. კანონი უნდა იყოს კანონი.

სახელმწიფოს მართვის (მენეჯმენტის) იურიდიული დოკუმენტების დამტკიცებისადმი ზემოთ აღნიშნული მეთოდით (წესით) მიდგომა საჭიროა იმისთვის, რომ მთავრობისა და პარლამენტის გარეთმყოფი (დარჩენილი) მეცნიერების, სწავლულების, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გამოყენებული იქნას ამა თუ იმ პრობლემის (საკითხის) გონივრულად გადასაწყვეტად კანონის მიღების დროს. კანონპროექტების საყოველთაო სახალხო განხილვისადმი ასეთი წესით მიდგომა გაზრდის საზოგადოების როლს იურიდიული დოკუმენტების ხარისხიანობის ამარლებაში.

ჩემი აზრით (შეხედულებით) კანონმდებლებს ვერ გაუთვითცნობიერებიათ კანონის ცნების არსი, რომ ის უნდა ასახავდეს საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ უ რ თ ი ე რ თ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, ურთიერთკავშირს და კანონზომიერებას. კანონები არის ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური კანონის (სამყაროში, ბუნებაში დამოუკიდებლად არსებული) სანიმუშო მაგალითია მსოფლიო მიზიდულობის კანონი, ხოლო სუბიექტური ანუ იურიდიული კანონი არის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი ყველასათვის სავალდებულო წესით შესასრულებელი კანონი, რომლის მაგალითია საქართველოს კონსტიტუცია (ძირითადი, მთავარი კანონი), საარჩევნო კოდექსი (კანონთა კრებული) და ა.შ. ამიტომ ყველა ნორმატიული დოკუმენტი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კანონის ცნების მოთხოვნებს არ შეიძლება ჩაითვალოს კანონად. ამრიგად, იურიდიული კანონი ორ მოვლენასშორის კანონზომიერებას უნდა ასახავდეს და კანონის ცნების არსს აკმაყოფილებდეს, რომ სტაბილური ხასიათი ჰქონდეს. კანონი აბლაბუდისებრ არ უნდა ხლართავდეს ქსელში მსხვერპლს. გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებიან ინდივიდუალური ადამიანები (პირები) და საწარმო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ვერ გაუგიათ თავი და ბოლო ასეთი კანონებისთვის.

კანონთა სისტემიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) მიღების პრობლემებს, ვინაიდან არ წარმოიშვას ასე ხშირად (გამუდმებით) ცვლილების შეტანის საჭიროება.

პოლიტიკურ-იურიდიული გაგებით კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ იურიდიული ტერმინი. კონსტიტუცია ლათინური სიტყვა გამოიყენება ერთი როგის მოვლენების მნიშვნელობით (აღმნიშვნელად) მოწყობა, დადგენა, დამკვიდრება, დაწესება, აგებულება, მდგომარეობა და ა.შ.

კონსტიტუცია იმიტომ არის ძირითადი კანონი, რომ იგი აწესებს, ადგენს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების პიროვნების და სახელმწიფოს ურთიერთობის, სახელმწიფოს ორგანოთა სისტემისა და მათი უფლებამოსილების განმსაზღვრელ ფუძემდებლურ ნორმებს. სწორედ საკანონმდებლო წესით მიღებული და დამტკიცებული ასეთი ნორმები შეადგენენ კონსტიტუციას – სხვა კანონებთან შედარებით უმაღლეს საკანონმდებლო აქტს. კონსტიტუცია არის სახელმწიფოს ყოველმხრივ მომწესრიგებელი მარეგულირებელი მთავარი კანონი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფოს მმართველობითი (მენეჯმენტის) ორგანოებისა და მოქმედების პრინციპებს. კონსტიტუციას უნდა ახასიათებდეს სიმყარე, მუდმივობა, სახელმწიფოებრივი რწმენა, პატიოსნება და ერთიანობა.

ჭიჭიკო ადეიშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ღვთიური მისიით დატვირთული საქართველო!

ამონარიდი მ. ქართველის წიგნებიდან

საეკლესიო ქრონიკონის თანახმად, მაცხოვარი იესო ქრისტე დაიბადა ძველი წელთაღრიცხვის ოთხ (4) წელს. თუ ეს ინფორმაცია სწორია, მაშინ 1996 წელს შესრულდა ორი (2) ათასი წელი (ორი დღე) ქრისტეშობიდან. 2008 წელს ელია წინასწარმეტყველი და გრაალის თასის საძმოს სულიერი სიმწიფის დონე გაუსწორდა თორმეტი წლის იესოს დონეს. 2012 წლისთვის მცირე აზიის ისრაელი და მისი მეგობრები (აშშ და ევროკავშირი) უნდა დაეჯახონ ირანსა და ისლამურარაბულ სამყაროს. რის შედეგადაც მიწასთან გასწორდება ქრისტეს მოძულე მცირე აზიის ისრაელი და იერუსალიმი. როგორც კი ეს მოხდება, მაცხოვარი იესო მრავალ წმიდა მამათა ლაშქრით ჩამოვა დედამიწაზე და ჯვრის მონასტრის მთიდან გამოეცხადება წმიდა სუვეტიცხოველს. ამინ! ყველაფერი ეს ასე მოხდება თუ დედამიწიერი ეკლესიის კალენდარი ემთხვევა მამა ღმერთის კოსმიური ეკლესიის კალენდარს. შესაძლოა ცდომილება იყოს ორი წელი.

როგორც ადრე გითხარით, ფარნავაზ-ქუჯის ისტორიული მისიის შედეგად იბერიული ქართული ენა გახდა ყოველთა ქართველთა სასულიერო და სახელმწიფო ენა. ფარნავაზმა საქართველოს სასულიერო ცენტრის ნიშნად აღმართა ხის სუჰეტი, რომელიც იყო სიცოცხლის ხის (სახარების) სიმბოლო. ამის გარდა, ხარის დიდი გამოსახულება დადგა იქ, სადაც ახლა აღმართულია ჯვრის მონასტერი. ესეც არის სა-ხარ-ების სიმბოლო. პირამიდის მუცელში მოთავსებული ხარიც არის ქართული ენისა და სახარების სიმბოლო.

ისევ ვიმეორებ, დასავლეთ საქართველოდან (ნოქალაქევი) აღმოსავლეთ საქართველოში (მცხეთა) სასულიერო და პოლიტიკური ცენტრის გადატანა იყო ბიბლიური ანდერძის აღსრულება, ანუ მეგრული ენის (სემის) სულიერი მისიიდან საქართველოს (კოლხეთის) გადაყვანა იბერიული ენის (იაფეთის) სულიერ მისიაზე. უფრო ზუსტად, ესაა ქართული ტომისა და სახელმწიფოს წინასწარი შემზადება, მოსეს რჯულიდან (VI ეკლესია), ქრისტეს რელიგიაზე (VII ეკლესია) გადასასვლელად – ცნობიერი ხარისხის მისაღებად.

ამიტომ გვეუბნება წმიდა ბიბლია: ***„კურთხეულ იყოს უფალო, ღმერთი სემისა! მორჩილად გაუხდეს მას ქანაანი! განუფართოვოს ღმერთმა იაფეთს, სემის კარვებში*** (მეგრული ენის სახელმწიფოში, კოლხეთში) ***დაემკვიდროს! დაემორჩილოს მას ქანაანი!*** (დაბ. 9,26-27).

სემი არის მეგრული ენა და მოსეს თორა (ორთა, ართო), ხოლო სემიტები არიან მოსეს მართლმადიდებლური თორას მიმდევარი ხალხები, მათ შორის მცირეაზიელი იესოს მკვლელი ურია იუდეველებიც. საბჭოთა კავშირის ხალხები იყვნენ მარქსისტები, მარქსის უტოპიური მოძღვრების მიმდევრები და არა მარქსის ურიული ეროვნებისანი. ებრაელი არის სულიერი ხარისხის კატეგორია და არა ნაცია და ტომი, ანალოგიური ქრისტიანი.

როგორც კი ქართველები შევიდნენ (მოინათლნენ) ქრისტეს მეშვიდე (VII) ეკლესიაში, დაიწყეს საქართველოს მთელი ტერიტორიის მორთვა ჯვრებითა და სამლოცველო სახლებით. ქართული სუფრა წმიდა მამებმა გადააქციეს სამლოცველოლიტურგიულ სისტემად. უმეცარი ამერიკა და ევროპა ქართველების ღვინის დალევის სამლოცველო რიტუალს დასცინის, ეს იგივეა, რომ ჰამლეტ გონაშვილს ყრუმუნჯმა დასცინოს და სიმღერა დაუწუნოს.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოგახსენებთ: "აზური (ქართული) სულიერი და ხორციელი ქალწულობის (უბიწობის) მართლმადიდებლური ინსტიტუტის წმიდა წიაღიდან წარმოიშვან ბიბლიური წმიდა მამები და პატრიარქები: **ადამი, შეთი, ენოში, კაინანი, მახაელი, იარედი, ენოქი, მეთუშალახი, ლამეწი, ნოე** (სვანური ენის სასულიერო მისიის დასასრული და მეგრული ენის მისიის დასაბამი) **სემი, არფაქშადი, შალახი, ყებერი, ფალეგი, რეღუ, სერუგი, ნახორი, თერახი, აბრაამი, ისაკი, იაკობი, მოსე, ნავე, I ეზრა, ნეემია, II ეზრა, ტობიათი, ივდითი, ესთერი, იობი, დავითი, სოლომონი, ეკლესიასტე, ზირაქი, ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკია, დანიელი, ოსია, იოველი, ამოსი, აბდია, იონა, მიქა, ნაუმი, აბაკუმი, სოფონია, ანბია, ზაქარია, მალაქია, III ეზრა, ქუჯი** ბაგრატიონი (მეგრული ენის სასულიერო მისიის დასასრული და იბერიული ენის იაფეთის მისიის დასაწყისი), **ფარნავაზი** – ქართლოსის ბაგრატიონი, **იესო ქრისტე** – მუშვან-დადიანი-ბაგრატიონი, **თორმეტი მოციქული, მახარობლები, წმიდა ნინო** – კაბადოკიელი ბაგრატიონი, **მირიან მეფე** – ქართლოსის ბაგრატიონი, **ვახტანგ გორგასალი** – ქართლოსის ბაგრატიონი, **შუშანიკ წამებული, დავით აღმაშენებელი** – საბედიანოს ბაგრატიონი, **იოანე ზოსიმე** – წმიდა კაცი, **შოთა რუსთაველი** – წმიდა კაცი, **ცოტნე დადიანი** – ეროვნული გმირი, **თამარ მეფე** –გენიოსი ქალი, **დემეტრე თავდადებული, თორნიკე ერისთავი, პეტრე იბერი, რუსეთის მთავრები და მეფეები** დოლგორუკები-მხარგრძელი, **გიორგი ბრწყინვალე**-მესხი ბაგრატიონი, **სარგის თმოგველი, იოანე შავთელი, იაკობ ცურტაველი, მერჩულე, გრიგოლ ხანძთელი, დავით და კონსტანტინე, ქეთევან წამებული** – წმიდანი, **წმიდა მამები, სულხან-საბა, დავით გურამიშვილი, ერეკლე II**-კახი ბაგრატიონი, **ნიკოლოზ ბარათაშვილი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, ამბროსი ხელაია** – წმიდა პატრიარქი, **ექვთიმე თაყაიშვილი, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ელია წინასწარმეტყველი და გრაალის თასის საძმო,** გამოვიდა ქართული ჯიშიდან და ჯილაგიდან. ამინ! ურწმუნო თომებისთვის განვმარტავ: დროის ძალიან გრძელ მონაკვეთში არსებობდა ველური ლაზური (ქართული) ენა, რომელმაც პატრიარქ ადამამდე გამოიარა განვითარების 280-290 ათასწლიანი გზა. იმ ქართულ ენას, რომლითაც პატრიარქმა ადამმა დაწერა რჯულის წერილი, ეწოდება ქამი (სვანური ქართული), რომელსაც თანდათანობით გამოეყო (მისგან აღმოცენდა) სასულიერო ლაზური ენა სემი (მეგრული ქართული), რომლითაც მოსემ დაწერა მეორე მართლმადიდებლური რჯული. მეგრულ ენას თანდათანობით გამოეყო (მისგან აღმოცენდა) სასულიერო ლაზური ენა იაფეთი (იბერიული ქართული). ქრისტეს მოღვაწეობის ეპოქაში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო იწოდებოდა კოლხეთად (იბერიად). ჩვენი წელთაღრიცხვის IX საუკუნეში ქართველმა წმიდა მამებმა და ბაგრატიონებმა დაადგინეს სახელდება (კოდი) ქა-რთველი, რომელიც ქრისტეს (ქა) რთველს (ვენახი, ვაზს, ყურძენს, ღვინოს, მარანს და წმიდა სალოცავებს გულისხმობს). ქართველი ქრისტეს მეშვიდე ეკლესიას, ხოლო ებრაელი მოსეს მეექვსე მართლმადიდებლურ ეკლესიას გულისხმობს.

ღვთაებრივი ბიბლია გვეუბნება, ნოემ კიდობანში შეიყვანაო: ქამი (სვანური ქართველი), სემი (მეგრული ქართული) და იაფეთი (იბერიული ქართული), ხოლო დანარჩენი ენები რაც კი დედამიწაზე არსებობს, ისინი კიდობნის (ღმერთის სჯულის ენის) გარეთ დატოვაო. ამრიგად, ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ კაცობრიობა ილაჰარაკებს: სვანური ქართულით, მეგრული ქართულით და იბერიული ქართული ენითაო. ეს ისპობა და ქრება (წყალში იხრჩობა). ამიტომ გვასწავლის გენიოსი რუსთაველი: ***„არ შეამოკოთ ქართული, არა ჰქმნათ სიტყვა მცირობაო“.*** სამება ქართული არის მთლიანი საღვთო ენა...

ისინი, ვინც მეგრული ენის ირგვლივ ჩალიჩობენ, არ ესმით რა უნდათ, რას ეძებენ, რისი მიღწევა სურთ, თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე დიდი მეგრელი მე ვარ, მეგობრებო, მეგრელობა კი არაა მაგარი, არამედ მაგარია ამ ენის კოდიური შინაარსი, რომელმაც შექმნა მეორე კოლხური ცივილიზაცია და ქრისტეშობამდე მსოფლიო ცივილიზაცია. მოსემ თორა (ორთა, ართო) ღვთის სიტყვა დაწერა მეგრული ენის კოდით, რომელიც შენახულია და მოელის მას დღეს მეორედ მოსვლისა უფლისასა. დედამიწაზე მალე მოვა იესო ქრისტე და უამრავი წმიდა მამათა გუნდი. ისინი კაცობრიობას მცხეთის სუვეტიცხოველში მონათლავენ თანამედროვე ქართულ ენაზე, რომელიც არის ყოველთა ქართველთა სასულიერო-სახელმწიფო და საგანმანათლებლო ენა. მეგრელებო, ქრისტე მოვა მცხეთასა და არა ზუგდიდში, ქრისტე დაიბადა ხობის წმიდა მარიამ ღვთისმშობლის ეზო-კარმიდამოში. ამიტომაც ხობის ღვთისმშობლის ეკლესია წმიდა მარიამის კვართის მფლობელია და მის სახელს ატარებს. ეძებეთ ქრისტე და იპოვით ერთმანეთის სიყვარულს, თქვენ კი ეძებთ პირველობას, რომელიც მოგიტანთ შურს, შუღლს, მტრობასა და სიძულვილს. ტყუილად კარგავთ დროს, ამიტომ გირჩევთ, ისწავლეთ სახარება და გახდებით თავისუფალი ადამიანები. ბედნიერები გახდებით ქრისტეს სახარებაზე, ზიარებით. ახლა რასაც თქვენ აკეთებთ, მას ბიბლიის ენაზე ეწოდება ეშმაკისა და სატანის საქმის კეთება...

ქრისტე აღსდგა – ჭეშმარიტად!
ქრისტე მოვა – ჭეშმარიტად! ამინ!

მურმან ხუბულავა

ამბები სამეგრელოდან

ახალი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა ხობში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სამეგრელოს რეგიონში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრებში გაუმართავი მანქანები ახალი "Ford"-ისა და „VOLKSWAGEN"-ის ტიპის მანქანებით ჩაანაცვლა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების განახლებისთვის, სამინისტროს ბიუჯეტიდან 11 მლნ ლარი გამოიყო.

ხობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს ამჯერად ერთი „VOLKSWAGEN"-ის ტიპის მანქანა გადასცეს, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, ავტომანქანაში დამონტაჟებულია კარდიოგრამის აპარატი, დეფიბრილატორი, ჟანგბადი. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი სრულად 2014 წლის ბოლომდე განახლდება და ხობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს, დამატებით ერთი ავტომანქანა გადაეცემა. ხობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტში სასწრაფო მანქანის გადაცემის ცერემონიალს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია დაესწრო.

საინფორმაციო შეხვედრა ფერმერებსა და კოოპერატივის წარმომადგენლებთან

შემოდგომაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაცია „ქეას" წარმომადგენლები, კოოპერატივების მობილიზაციის კოორდინატორი ელისო ცხადაია, მობილიზატორი თინათინ დიდიშვილი და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ანგულ მიქავა ფერმერებსა და კოოპერატივების წარმომადგენლებს შეხვდნენ. საინფორმაციო შეხვედრაზე პროექტი „თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისათვის" ფარგლებში განსახორციელებელ საგარანტო კონკურსის მეორე ეტაპზე, ბიზნესით დაინტერესებული ფერმერთა ჯგუფებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერტივების შესახებ ისაუბრეს. დამსწრე საზოგადოებას ბიზნესიდეის მომზადების შესახებ სააპლიკაციო ფორმა და სახელმძღვანელოები გადასცეს.

მასშტაბური ინვესტიციის პრეზენტაცია სენაკში

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბ-ნი გოჩა დგებუაძე ჩინეთის მსხვილი საინვესტიციო კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა.

ბიზნესმენებთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო ბალნეოლოგიური კურორტი მენჯის განვითარების პერსპექტივებს.

ჩინელმა ბიზნესმენებმა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კურორტის განვითარების პრეზენტაცია გამართეს, რომელიც ასეულობით მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ინვესტიციას ითვალისწინებს. პროექტის თანახმად აშენდება თანამედროვე სტანდარტების სამკურნალო და დასასვენებელი კომპლექსები, მოეწყობა ინფრასტრუქტურა. პროექტის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული ჩინეთის განვითარების ბანკი.

აღსანიშნავია, რომ მშენებლობის პროცესში 800-მდე, ხოლო სამუშაოთა დასრულების შემდეგ 2000-მდე ადგილობრივი დასაქმდება, რაც პროექტით გათვალისწინებულ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 95% შეადგენს.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, კომპანიას აგრეთვე გააჩნია მნიშვნელოვანი საინვესტიციო წინადადებები სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით.

ჰიტლერის პორტრეტი კიევში მერიის ფასადზე დაჰკიდეს

ჰიტლერის პორტრეტი წარწერით – **„ჰიტლერი გამათავისუფლებელი“**, კიევში შენობის ფასადზე დაკიდეს. კიევი გიჟდება – შენობა, რომელზეც ეს საძაგლობა დაკიდეს, კიევის საქალაქო ადმინისტრაციაა, პირველი ხელში ჩაგდებული შენობა პირდაპირ კრეშჩატიკზე მდებარეობს. მოკლედ, ფაშიზმი ფაშიზმია, ნაციონალური იქნება იგი თუ უკრაინული. იმიტომაც აკლავს თავს სააკაშვილი უკრაინას, რადგან ფაშიზმი მისი სულიერი სამყაროა.

საქინფორმი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ!

წარსული საუკუნეები ხან ისე ახლოს მოდიან, რომ გეჩვენება, თითქოს ისინი შენს ცხოვრებაში შემოიჭრნენ. კარგად თუ დააკვირდები, მიხვდები, რომ წარსულთან შედარებით ბევრი არაფერი შეცვლილა ფასადის ცრუდემოკრატიით მოპირკეთების და ხალხის მოტყუების მდიდარი გამოცდილების ცირკის ჟონგლიორის ოსტატობით გამოყენების გარდა.

ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, რომ მისი უპირველესი და უსპეტაკესი მოვალეობა სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვაა. კუჭის კარნახით გაზულუქება, ქართველი ერის და ქვეყნის დაკნინების ხარჯზე, საკუთარი არსებობის უზრუნველად მოწყობა, ღალატია და მავანს ამ ცთუნების აყოლა ბოლოს ხალხის საძულველ მუხთალთა სანაგვეში ამოაყოფინებს თავს.

ჩვენი დღევანდელი ფსევდოდამოუკიდებლობა რატომღაც მონღოლთა ბატონობის პერიოდს წააგავს, საქართველოს მეფე რომ დაუტოვეს და ყოველგვარი უფლება ჩამოართვეს. ევალებოდათ მონური მორჩილება და მონღოლთა ბრძანებების განუხრელად შესრულება. მეფეები ქართული ჯარით მათ დამპყრობლურ ომებში მონაწილეობდნენ; პირველი სისხლიც ქართველების იღვრებოდა.

იტანჯებოდა, იძარცვებოდა და ნადგურდებოდა ხალხი, უამრავი მედროვე მაღალჩინოსანი სამშობლოს ღალატის საფასურად იხვეჭდა ქონებას. სადუნ მანკაბერდელის, ხუტლუ-ბუღას მსგავსთა სიმრავლეს რა ჩამოთვლის, საქართველოს ორგანიზმს მკბენარივით რომ დასეოდნენ და აკნინებდნენ.

დიმიტრი თავდადებულსაც მეფე ერქვა, მაგრამ მონღოლთა სამსახურში მყოფს ფრთები ჰქონდა შეკვეცილი. ხალხმა კი არ იცოდა, რა დონეზე იყო შებოჭილი უამრავ მოღალატე, მონღოლთა მსტოვარდახვეული. შეიძლება მისი ამქვეყნიურობა ჩვეულებრივ უფერო მეფობად დამთავრებულიყო, ბედის ბრუნვას მისთვის მკაცრი გამოცდა რომ არ მოეწყო. მანაც ხალხს დაანახა სამშობლოს და ერის სიყვარულით როგორი ანთებული გულის პატრონი იყო, რამაც იგი უკვდავების შარავანდედით შემოსა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ქართველმა ერმა მუხთალთა და გამყიდველთა მრავალი მწარე დაკბენა იგემა, მაგრამ ერთგულ მამულიშვილთა თავდადებით ფიზიკური მოსპობის მცდელობათა მკაცრი წლები გადაიტანა. სისხლის ღვრისა და ძალების უკიდურესი დაძაბვით ყოფნა-არყოფნის გზაჯვარედინზე მდგარმა პოლიტიკური გამჭრიახობით, გადარჩენის და აღორძინების სწორი მიმართულების არჩევით მსოფლიოს უძველესი კულტურის მქონე ხალხთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა, რაც ყველა ქართველისათვის იმხელაზე საამაყოა, რომ მას არ ეკადრება ევროპას, ან რომელიმე სხვას მიეტმასნოს და მათ რიგებში მიღებაზე ყელის გამოწევით უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდოს წინაპართა ესოდენ დიდი და სასწაულებრივი ღვაწლი ყოველივე ქართულისა და საქართველოს მიმართ.

სულ ახლახან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით დინების საწინააღმდეგო ცურვის გამო შევაშფოთეთ დასავლეთი და შემოგვასაღეს კიდეც ქართველი ერის უბედურებად შობილი, მუხთლობით და ვერაგობით გასატანებული შევარდნაძე. მანაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გვიქცია კიდეც უბედურებად. როდის ყოფილა ეშმაკს კეთილი ანგელოზები მოემრავლებინოს. ახლაც ასე მოხდა, ისეთი საშინელება გაწვრთნა **“ნაციონალურ მოძრაობად”** წოდებულ მუხთალთა სახით, რომ წარსულ დღეთა საზარელი გახსენება გაახუნა.

დღევანდელ მსოფლიოში კი ბობოქრობენ თანამედროვე მონღოლები, რომლისთვის პრობლემა არ არის არასასურველი ხელისუფლების მაიდნის მეთოდით დამხობა, რამეთუ გაუსაძლის ცხოვრებაში იდეოლოგიური დივერსიით მოწამლულ ადამიანთა გადაბირება არ უჭირთ. მაიდნელებსაც ურემს გამობმულ გოშიასავით ეგონათ, რომ ურემს ისინი მიაგორებდნენ და გამარჯვების შემდეგაც აგრძელებდნენ მაიდნელობას დასავლეთიდან ორცხობილების და ამერიკული დოლარების კვლავ მიღების სურვილით, მაგრამ სწორედ ვერ გათვალეს, რომ საჭირონი აღარ იყვნენ და ერთი ხელის აქნევით ბედურებივით გააფრთხეს ყოფილმა მფარველებმა. უკრაინაში კი ნეოფაშისტ ვანდალთა განუკითხაობის პარპაშად დაუჯდათ ანტირუსიულ-ანტიმართლმადიდებლური ფსიქოზი. ჯერ კიდევ არავინ იცის, რა ძალის ბუმერანგად დაუბრუნდებათ მათი მფარველობა ევროატლანტიკურ **ლგბტ** დემოკრატებს.

ზოგს მართლა ჰგონია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრობს და ხელისუფლებიდან იმაზე მეტს ელოდება, რაც მას შეუძლია. იმას კი ვერ ამჩნევენ, რომ მონღოლთა ნოინივით ჩამომჯდარი ამერიკის ელჩი ხელისუფლების სამზარეულოს ყველა ქვაბში უბოდიშოდ ჰყოფს ცხვირს, რათა მისი გემოვნების შეუფერებელი კერძი არ მოამზადონ და ნამდვილი ქართული თვითმყოფადობის მადლიანი და გემრიელი სიკეთით სავსე ქვაბი არ შემოდგან მამაპაპურ შუაცეცხლზე.

ეს ის ამერიკაა, რომლის პრეზიდენტი თავის ყველაზე დიდ მიღწევად ერთსქესიანთა სიყვარულის დაკანონებას რომ თვლის. ჩვენ კიდევ მას სტრატეგიულ პარტნიორს ვეძახით და თუ ხელი ჩამოგვართვა, სიხარულით საკუთარ თავს ვახტებით.

კალიგულამ ერთ სენატორს ჰკითხა: შენს დასთან სქესობრივი კავშირი ხომ გაქვსო. იმან კიდევ დიდად შეწუხებულმა უპასუხა, ჯერ არაო. ჰოდა, ობამასთან ხელის ჩამორთმევის დროს, რომ შეგეკითხოთ, ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეთ თუ არაო, სირცხვილი რომ არ ჭამოთ რომაელი სენატორივით **ლგბტ** კანონის მომხრეები ერთსქესიანად დაქორწინდით ერთმანეთზე, ბარემ მათი აღლუმიც მოაწყეთ, რომელსაც სიამოვნებით დაესწრება ბარაკ ობამა და ყველა ევროატლანტიკური პედერასტი მინისტრი.

ბოლომდე რომ გავერკვათ ამათ მორალურ-ზნეობრივ, სულიერ და სქესობრივ გადაჯიშებაში რომის პაპის და მისი კარდინალების მიერ ჰომოსექსუალების შესახებ მიღებულ უფლისმაგინებელ და სატანისმადიდებელი კანონი გავიხსენოთ, რაც ერთსქესიანთა ქორწინების უფლების მიცემაზე დაადგინეს: – **“მათ აქვთ ღვთისაგან მინიჭებული განსაკუთრებული მადლი, რომელიც მთელ ქვეყანას გამოადგება”.** ამის შემდეგ ლესბოსელთა და პედერასტთა გარყვნილების ამბავს რომ მოვისმენთ, უნდა ვთქვათ, **თქვე მადლიანებოო.**

ამ კანონის მიღებით რამხელა შვებას იგრძნობდა რომის პაპის – სიქსტ მეოთხის სული, საკუთარი დალაქის თოთხმეტი წლის ბიჭს რომ ყვარობდა; ბრალი ედებოდა თავის ვაჟთან უზნეო კავშირში; მოსასვენებელში მის მომსახურე ბიჭებს ერთსქესიანად რომ ეღლაბუცებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ სიბინძურეში რომის პაპობა ღრმად იყო ჩაფლული, მაინც ცდილობდა საზოგადოებისათვის დაემალა თავისი გარყვნილობა, რამეთუ ხალხისათვის ეს ფრიად მიუღებელი, ბილწი და დასაგმობი იყო. ახლა კი რომის პაპის და მისი კარდინალების აზრით, ეს ღვთისგან მინიჭებული განსაკუთრებული მადლი ყოფილა, რომელიც ქვეყანას გამოადგებაო.

ჯერ ბოლომდე არავინ იცის ასოცირების ხელშეკრულებით ჩვენგან რას მოითხოვენ ევროატლანტიკური **“მეგობრები”.** ერთი კი ცხადია, თვითონაც გაკვირვებული იქნებიან, ისეთი რა დაინახეს, რომ დიდი ბრიტანეთი გასვლას აპირებს, ეგენი კიდევ კისრისტეხით ითხოვენ შემოსვლასო. ან მაგათ ვინ კითხავს ევროკავშირში შესვლა-გამოსვლას, როცა მაგათ პრეზიდენტს რიჩარდ ნორლანდმა ისე აუკრძალა სოჩაში ვიზიტი, როგორც ოთახში გამოკეტილ ბავშვს უკრძალავენ ეზოში გასვლას და ქუჩაში თამაშსო. ამრიგად, ამერიკელთა ელჩი ჩვენს დამოუკიდებლად წოდებულ ფაფხურზე მოხეტიალე ცირკის დადგმასავით ერთობა. **“თქვენი კულტურა არ მაინტერესებსო”,** გაიძახის ჯო ბაიდენი. იეღოველებს ავიწროებთო, გვაჯარიმებენ. მართლმადიდებელ ეკლესიას ავტომობილით რომ შეუნგრიეს კარი და მრევლს ცხვირ-პირი უჟეჟეს მაგათმა ნებიერმა ნაცებმა, ყურიც არ შეუბერტყიათ.

დღეს ზოგი ვერ ხვდება, რომ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ პირდაპირ ნათქვამი, თუ დემოკრატიულობის ნიღბიანი კბენის მცდელობა ქართველ ერს ყველა საამაყო ტრადიციებით შედუღაბებული ერთიანობის მძლავრი საძირკვლის დაშლის სურვილია, რამეთუ ყოველივე წმინდა და სპეტაკი, რაც ესოდენ ამშვენებს ქართველ ერს, მართლმადიდებლობის ფესვებიდან მოდის.

საზღვარგარეთ თავშეფარებული სააკაშვილი ახლა ალაპარაკდა მართლმადიდებლური ეკლესიის როლზე, რომელმაც ხელისუფლებიდან წასვლის ბოლოს კიდევ ერთი მისი მუხთალი არსებობის დამახასიათებელი ღალატი ჩაიდინა, ყველა რელიგიურ კონფესიას იურიდიული სტატუსი მიანიჭა და მართლმადიდებლობას გაუთანაბრა.

დღევანდელი მძიმე და რთულ მდგომარეობაში, როცა ქვეყანას მუმლივით დასევია უცხოეთიდან დაპროგრამებული პარტიები თუ ევროატლანტიკურზე მოჭიდებული არასამთავრობო ორგანიზაციებად წოდებული ზომბირებული დემაგოგები, ქართველ ერს იმედად ჰყავს სულიერი წინამძღოლი – უწმინდესი და უნეტარესი, რომელიც ეროვნულ სიწმინდეთა უდრეკ ბურჯად დგას და ყველა ქართველთმოძულე არარაობას თავისი სულშიჩამწვდომი მართალი სიტყვის სხივთა ძალით თვალებს უბრმავებს. არც აჟივჟივებულ ქართველ პოლიტიკოსებში ნამდვილი ქვეყნის ერთგულის გამორჩევა ეშლება. ამიტომაა, რომ ესოდენ ნდობას უცხადებს შეუბღალავი ავტორიტეტის, შეუპოვარ და მართალ, ქართველი ერის საკეთილდღეოდ თავდაუზოგავად, შიშველი მახვილივით შემართულ ახალგაზრდა პრემიერს, რომელსაც ხალხიც ესოდენ ენდობა.

“ქართულ ოცნებას” კი რამდენი და რა სახის მუხთლობა ღრღნის ჯერ კიდევ ბევრი ზედაპირზე არ ამოტიტივებულა. **“ნაციონალურმა მოძრაობამ”** ხალხს ისე შეაძულა თავი, რომ ამერიკელებიც კი დარწმუნდნენ: რომ მათი ხელისუფლებაში შენარჩუნებით საბოლოოდ ჩამოეხსნათ დემოკრატიის დამცველი ნიღაბი. სამაგიეროდ, კოჰაბიტაციით გააკეთეს ის, რაც სურდათ, **“ქართულ ოცნებაში”** კი **“თავისუფალი დემოკრატების”, “რესპუბლიკელების”** და მსგავსი ნულოვანი რეიტინგის მქონე მათი ლაქია პარტიები დაყოვნებული მოქმედების ნაღმებივით შეალაგეს.

ნაცისტების სიძულვილის მძლავრი ტალღა ევროატლანტიკურ მფარველთა მოგონილი კოჰაბიტაციით შენელდა, მათაც უხსენებელივით დაიწყეს თავის ქნევა არასასურველ პირთა დასაკბენად. ხელისუფლების სადავეებს ჩამოსცილდა ეს ჭირი, მაგრამ მათი მფარველების ხელშეწყობით სერიოზულად უშლიან ხელს ქვეყნის ნორმალურ განვითარებას. დაუსჯელობის გრძნობით შეპყრობილები სულ უფრო თამამად ეჩხირებიან თვლებში ჯოხად **“ქართული ოცნების”** ფორანის ხალხის სასიკეთოდ აგორებას.

ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობს ქართული ახალგაზრდობის ანტიეროვნული, ცრუდემოკრატიულობის და გარყვნილობის შხამით მოწავლა და ამას აკეთებენ ჩრდილდაკარგული და უცხოეთის ორცხობილებზე გაყიდული ქართველები.

ნაციონალთა მიერ ჩადენილ ღალატს, ქვეყნის დაქცევა-დაქუცმაცების მცდელობას და ქართველი ერის გადაგვარებისათვის გაწეულ ღვაწლზე აღარაფრის თქმაა საჭირო, რამეთუ ყველაფერი ცნობილია. ახლა მათი ბოროტების ნაყოფ პარლამენტში სხედან და კვლავ უსირცხვილოდ ყრანტალებენ; ხელისუფლების ხელში ჩაგდება ელანდებათ ქართველი ერის საბოლოოდ გადასაგვარებლად.

უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასცდა სიბინძურის პარკუჭად ქცეული, რესპუბლიკელად წოდებული, კუსთავიანი რეპტილია ლევან ბერძენიშვილი, ძროხის ენა რომ ვერ დაუტევია ანალურ ხვრელად გამოყენებულ პირში და საზიზღარ სიმყრალეს აფრქვევს. ცდილობს დასვაროს ქართველთა ყველა და ყველაფერი საამაყო, რამეთუ მათი სხივის კაშკაში ბნელეთის მოციქულებს თვალებს უბნელებს. ვინ შეიძლება იყოს ილიას, აკაკის, ვაჟას, ლადო ასათიანის სპეტაკი ხსოვნის გასვრის მსურველი, თუ არა მუხთლის თესლი, რომელსაც ტრიბუნა არ მოჰკლებია შევარდნაძის, სააკაშვილის და დღევანდელობის ჩათვლით, რათა თავისი მყრალი არსებობა გულისრევად შეგვახსენოს.

რა მეთოდით მიეტმასნა ალასანია **“ქართულ ოცნებას”,** ან რა ძალამ აიძულა ბიძინა ივანიშვილი საამისოდ – მისახვედრია. სახეზეა ეს ევროატლანტიკური ნაღმი, ხელისუფლების დაშლას რომ იმედოვნებდა, აფეთქდა, მაგრამ ალასანიას ამბიციების გარდა ვერაფერი იმსხვერპლა. პულტი თვითონ ეჭირათ და ვერ მიხვდნენ, რომ ნაღმზე ისხდნენ, დაიწვეს კიდეც საჯდომები იმ დონეზე, რომ მისი დასადები ადგილები იქ უნდა მოიკითხონ, ვისი სამსახურითაც ესოდენ შეირცხვინეს თავი. არადა, ცრუპენტელობით, მეტიჩრობით და თავხედობით აგვიკლეს. ალასანიას პრეზიდენტობის იმედის გაქარბუქებამ გაანაწყენა. თავდაცვის მინისტრად თავი ერთპიროვნულ გამგებლად წარმოიდგინა და ენერგიულად ქექა ნაცარი. შემაღლებული ადგილი არ დატოვა შეხტომის და სიტყვის დაყივლების გარეშე, მამლის ხელისუფლების დაუფლებით დაიმედებულ ყვინჩილასავით. საქართველოს სახელით ისე თამამად ლაპარაკობდა, თითქოს სამეგრელოში არჩევნებში არ ჩაფლავებულიყო. საქართველო მზად არის სირიელი მეამბოხეების გასაწვრთნელადო. ამით თავისი მფარველი ამერიკელებიც კი გააკვირვა; საქართველოს მთავრობას ხომ აღარ ეკითხებოდა. ახლა ბაქოში რაღაც ერთიან სამხრეთკავკასიურ არმიის შექმნაზე იბოდიალა ამ აღმა-დაღმა პოლიტიკოსმა.

ქალბატონი ფანჯიკიძე ხომ პირდაპირ მიგნება გამოდგა საქართველოს საგარეო პოლიტიკის შერცხვენაში. ევროპარლამენტში გაჩაღებულ **“შალახოს”** რომ თავი გავანებოთ, ჯერ ბალტიისპირეთში ისეთი სისულელე თქვა, კინაღამ მეზობლები გადაგვკიდა. მის უთავბოლოდ ნათქვამთა ბუკეტიდან კიდევ ერთით დაგვამშვენა: ჰიტლერი და სტალინი ერთნაირი ბოროტება იყოო. ვაი, შენ, მრავალტანჯულო საქართველო, როდემდე უნდა გტკენდნენ გულს ასეთი არარაობანი?!

ალბათ, ერთადერთი ქვეყანა ვართ ევროინტეგრაციის მინისტრი რომ გვყავს და ისაც გაგვიწყრა, ამერიკელთა მიერ გაპაპაჯორებული ალასანია რატომ მოხსენითო და გადადგა. მეც ნახირ-ნახირო, გადაახტა საკუთარ თავს; ნეტა რისი მაქნისი იყო ეს საცოდავი?

ქართველ ხალხს კი აუხდენელ ოცნებად ექცა ერთიან, გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრება, რომელიც რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. არადა რუსები მავთულხლართებს რომ ატარებენ, ესენი კი ევროპაში გარბოდნენ, გვიშველეს რამე? შველა კი არა, **ნატო**-მ იმას მიაღწია რუსეთისაკენ ჩოჩიალით, რომ აღშფოთებული ყალხზე შეაყენა და გამქრალი ცივი ომის განახლება ლამის სინამდვილედ აქციონ.

ჩვენთვის კი გამთლიანების გზის მაჩვენებელი უნდა იყოს უწმინდესმა და უნეტარესმა კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ **“როსიისკაია გაზეტა”**-ს ჟურნალისტს ალექსანდრე იაროშჩენკოს რომ უთხრა: **“ჩვენ პირველ რიგში, სულიერად ერთი ხალხი ვართ, ერთი ეკლესიის წევრები... გადაეცით რუსეთს ჩემი საუკეთესო სურვილები და კეთილგანწყობილება...”** დიახ, ლანძღვა-გინებით კი არა, კეთილი სურვილებითაა საჭირო რუსეთის პრეზიდენტთან საერთო ენის გამონახვა.

შევარდნაძის პრეზიდენტობიდან მოყოლებული ალექსანდრე ჭაჭია ბრძნული და ნათელი აზრებით გვიჩვენებდა საქართველოს გამთლიანების და აღორძინების ჭეშმარიტად წინასწარმეტყველურ გზას, რომლის განხორციელება, საქართველოს სამაგალითოდ აყვავებულ და განვითარებულ ქვეყნად აქცევდა. იმის მაგიერ, რომ მისი ბრძნული ნაშრომები და ნათელი რჩევები ცხოვრებაში გამოეყენებინათ და ეს საქართველოს ბედნიერებად მოაზროვნე ბრწყინვალე მამულიშვილი გვერდით დაეყენებინათ, მტრად მოეკიდნენ. შედეგად, დანაწილებულ-დაკნინებული საქართველო და ჰორიზონტივით მიუწვდომელი გამთლიანების ოცნება შემოგვრჩა.

ამიტომაა საჭირო ყველა პოლიტიკური ამბიციების მოუსავლეთში მოსრიალება და ერთიანი ქართული ინტერესებით ალექსანდრე ჭაჭიას მსგავსი სამშობლოს ერთგული მამულიშვილების გაერთიანება, რომელთა დევიზი იქნება: საქართველო უპირველეს ყოვლისა!

ᲒᲘᲕᲘ ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
მწერალი, დავით აღმაშენებლის პრემიის ლაურეატი, აკადემია “აია”-ს ნამდვილი წევრი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალადანიას

“ქართული რაგბის მომავალზე არ ვნერვიულობ”

ქართული რაგბისთვის უმნიშვნელოვანესი თვე დაიწყო. ძალიან მალე, შემოდგომის ტესტების ეგიდით, ბორჯღალოსნები ტონგასა და იაპონიას უმასპინძლებენ, შუალედში კი, **“ავივა სთედიუმზე”** ევროპის საუკეთესო გუნდ “ირლანდიას” ესტუმრებიან! იქამდე ევროთასზე ქართული კლუბის დებიუტიც ვნახეთ, ქართველმა 19-წლამდელებმა კი ევროპის ჩემპიონატის ფინალით გაგვახარეს. ასე რომ, საქართველოს რაგბის კავშირის თავმჯდომარე გია ნიჟარაძესთან სალაპარაკო თემის მოძებნა არც ამჯერად გაგვჭირვებია.

– სამწუხაროდ, ტესტ-მატჩებში ტრავმის გამო დაგვაკლდებიან მამუკა გორგოძე, დავით ზირაქაშვილი, ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე... ექიმების მეთვალყურეობით ვარჯიშობს კიდევ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე და იმედია, დაშავებულთა რიგებს აღარავინ შეემატება. ლიდერთა არყოფნა ნამდვილად დაგვეტყობა, მაგრამ რას ვიზამთ, სპორტი ასეთია – ვინც ჯანმრთელი იქნება, ის გავა მოედანზე და ბოლომდე დაიხარჯება თავისი ქვეყნისთვის!

– ტონგის ნაკრები მსოფლიო თასზეც ჩვენი მეტოქეა და, ბუნებრივია, ტესტ-მატჩში გუნდები ბოლომდე არ “გაიხსნებიან”.

– ურთულესი მატჩი იქნება! რეიტინგითაც და მიღწევებითაც ტონგა ჩვენზე წინ დგას. თუმცა, გუნდების რეალური მზადება მსოფლიო ჩემპიონატამდე 2-3 თვით ადრე იწყება და უძლიერეს გუნდს ნაკრებები უშუალოდ მსოფლიო თასის წინ უყრიან თავს. ასე რომ, ინგლისში ტონგასაც სხვა ნაკრები ეყოლება და ჩვენც ახლანდელზე გაცილებით ძლიერ გუნდს გავიყვანთ! ამიტომაც თამაშის “დამალვა” აზრს კარგავს. ამის შესაძლებლობას რაგბის სპეციფიკაც არ მოგცემს, ნახევარი ძალით ვერ ითამაშებ! ლიდერები ძალიან დაგვაკლდებიან, მაგრამ სამაგიეროდ, ეს მათი შემცვლელებისთვის არის თავის გამოჩენის კარგი შანსი. ასე რომ, თავის მართლებას, წამყვანი მოთამაშეები გვაკლდა და ამიტომ ვერ ვითამაშეთო, ჩვენგან ვერ მოისმენთ!

– ტესტ-მატჩებში შედეგი გადამწყვეტი არ არის, მაგრამ იაპონიასთან ძველი ანგარიში გვაქვს გასასწორებელი...

– მსაჯის უხეში შეცდომის გამო, 2012 წელს თბილისში 3 ქულით წავაგეთ და ძალიან გაბრაზებული ვართ! არადა, იაპონელებს სამოაც დამარცხებული ჰყავთ, ტონგაც, ფიჯიც და გაცილებით ძლიერი გუნდების გამწარებაც შეუძლიათ. სხვა სფეროების მსგავსად, იაპონია რაგბიშიც საოცარი სისწრაფით ვითარდება – ამ ქვეყნის სარაგბო პირველობაში დიდი ფულია ჩადებული და ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, არა მხოლოდ ზელანდიელი და ავსტრალიელი ლეგიონერები, უკვე ევროპელებიც ჩადიან. 2019 წლის მსოფლიო თასსაც იაპონია უმასპინძლებს, აქედანვე ემზადებიან და ჩინებული ნაკრებიც ჰყავთ. თუმცა, მათთან ჩვენი ანგარიში გვაქვს!

– იაპონიასთან მატჩამდე დუბლინის სახელგანთქმულ “ავივაზე” უნდა ვესტუმროთ ირლანდიის ნაკრებს!

– საქართველოს ნაკრებისთვის უდიდესი პატივია, მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ნაკრებმა საკუთარ მოედანზე რომ მიგვიწვია! “ირლანდია” ევროპის საუკეთესო გუნდია, “ექვსი ერის” ჩემპიონი, რომელსაც ბოლო ტესტ-მატჩში ზელანდიელებმა მხოლოდ ბოლო წამებზე აჯობეს. წლებია, ასეთი დონის გუნდებთან თამაშის შანსს ვითხოვთ. აჰა, მოგვეცა კიდეც და ახლა მაქსიმალურად უნდა დავიხარჯოთ, გამოცდილება დავაგროვოთ, ღირსეულად ვითამაშოთ და პატივისცემა ამ თამაშითაც დავიმსახუროთ!

– ქართული სარაგბო კლუბის ევროდებიუტს როგორ აფასებთ?

– ამაზე წლების განმავლობაში ვოცნებობდით! სამწუხაროდ, საკვალიფიკაციო ეტაპი ძალიან ცუდად იყო ორგანიზებული – ყველანაირად “შეგვიწყვეს” ხელი, სათანადოდ რომ ვერ მოვმზადებულიყავით, სტადიონებთან ვერ მოგველაპარაკა, სპონსორი ვერ გვეშოვა და ა.შ. ამის მიუხედავად, დავრწმუნდი, რომ ქართული საკლუბო რაგბი არაფრით ჩამოუვარდება იტალიურს! ეგაა, იტალიელებს მეტი გამოცდილება აქვთ და შესაბამისად, საქმისადმი უფრო პროფესიული მიდგომა, საჭირო მომენტში კონცენტრაციის უკეთესი უნარი და ა.შ.

– ალბათ, უკეთესიც არის, ჯგუფურ ეტაპზე შეუთამაშებელი, ერთი კვირის შეკრებილი კლუბით რომ არ გავედით...

– გეთანხმებით. მით უმეტეს, ქართულ კლუბს სპონსორები არ ჰყავდა და, ალბათ, ვერც ტურნირში მონაწილეობისთვის საჭირო ფულს ვიშოვიდით. მოგვიწევდა ბოდიშის მოხდა – უკაცრავად, ფული ვერ ვიშოვეთ და ჩვენს ნაცვლად, ჯგუფურ ეტაპზე “როვიგო” ათამაშეთო... გაისად მსოფლიო თასია, “თბილისის კავკასიელებს” საქართველოს ნაკრების ვერც ერთი მოთამაშე ვერ დაეხმარება და, ალბათ, კიდევ უფრო სუსტი კლუბი გვეყოლება, მაგრამ მაინც უნდა ვითამაშოთ – გამოცდილება სწორედ ევროთასებზე სტაბილურად თამაშს მოაქვს. უნდა ვითამაშოთ, არც წაგების უნდა შეგვეშინდეს და მერწმუნეთ, რამდენიმე წელიწადში არა მხოლოდ იტალიურ კლუბებს დავამარცხებთ!

– ქართული რაგბი სწორი გზით რომ მიდის, ამას ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების წარმატებული თამაშიც მოწმობს...

– რაგბის აკადემია, მაღალკვალიფიციური მწვრთნელები, თანამედროვე ტექნოლოგიები – ამ სისტემის შესაქმნელად მრავალწლიანი შრომა დაგვჭირდა და დღეს ის წარმატებით მუშაობს. სწორედ ამის შედეგია, რომ ჩვენი ასაკობრივი ნაკრებები აბსოლუტურად განსხვავებულ რაგბის თამაშობენ. მათი სახით არაერთი ვარსკვლავი გვეზრდება და ქართული რაგბის მომავალზე ნამდვილად არ ვნერვიულობ!

რატი შელეგია

ფოთის “კოლხეთმა” დათა სიჭინავას დუბლით ცხინვალის “სპარტაკს” მოუგო

მიმდინარე წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის XV ტური ორი მატჩით გაიხსნა.

თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ცხინვალის **“სპარტაკმა”** ფოთის **“კოლხეთს”** უმასპინძლა და დაძაბული მატჩის შემდეგ ანგარიშით 1:2 დამარცხდა.

სტუმართა გამარჯვებაში ლომის წილი თავდამსხმელმა დათა სიჭინავამ დაიდო, რომელმაც ჯერ მე-40 წუთზე ანგარიში გახსნა, 77-ეზე კი დუბლი შეასრულა. ცხინვალელთაგან ერთი, მაგრამ საკმაოდ ეფექტური ბურთი თავდამსხმელმა მერაბ გიგაურმა მატჩის 42-ე წუთზე გაიტანა.

მიუხედავად საკმაოდ საინტერესო მატჩისა, უგოლოდ დასრულდა შეხვედრა ქობულეთში, სადაც ბათუმის “დინამო” “შუქურას” დაუპირისპირდა.

ტურის დანარჩენი ექვსი შეხვედრა დეკემბრის უახლოეს დღეებში გაიმართება.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

ნოქალაქევი-ბანძა-ხონის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია

მარტვილის მუნიციპალიტეტში, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნოქალაქევი-ბანძა-ხონის ს/გზის კმ 21+600-კმ37 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აღნიშნული გზის რეაბილიტაცია ითვალისწინებს დამხმარე ნაგებობების – კიუვეტების, ბოგირების რეაბილიტაციას და მოწყობას. პროექტის ღირებულება შეადგენს 7357130 ლარს. სამუშაოს ახორციელებს სს „არქეოპოლისი“.

იუმორი

უფლის ხმა:

– გქონდეს თანამედროვე ავეჯით გაწყობილი ათოთახიანი ბინა ქალაქის ცენტრში და კეთილმოწყობილი აგარაკი ქალაქგარეთ, გქონდეს ყოველთვიური შემოსავალი 50.000 აშშ დოლარი, გქონდეს უახლესი მარკის ავტომობილი, გემსახურებოდეს პირადი მზარეული, პარიკმახერი, მძღოლი, დამლაგებელი, ყოველ წელს ისვენებდე ოჯახთან ერთად ეგვიპტის კურორტებზე...

ასეთი კოშმარი დაესიზმრა ბიძინა ივანიშვილს!

* * *

ვაკეში ფულიანი კაცის მერსედესს ვაკელმა 07-ით დაარტყა, გადმოვიდა მძღოლი და უთხრა ეს რა ქენიო, ვაკელმა აბა მე რა მეშველება თორემ შენი მერსედესი დუტია, გაუკეთებ “გლუშიტელში” ნასოსს და გაბერავო. მძღოლმაც დაუჯერა და ბერავს, ვიღაცამ გამოიარა და დაინახა კაცი ნასოსს აკაჩავებს. გაჩერდა და ჰკითხა, რას აკეთებო? აგერ ვაკელმა დამარტყა და, ხომ იცი, მანქანა დუტია და ვბერავ, მარა რაღაც არ იბერებაო. იმან კიდევ უთხრა: მერე ვერა ხედავ, ლუკი ღია არისო.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალადანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge